

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

ARCHEION

VI

თბილისი 2013 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: გურამ სალაძე

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცკილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)

Editorial Board

Guram Saladze – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor,

Teona Iashvili (Tbilisi), **Tengiz Tsintsiladze**, **Tengiz Salukvadze**, **Jaba Beridze**, **Elguja Gogiberidze**, **Elguja Chaganava**, **Maia Rurua**, **Fridon Kardava**, **Nato Kikava**, **Otar Gogolishvili** (Batumi), **Merab Kezevadze** (Kutaisi), **Mariana Piskova**, **Nurie Muratova** (Blagoevgrad, Bulgaria), **Maka Albagachieva** (Saint-Petersburg, Russia).

სარედაქციო საბჭო შესაძლოა ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors' style is retained.

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ხელოვნების ისტორიის

საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“- ასე განმარტავს ჩვენი ერის სულიერი მამა - ილია ჭავჭავაძე ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულებას და მათ კავშირს ცხოვრებასთან.

ჰეგელის აზრით კი „ხელოვნება არსებობს არა რომელიმე ჩაკეტილი წრისათვის, განათლებული ადამიანების ერთი ჯგუფისათვის, არამედ მთელი ერისათვის“. ამიტომაცაა, რომ ხელოვნების ძეგლები თავს იყრიან მუხეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში, ხოლო ხელოვნების ქაღალდისფუძიანი ნიმუშები დაცულია არქივებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტებში.

ადამიანმა წერასა და მეტყველებაზე ადრე ხატვა და ცეკვა ისწავლა. მაშინ ამას არ ჰქონდა ხელოვნების დანიშნულება. იგი ურთიერთობისა და მათი საქმიანობის ერთგვარ აღწერას წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ცივილიზაციების ცვლილებასთან ერთად ნელ-ნელა იცვლებოდა ადამიანის მოთხოვნილება და მისწრაფება შეექმნა რაღაც დიდებული.

ამ მხრივ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც არ იყო განსხვავებული და გამონაკლისი. იქნებოდა სიმღერები, იდგებოდა ცეკვები, ხესა და ქვაში იკვეთებოდა ჩუქურთმები. იგებოდა ტაძრები, ლამაზი შენობები, იწერებოდა ლექსები...

ოსმალეთის ბატონობიდან დედა-სამშობლოს წიაღში გამაჰმადიანებული ქართველების დაბრუნება არ იყო ადვილი. ამ პროცესის გასაადვილებლად კულტურულ-საგანმანათლებლო მისია იკისრა ქართველმა ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით. წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა წარმოდგენების ჩვენების იდეაც.

1879 წელს ბათუმში წარმოდგენების გამართვა დაიწყო თბილისში ჩამოყალიბებულმა მუდმივმა ქართულმა დასმა, რომელშიც მოღვაწეობდნენ ნატო გაბუნია-ცაგარელი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი და ა.შ.

1882 წელს ბათუმში სცენის მოყვარულთა წრის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ქეთევან ჟურულმა, რომლის წრეს მოგვიანებით შეურთდა იმ დროისათვის ბათუმში მოღვაწე დავით კლდიაშვილი.

ცენტრალურ არქივში დაცულ იმ დროის მასალებში ნაკლებად მოიპოვება ცნობები 1878-1921 წლების აჭარის და ბათუმის კულტურული განვითარების შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ ამ დროისათვის ბათუმში მოქმედებდა: „საოჯახო თეატრი“, „რკინის თეატრი“, რომელიც დღევანდელი ცირკის ადგილას მდებარეობდა და „ანანიევის თეატრი“, რომელიც ბათუმელი ვაჭრის ანანიევის სახლში იყო განთავსებული. ფუნქციონირებდა სხვა კინოთეატრებიც: „აპოლო“, „ტრიუმფი“, „პალასი“ და „პიკადილი“; ასევე იმართებოდა საცირკო სანახაობები ცირკის შენობაში.

იმ დროისათვის ბათუმში მიმდინარეობდა დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები. ძველი ნაოსნაღეთარი ქალაქი თანდათან ევროპულ იერს იძენდა. გაჩნდა ქუჩები, სკვერები, აშენდა ლამაზი შენობები, რომელთა არქიტექტურა

რა დღესაც იწვევს მნახველთა აღფრთოვანებას. ესეც ხელოვნებაა, რომელსაც არქიტექტურა ჰქვია და რომელიც ასე კარგად არის გამოკვეთილი ძველი ბათუმის შენობებზე. აჭარის ცენტრალურ არქივში ბათუმის მმართველობის ფონდის ტექნიკურ ანაწერში დაცულია ზოგიერთი ამ შენობის პროექტი.

ხელოვნების შესახებ მასალები სხვადასხვა ფონდებშია თავმოყრილი და უფრო მეტ და თემატურ შესწავლას საჭიროებს.

აჭარის ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის (რ-4), აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს (რ-2), აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის (რ-5), აჭარისტანის რევოლუციური კომიტეტის (რ-1) ფონდებში დაცულია მასალები: საბალეტო სტუდიის (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი რ-4; აღწ.1; საქ.32), სამუსიკო და საცეკვაო კლასების გახსნის, სამასწავლებლო და სალოტბარო კურსების დაარსების (მ. კუხიანიძის განცხადება. ც.ა. ფონდი რ-2; აღწ.1; საქ.21; ფურც.11-13), ქალ-ვაჟთა აკადემიური გუნდის გასტროლებისათვის თანხის გამოყოფის, აჭარის მუსიკალური საზოგადოების შექმნისა და წესდების (რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ მუსიკოს-ლოტბარები მელიტონ კუხიანიძე და დიმიტრი ყუბანეიშვილი), აკადემიური თეატრის, სახელმწიფო რუსული დრამისა და ოპერის 1923-1924 წლების ხარჯთაღრიცხვების (აჭარის ც.ა. ფონდი რ-4; აღწ.1; საქ.51), ქართული დრამის დებულების, გეგმის და სამსახიობო დასის ჩამოყალიბების, გურულ-აჭარელ მომღერალთა გუნდის განსახკომის სისტემაში გადაცემის, მელიტონ კუხიანიძის, ვლადიმერ კორშინის, არტემ ერქომაიშვილისათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების და სხვათა შესახებ.

აჭარისტანის რევოლუციური კომიტეტის ფონდში დაცულია 1921 წლის 3 დეკემბრით დათარიღებული აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება ქართული დასის დაარსების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მე-3 საბჭოთა თეატრი გამოცხადდეს აკადემიურად და მასში იმუშაოს ორმა აგრეთვე აკადემიურმა დასმა – ქართულმა და რუსულმა. კვირაში 3 დღე დაეთმოს ქართულ დასს და სამიც რუსულს. ორშაბათობით ორივე დასს რიგ-რიგობით უნდა გაემართა უფასო წარმოდგენები მესამე და პირველ თეატრში. უფასო წარმოდგენები გათავისუფლდა 20%-იანი გადასახადისაგან, ქართულ დასს მიეცა ერთდროული დახმარება სესხის სახით (კოსტუმის შესაძენად – 25 000 000 მან. და ყოველთვიურად დეფიციტის დასაფარავად და როდესაც ასეთს ექნება ადგილი არა უმეტეს 15 000 000 მან (აჭარის ც.ა. ფონდი რ-1; აღწ.1; საქ.4; ფურც.87).

1923 წელს მარო მდივანს სასცენო მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს მასალებში დაცულია საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის, აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თახსიმ ხიმშიაშვილის მისალმება მსახიობი ქალისადმი, რომლის იუბილე მოეწყო 1923 წლის 2 მარტს ბათუმის აკადემიურ თეატრში. აქვე დაცულია აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის პრეზიდენტის კოლეგიის 1923 წლის 27 თებერვლის სხდომის ოქმი №4, რომლითაც დაადგინეს: „ეთხოვოს სახკომსაბჭოს, რათა მსახიობ ქალს მარო მდივანს მიენიჭოს აჭარისტანის სახალხო მსახიობის სახელი“ (აჭარის ც.ა. ფონდი რ-2; აღწ.1; საქ.169; ფურც.216-219).

საბჭოთა წყობილების პირველ წლებში აჭარაში ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა: ხალხური შემოქმედების სახლი და სახელმწიფო ესტრადა, შემდგომში სახელმწიფო ფილარმონია, რომლებიც თავის მხრივ ხელმძღვანელობდნენ სიმფონიურ და სასულე ორკესტრებს, თოჯინების თეატრს, ბერძნულ და სომხურ სახელმწიფო დრამებს. აჭარაში ფუნქციონირებდა **მოჩუნგურეთა აზიური ანსამბლი, ეთნოგრაფიული გუნდი, კაპელა**, რომლის ბაზაზე შემდგომში ეთნოგრაფიულ გუნდთან ერთად ჩამოყალიბდა **აჭარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი**. ამავე პერიოდს ეკუთვნის აჭარაში **თეატრალური დასის ჩამოყალიბება**. აქ ჩამოთვლილი დაწესებულებები ფონდების სახით დაცულია აჭარის ცენტრალურ არქივში. მიმოხილვა აგებულია მონათესავე ფონდების პრინციპით და არა იერარქიით.

1936 წლისათვის აჭარაში არსებობდა: **თოჯინების თეატრი, სომხური, ბერძნული დრამატული თეატრები**, რომელთა მოღვაწეობა აჭარის ცენტრალური არქივის ფონდებშია ასახული. თოჯინების სახელმწიფო თეატრის ფონდი (რ-190) მოიცავს 1936-1938 წლების 7 ს/ერთეულს.

თოჯინების თეატრი თოჯინების მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრის ბაზაზე ჩამოყალიბდა (აჭარის ც.ა. ფონდი რ-190; აღწ.1; საქ.1; ფურც.35). თეატრის შენობა მდებარეობდა კომინტერნის ქუჩაზე (ახლანდელი მ. აბაშიძის ქუჩა). თეატრს ჰყავდა დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, ადმინისტრატორი, რეჟისორები, მუსიკალური ნაწილის გამგე, კომპოზიტორი, I და II კატეგორიის მსახიობები (აჭარის ც.ა. ფონდი რ-190; აღწ.1; საქ.3; ფურც.47).

1936 წლის 9 ივნისს აჭარის განათლების სახალხო კომისარსა (ი. ქათამაძე) და თოჯინების, ანუ როგორც მას უწოდებდნენ ტიკინების თეატრის რეჟისორს (გრიგოლ კოსტავა) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც აჭარის განსახკომი იღებდა ვალდებულებას - პირველი დადგმის უზრუნველსაყოფად თოჯინების თეატრისათვის გადაეხადა 4 600 მანეთი. თავის მხრივ თოჯინების თეატრი ვალდებული იყო პირველი წარმოდგენა ეჩვენებინა 15 ივლისს (აჭარის ც.ა. ფონდი რ-190; აღწ.1; საქ.2; ფურც.7).

თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე თეატრმა მაყურებელს უჩვენა შესანიშნავად განხორციელებული 11 სპექტაკლი: „**კაკოს ოინები**“, „**პატარა ჯემალი**“, „**კაცია ადამიანი?**“, „**სამი გოჭი**“, „**ადლიელი კეთილი ბებია**“ და სხვა, რომელთაც მაყურებლის სიყვარული და მოწონება დაიმსახურეს. სპექტაკლები იმართებოდა ქართულ და რუსულ ენებზე თეატრის დირექტორი იყო კოწო დოღონაძე, მუსიკალური ნაწილის გამგე და კომპოზიტორი ვლადიმერ კორშონი.

ფონდში დაცულ მასალებზე დაყრდნობით დღეს უკვე ხელოვნებათმცოდნე, მაშინ კი ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლაშა ჩხარტიშვილმა საინტერესოდ აღწერა თოჯინების თეატრის ისტორია წიგნში „**ბათუმის ტიკინების თეატრი**“. ამ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა საარქივო დეპარტამენტში 2000 წელს. ნაშრომმა მთლიანად შეცვალა თოჯინების თეატრის დაარსების შესახებ არსებული მონაცემები, რადგან 2000 წელს დაგეგმილი იყო თეატრის დაარსების 20 წლისთავის აღნიშვნა, ფაქტიურად კი თეატრი არსებობდა 1936-1938 წლებში.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1938 წლის 27 აპრილის №185 ბრძანების საფუძველზე 1938 წლის 15 მაისიდან ლიკვიდირებული იქნა ბათუმის თოჯინების თეატრი, ასევე ლიკვიდირებული იქნა სომხური და ბერძნული სახელმწიფო დრამები (აჭარის ც.ა. ფონდი რ-192; აღწ.1; საქ.2; ფურც.13-15).

რაც შეეხება ბათუმში მოქმედ სომხურ და ბერძნული დრამების მოღვაწეობას, მათ ფონდებში მცირე მასალაა დაცული. სომხური სახელმწიფო დრამის ფონდი (რ-193) მოიცავს 1937-1938 წლების 2 ს/ერთეულს. ეს არის ბრძანების წიგნი, შტატები, მომუშავეთა სიები და რეპერტუარი (აჭარის ც.ა. ფონდი რ-193; აღწ.1; საქ.2; ფურც.21-25). ხოლო ბერძნული დრამის მოღვაწეობის შესახებ (რ-192) ვგებულობთ მიმოწერებითა და რეპერტუარებით (აჭარის ც.ა. ფონდი რ-192; აღწ.1; საქ.1,2).

მიუხედავად, ცენტრალურ არქივში ამ თეატრთა შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ დაცული მასალების სიმწირისა, დაინტერესებულ პირების საშუალება ეძლევათ სხვა ფონდების დახმარებით შეავსონ მონაცემები, რათა წარმოდგენა იქონიონ 30-იანი წლების აჭარის კულტურული ცხოვრების შესახებ.

აზიურ მეჩონგურეთა ანსამბლის ფონდში (რ-191) დაცულია 1939-1940 წლების მხოლოდ 4 ს/ერთეული. მეჩონგურეთა ანსამბლის ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი **ვალერიან სადრაძე**. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1939 წლის 16 თებერვალის ბრძანებით მეჩონგურეთა ანსამბლი გაერთიანდა სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდთან.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებარებაში შედიოდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (რ-194), რომელიც 1937 წლის 1 მარტს შეიქმნა. ორკესტრის შემადგენლობაში იყო 30 კაცი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვლადიმერ კორშონი (აჭარის ც.ა. ფონდი რ-194; აღწ.1; საქ.1; ფურც.23). ფონდში დაცულია 1937-1940 წლების 11 ს/ერთეული. ბრძანებები სიმფონიური ორკესტრის საქმიანობაზე, წლიური ბალანსი, თანამშრომელთა სიები.

შედარებით უფრო მეტი და საინტერესო მასალაა დაცული **სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის ფონდში** (რ-195), რომელიც მოიცავს 1938-1940 წლების 9 ს/ერთეულს. ირკვევა, რომ სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ჩამოყალიბდა 1924 წელს **ვარლამ სიმონიშვილის** ხელმძღვანელობით, როგორც ხალხური გუნდი. 1925 წელს გუნდის ლობჯინაძე მოწვეული იქნა **არტემ ერქომაიშვილი**, რომელიც იმხანად კერძო მასწავლებლობას ეწეოდა (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ.5; ფურც.13). ვარლამ სიმონიშვილი კი დაბრუნდა ოზურგეთში, სადაც მას კიდევ ერთი გუნდი ჰყავდა. ცნობა იმის შესახებ, როდის და რომელი ბრძანებით ჩამოყალიბდა ეს ხალხური გუნდი სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდად, სამწუხაროდ ფონდის მასალებში დაცული არ არის, მაგრამ ნათლად იკვეთება, რომ გუნდი საკმაოდ არის ცნობილი არა მარტო აჭარასა და გურიაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებში. გუნდი საგასტროლო კონცერტებს ატარებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. მარტო 1938 წელს ჩატარებული აქვს 32 კონცერტი, მათ შორის 16 უფასო (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ.1; ფურც.11). იგი მონაწილეობას იღებს ხალხური სიმღერების ოლიმპიადაში და 1939-1940 წლებში მიღებული აქვს ჯილდო. თუ რა სახის ჯილდოზეა საუბარი ფონდში და-

ცულ არტემ ერქომაიშვილის წერილიდან არ ჩანს (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ2; ფურც.3; საქ7; ფურც.14-16).

1939 წელს მეჩუნგურეთა ანსამბლთან შეერთების გამო შეიქმნა კომისია, რომელსაც გაერთიანებული გუნდისთვის ორივე ანსამბლიდან უნდა შეერჩია საუკეთესოები. ფონდში დაცულია გუნდის წევრთა შეფასებები და შერჩეული კანდიდატურები. ასევე დაცულია გუნდის გარეთ დარჩენილთა საყვედურით აღსავსე განცხადებები (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ5; ფურც.1-2).

ფონდში მუშაობის დროს წავაწყდი ერთ პატარა ბარათს, რომელმაც დღევანდელი რეალობის ასოციაცია შემიქმნა. საქმეში დაცულია წერილი, რომელსაც ხელს „უცნობი“ აწერს. უცნობი ზემდგომ ორგანოებს აცნობს ეთნოგრაფიულ გუნდში არსებულ ვითარებას და აღნიშნავს, რომ არტემ ერქომაიშვილს გუნდში დასაქმებული ჰყავს ცოლი, შვილები, დისშვილები, რომ იგი ცხოვრობს გუნდისთვის შექმნილ ბინაში და ა.შ. რა თქმა უნდა საკითხის შესწავლამაც არ დააყოვნა, თუმცა გამოირკვა, რომ დაქირავებული ბინის ყველა ხარჯს იხდიდა თვითონ არტემი და ამ ბინის სივიწროვის გამო გუნდს თავის ბინაში ამეცადინებდა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – იცვლება დრო, მაგრამ არ იცვლებიან ადამიანები.

1940 წელს გუნდს შეუსრულდა მოღვაწეობის 15 წელი (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ7; ფურც.9-12). მეტად საყურადღებოა საქმე, რომელშიც თავმოყრილია საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა, მიმოწერები, საიუბილეო კონცერტების ნუსხა, ხარჯთაღრიცხვა, გამოყოფილია საიუბილეო ღონისძიებების მომწეობი კომისია და ოპერატიული დამხმარე კომისია. საიუბილეო ღონისძიებებით გათვალისწინებული იყო ბროშურის გამოცემა, „გულის ნიშნების“ (აღბად იგულისხმება სამკერდე ნიშნები) დამზადება. აღიძრა შუამდგომლობა ხალხური შემოქმედების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის არტემ ერქომაიშვილისათვის **რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების** მინიჭებაზე. მეტად საინტერესოა გუნდის ინვენტარის აღწერილობა, რომელშიც შედის ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები: ჩონგური, ფანდური, ზურნა, დოლი, სასცენო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (აჭარის ც.ა. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ9; ფურც.3).

1940 წლის I აგვისტოდან აჭარის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებით ეთნოგრაფიული გუნდი მოიხსნა სახელმწიფო დოტაციიდან და გადაყვანილი იქნა სამეურნეო ხარჯზე, ხოლო არტემ ერქომაიშვილი დატოვებული იქნა სამმართველოს განკარგულებაში. ამდენად გუნდმა ფუნქციონირება შეწყვიტა, თუმცა ცოტა მოგვიანებით ირკვევა, რომ ეთნოგრაფიული გუნდი შეუერთდა სახელმწიფო კაპელას და მათ ბაზაზე შეიქმნა აჭარის ცეკვისა და სიმღერების სახელმწიფო ანსამბლი (ფონდი რ-198).

აჭარის სახელმწიფო კაპელა 1936 წლიდან ფუნქციონირებდა. კაპელის დირექტორი იყო მიქელთაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ვლადიმერ კორშონი. 1939 წლის 3 მაისს კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად კორშონის ნაცვლად ინიშნება მელიტონ კუხიანიძე (აჭარის ც.ა. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ4; ფურც.52). სახელმწიფო კაპელის 1936-1940 წლების მოღვაწეობის მასალები ფონდში დაცულია 9 ს/ერთეულის რაოდენობით, ძირითადად ეს არის წლიური ბალანსები და ბრძანების წიგნი კაპელაში მუსიკოსთა დანიშვნა-განთავისუფლებაზე.

1939 წლის 4 აგვისტოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებით სახელმწიფო კაპელისა და ეთნოგრაფიული გუნდის ბაზაზე შეიქმნა აჭარის ცეკვისა და სიმღერების სახელმწიფო ანსამბლი. ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად დაინიშნა მელიტონ კუხიანიძე, მოადგილეებად დატოვებული იქნა: კაპელაში – მირიან ჩხიკვიშვილი, ეთნოგრაფიულ გუნდში – არტემ ერქომაიშვილი. შეიქმნა სამხატვრო საბჭო მ. კუხიანიძის თავმჯდომარეობით (აჭარის ც.ა. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ.4; ფურც.39,53). ეტყობა ანსამბლის შექმნის თარიღი მოგვიანებით სადაო გახდა, რადგან ფონდში დაცულია საქმე ანსამბლის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენის შესახებაც.

2002 წელს ანსამბლი 80 წლის იუბილისთვის ემზადებოდა. აღმოჩნდა, რომ იგი 62 წლის იყო. საკითხის დასაზუსტებლად დაინტერესებულმა მხარემ აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მომართა. არქივის თანამშრომლებმა პროფესიული სიზუსტით მოიძიეს ბრძანება ანსამბლის შექმნის შესახებ და პასუხიც მოამზადეს. საქმეში დაცულია აჭარის არ ცენტრალური არქივის მიერ მომზადებული ცნობა (აჭარის ც.ა. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ.399; ფურც.1), სადაც ვეცნობით, რომ აჭარის ხელოვნების სამმართველოს 1940 წლის ბრძანებით სახელმწიფო გუნდი რეორგანიზებული იქნა. დაითხოვეს ძველი შემადგენლობა. სამმართველოს განკარგულების მე-2 პუნქტით უნდა ჩამოყალიბებულიყო აჭარის სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი 60 კაცის შემადგენლობით, რომელიც მუშაობას შეუდგებოდა 16/XI-40-დან. ანსამბლის ცეკვების ხელმძღვანელად დაინიშნა ემელიანე დოლიძე, მეგრული სიმღერების ხელმძღვანელად ი. რურუა, ოთხხმოვანი სიმღერების ხელმძღვანელად საგამოცდო ვადით მიქელთაძე (აჭარის ც.ა. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ.5; ფურც.17-18).

სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებისათვის 1922 წლიდან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ლოტბარმა მელიტონ კუხიანიძემ და ქორეოგრაფმა დავით ჯავიშვილმა. პირველი ნაბიჯებიდან საყოველთაო აღიარებამდე ყოველდღიურ დაუღალავ შრომაში გამოვლილი 65 წელი თავმოყრილია ფონდის 1937-2002 წლების 237 ს/ერთეულში.

1961 წელს ანსამბლს მელიტონ კუხიანიძის სახელი მიენიჭა. „მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელობის ანსამბლი“ - ამ სახელითაა იგი ფონდირებულია აჭარის ცენტრალურ არქივში.

ფონდში დაცულია სახელმწიფო კაპელის და სახელმწიფო ანსამბლის შემოქმედების ამსახველი საარქივო დოკუმენტები: რეპერტუარები, საზღვარგარეთ ჩატარებული კონცერტების აფიშები, რეცენზიები, სტატიები და ფოტოსურათები, საპატიო ჯილდოზე წარდგენის მასალები, ანსამბლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გადაცემული საპატიო სიგელები.

ყურადღებას იქცევს აჭარის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1941 წლის 25 ივლისის ბრძანება: „აჭარის სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის მუშაობა შეწყდეს მთლიანად ამა წლის 8 აგვისტოდან.“ ანსამბლის დირექტორს მიქელთაძეს და ბუღალტერ ჩხაიძეს დაევადათ სამმართველოს ბალანსი ჩაბარება და ანსამბლის ქონებისა და ინვენტარის აღწერა (აჭარის ც.ა. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ.7; ფურც.191; საქ.8; ფურც.38,41)..

1936-1939 წლებში აჭარაში კულტურული ღონიძიებების მართვისა და კურირების თვალსაზრისით ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებ-

ბარებაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ესტრადა, რომელიც ხელმძღვანელობდა საესტრადო და ხალხური შემოქმედების, აგრეთვე ლიტერატურულ და სხვა კოლექტივებს.

1939 წლის 25 იანვარს სახელმწიფო ესტრადა რეორგანიზებული იქნა აჭარის სახელმწიფო ფილარმონიად - ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებარებაში (აჭარის ც.ა. ფონდი რ-832; აღწ.2; საქ.1; ფურც.1). 1953 წლის ივლისში იგი გადაეცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას, ხოლო 1955 წლის 15 დეკემბერს რეორგანიზებული იქნა აჭარის სახელმწიფო ფილარმონიად (აჭარის ც.ა. ფონდი რ-832; აღწ.2; საქ.1; ფურც.5).

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის ფონდში (რ-832) სხვა მასალებთან ერთად დაცულია: ცნობები ანსამბლ „ბოშები ესტრადაზე“ - შემოქმედების განხილვის, ლილიპუტების, მუსკომედიის, თოჯინების თეატრების საგასტროლო რეპერტუარების, შ. რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დონისძიებებისათვის მზადების, შენობის გადაცემის და სხვათა შესახებ. სულ დაცულია 1939-1960 წლების 104 ს/ერთეული.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შემადგენლობაში ფუნქციონირებდა კიდევ ერთი ხელმძღვანელი ორგანო - **ხალხური შემოქმედების კაბინეტი**, რომელიც 1937 წელს დაარსდა. 1940 წლიდან მას აჭარის ასსრ **ხალხური შემოქმედების სახლი** ეწოდება, 1946 წლის 15 მარტიდან აჭარის ასსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს **ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი**. აჭარაში კულტურის სამინისტროს შექმნის შემდეგ, 1954 წლიდან იგი კულტურის **სამინისტროს ხალხური შემოქმედების საოლქო სახლია**, ხოლო 1962 წელს ეწოდა **აჭარის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლი** (ფონდი რ-986).

ფონდში დაცულია აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან (შემდგომში მინისტრთა საბჭო) არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებები ხალხური შემოქმედების სახლის მუშაობის, რეორგანიზაციის, რაიონული გუნდების დებულების, ბავშვთა თვითშემოქმედების, რუსული დრამატული თეატრის შექმნის, ლიტერატურული ესტრადის, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების, ოლიმპიადების და სხვათა შესახებ (სულ 1937-1967 წლების 438 ს/ერთეული).

აჭარაში ხელოვნების დარგების ფონდების სრული მიმოხილვა შეუძლებელია ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის გარეშე. ბათუმის თეატრი, მისი ისტორია და შემოქმედებითი გზა ცალკე თემაა, ამიტომ მოკლედ მიმოვიხილავთ თეატრის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ ფონდებს.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია „ბათუმის სახელმწიფო თეატრის მშენებლობის ფონდი“ (რ-688), რომელიც ამ თეატრის მშენებლობას ეხება. იგი მოიცავს 1933-1953 წლების 76 ს/ერთეულს. მასში თავმოყრილია მასალები თეატრის მშენებლობის შესახებ, წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვა, გენერალური გეგმა, მშენებლობის პროგრამა.

სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების ფონდსაცავში დაცულია პროექტები, გაანგარიშებები და ა.შ. ხოლო კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების არქივსაცავში სხვადასხვა დროს გადაღებული ამ დიდებული შენობის ფოტოსურათები ექსტერიერი და ინტერიერი.

თეატრალურ ხელოვნებას აჭარაში არასოდეს აკლდა ზრუნვა და დახმარება.

1921 წლის 30 ნოემბრით დათარიღებულ აჭარისტანის განათლების კომისიის მოადგილის ქუთათელაძის მიერ აჭარისტანის რეგკომის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში „ქართული აკადემიური დასის დახმარებისა და მომავალი სეზონის გახსნის პირობების შესახებ“, ჩამოყალიბებულია ქართული დასის აკადემიურად გამოცხადების აუცილებლობა, რაც გამოიხატება ქ. ბათუმის, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის საერთაშორისო მნიშვნელობის აღიარებაში, რომ აკადემიურ დასს შესაძლებლობა ექნებოდა შეესრულებინა არა მარტო საბჭოთა იდეალების აგიტაციო-პროპაგანდის როლი, არამედ მსოფლიოსათვის ეჩვენებინა საქართველოს შემოქმედებითი უნარი ხელოვნების დარგში.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის 1921 წლისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, დასის შემადგენლობა და რეპერტუარი (აჭარის ც.ა. ფონდირ-2; აღწ.1; საქ.10; ფურც.2-5).

1921 წლისათვის აჭარის ქართული დასის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი მსახიობები: **ცაცა ამირჯიბი, ვერა ანჯაფარიძე, ალექსანდრე გარნელი, მარო მდივანი, ილია და შალვა ხონელი, მანუელ აფახაიძე, მიხეილ გელოვანი.** ამავე სიაშია **შალვა ინასარიძე,** შემდეგში ბათუმის თეატრის რეჟისორი, რომელმაც ბათუმის თეატრის სცენაზე მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მოამზადა და მსაქურებელს უჩვენა 100-ზე მეტი სპექტაკლი. აქედან განსაკუთრებული აღიარება მას და ბათუმის თეატრს „**ოიდიპოს მეფემ**“ მოუტანა, რომელიც მან **არჩილ ჩხარტიშვილთან** ერთად დადგა. **ოიდიპოს მეფეს** განასახიერებდა განუმეორებელი **იუსუფ კობალაძე.**

თეატრის რეპერტუარში შედიოდა არა მარტო ქართული კლასიკური, არამედ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ბუმბერაზ წარმომადგენელთა: შექსპირის, შილერის, შალვა დადიანის, გიორგი ერისთავის და სხვათა ნაწარმოებები.

1932 წელს ბათუმში სავასტროლოდ ჩამოდის რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი **სანდრო ახმეტელის** ხელმძღვანელობით. ირკვევა, რომ აჭარის ახალგაზრდობის პატარა ჯგუფი იგზავნება მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში. სანდრო ახმეტელი იღებს ინიციატივას მოამზადოს ეს ჯგუფი. ასე ჩამოყალიბდა რუსთაველის თეატრთან **სტუდია-სახელოსნოს აჭარის სექცია,** რომელშიც გაერთიანებული იყო 22 ახალგაზრდა: **ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე, ნ. ფხაკაძე, ნ. თეთრაძე, ლ. აფხაზავა, ზ. ღლონტი, ხ. მეგრელიძე, გ. ახვლედიანი, ი. კაიკაციშვილი** და სხვა.

აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში დაცულია 1936 წლის 17 იანვრის დადგენილება „აჭარელთა სტუდიის მიერ საჩვენებელი პიესის დადგმის ხარჯების გაცემის შესახებ“, სადაც ვკითხულობთ: „იმის გამო, რომ მაისის თვეში აჭარისტანის სტუდიელები რუსთაველის თეატრთან ამთავრებენ სასწავლო კურსს და ეწყობა მათი გამოცდა სათანადო პიესის დადგმით – გაცემულ იქნას 35 000 მან. პიესის შესყიდვის, დეკორაციების გაკეთების და სხვა ღონისძიებებისათვის. დაევალოს სახალხო კომისარიატს აღნიშნული თანხა გაითვალისწინოს 1936 წლის ბიუჯეტში“ (აჭარის ც.ა. ფონდირ რ-4; აღწ.1; საქ.908; ფურც.105).

1936 წლის აპრილში სტუდია დამთავრებულმა აჭარის წარგზავნილებმა თბილისს სადიპლომო სპექტაკლი უჩვენეს. ეს იყო **კ. გოლდონის** კომედია „**სასტუმროს დიასახლისი**“. დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **დოდო ალექსიძემ**. დადგმაში მონაწილეობდნენ **ნ. ფხაკაძე-მირანდოლინა**; **ი. კობალაძე-კავაღერი**; **გრ. კომახიძე-გრაფი**; **ი. კაიკაციშვილი-მარკიზი**; **ზ. ღლონტი-ფაბრიციო**, **ესედ ცივაძე-მსახური**; **ნ. თეთრაძე** და **ლ. აფხაზავა-მონეტიალე აქტიორი ქალები**.

თბილისელი მსახიობები, რომელიც განებივრებული იყო კ. მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის გენიალური სარეჟისორო ხელოვნებით, აღტაცებული შეხვდა სტუდიადამთავრებული აჭარელი ახალგაზრდების გაბედულ და პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯს სცენაზე. ეს იყო მათი სასცენო ნათლობა. წარგზავნილები გამარჯვებული დაუბრუნდნენ მშობლიურ ზღვისპირა ქალაქს. ეს გამარჯვება დაებედა ბათუმის თეატრს, რომელიც ყოველწლიურად კიდევ უფრო ძლიერდებოდა, იხვეწებოდა და ფრთებს შლიდა.

პირველი წარმოდგენა, რომლითაც 1937 წლის 18 მარტს გაიხსნა სახელმწიფო თეატრი, იყო **გ. მდივანის „ბრმა“**. დადგმა განახორციელა **დ. ალექსიძემ**. თეატრს ამ დროს სათავეში ედგა **არჩილ ჩხარტიშვილი**.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის ფონდში (რ-357) ბევრი საინტერესო მასალაა დაცული. აქაა 1951 წელს თბილისში გასტროლების დროს შედგენილი „შთაბეჭდილებების წიგნი“. ყურადღებას იპყრობს არა მარტო წიგნში გაკეთებული ჩანაწერები, არამედ თვით წიგნი, რომლის გარეკანზე აღნიშნულია, რომ წიგნი შედგენილია: „საქართველოს თეატრალური საზოგადოების კაბინეტის გამგეების: **კაპიტონ გაწერილიას** (ქართული თეატრის ისტორიის კაბინეტის გამგე), **მერი დავითაიას** (რეჟისორისა და მსახიობის კაბინეტის გამგე) და **მერი ღვინიაშვილის** (ქართული დრამატურგიისა და კრიტიკის კაბინეტის გამგე) მიერ (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.41).

აჭარის კულტურის სამინისტროს 1957 წლის მასალებში დაცულია 1957 წელს თბილისში გამართული აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ჩატარების პროგრამა, გეგმა-განრიგი, ხარჯთაღრიცხვა და სხვა საინტერესო მასალები ამ დეკადის შესახებ (აჭარის ც.ა. ფონდი რ-972; აღწ.1; საქ.232). აქვეა დეკადაზე წარმოდგენილი სპექტაკლების პროგრამები და მოსაწვევი ბარათები. აღფრთოვანებული თბილისი ტაშს უკრავდა **ვ. კანდელაკის** „მაია წყნეთელს“, **შექსპირის** ტრაგედიას „**ჰამლეტი**“, **პარმენ ლორიას** „დინარა“-ს შტეინის „პერსონალურ საქმე“-ს და სოფოკლეს „მეფე ოიდიპოს“.

საქართველოს სახალხო არტისტის **ი. კობალაძის** პირად ფონდში (რ-1011) დაცულია ფოტომასალა თბილისში ჩატარებული დეკადის შესახებ.

1968 წელს ბათუმის თეატრი მონაწილეობს დრამატული თეატრების სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსში, სადაც მან პირველი ადგილი დაისაკუთრა. გამარჯვებულმა გასტროლები გამართა კრემლში. ეს უდავოდ იყო დიდი აღიარება და თეატრალური ოლიმპოს მწვერვალის დაპყრობა.

ბათუმის თეატრის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ბლავოკვარდის (ბულგარეთი) **ნ. ვაპცაროვის** სახელობის თეატრს. ამ ორ თეატრს შორის გაიბა მჭიდრო მეგობრული და შემოქმედებითი კონტაქტები. თეატრის

ფონდში დაცულია უამრავი მასალა ქართველი და ბულგარელი ხალხის მეგობრობის შესახებ ამ თეატრების შემოქმედებითი ურთიერთობის ფონზე. ფონდებში წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ბულგარელი და ქართველი რეჟისორების გაცვლას ეხება. ბლაგოვეგრადის თეატრში ნ. დუმბადის პიესის „ნუ გეშინია, დედა“ დასადგმელად მიიწვიეს ბათუმის დრამატული თეატრის რეჟისორი გ. ქავთარაძე. სპექტაკლის პრემიერა შედგა 1972 წლის 15 იანვარს (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.192; ფურც.24; საქ.206; ფურც.1). ბათუმის თეატრში ბულგარელი მწერლის სტოიანოვის პიესის „ოსტატები“-ს დადგმა განახორციელა ბულგარელმა რეჟისორმა ანდრეი კაღდლოვმა. პრემიერა დაინიშნა 1972 წლის 29 დეკემბერს (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.205; ფურც.41).

თეატრის ფონდებში დაცულია ხარჯთაღრიცხვა და პროექტი ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მუსიკალურ-დრამატულ თეატრად გადაკეთების შესახებ (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.198); მიმღწერები საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდან თეატრის საგასტროლოდ მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.160); მასალები ქართული თეატრის ტრადიციული დღის აღნიშვნისა და ცალკეული მსახიობების შემოქმედებითი სადამოების მოწყობის შესახებ; დეპეშები, პრემიერების, შემოქმედებითი სადამოების დანიშვნის, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული და სხვა მასალები (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.151; 131;108).

ფონდში დაცულია აგრეთვე ქართველ ავტორთა პიესები და პიესების ანოტაციები ბულგარეთში საგასტროლოდ გამგზავრებასთან დაკავშირებული და მიმღწერები და ა. შ. (აჭარის ც.ა. ფონდი რ-357 აღწ.1; საქ.172).

ბათუმის დრამატულმა თეატრმა 1937 წლიდან 1997 წლამდე ბევრი საუკეთესო დადგმა განახორციელა. მათმა რიცხვმა 400-ს მიაღწია. თ. კომახიძის წიგნში „აჭარის კულტურის ისტორია“, რომელიც ცენტრალურ არქივში დაცული ფონდების მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა, წარმოდგენილია თეატრის მიერ განხორციელებულ დადგმათა სრული სია დაარსებიდან დღემდე (278-291 გვ). სიაში მითითებულია პიესების დასახელება, ავტორი, დადგმელი რეჟისორები და გამომშვების თარიღები.

ყველა აქ ჩამოთვლილ დაწესებულებებს ხელმძღვანელობდა ხელოვნების საქმეთა სამმართველო (რ-281), რომელიც 1936 წელს აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ჩამოყალიბდა ხელოვნების საქმეთა განყოფილების სახით. 1937 წლიდან განყოფილება რეორგანიზებულ იქნა სამმართველოდ და მას შეუერთდა სიძველეთა ძეგლების დაცვის განყოფილება. აჭარცაკის ლიკვიდაციის შემდეგ ხელოვნების საქმეთა სამმართველო შევიდა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დაქვემდებარებაში, ხოლო მისი მინისტრთა საბჭოდ გარდაქმნის შემდეგ ხელოვნების საქმეთა სამმართველო დაექვემდებარა აჭარის მინისტრთა საბჭოს. 1953 წლიდან ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო. ხელოვნების საქმეთა სამმართველო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა სამმართველოს სახით შევიდა აჭარის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ხელოვნების საქმეთა სამმართველო სამხატვრო-შემოქმედებით ხელმძღვანელობას უწევდა აჭარაში მოქმედი კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებების, კინომომსახურეობის, სიძველეთა დაცვის და სპეციალური

კულტურულ-საგანმანათლებლო მუსიკალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლების საქმიანობას.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ფონდში (რ-281) დაცულია: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები, სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმები: სიძველეთა ძეგლების დაცვის დონის-ძიებების, ისტორიული ძეგლების სიის დადგენის, ქვემდებარე დაწესებულებებში რეორგანიზაციის, სასწავლო დეწესებულებების, ხულოს სკოლა-თეატრის მუშაობის ამსახველი და სხვა მასალები.

1953 წლის 21 მაისს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აჭარაში მოქმედი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს, კინოფიკაციის სამმართველოსა და რადიოკომიტეტის ბაზაზე შეიქმნა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო, რომლის ფუნქციას შეადგენდა სანახაობათა დაწესებულებების, გამომცემლობის და სპეცკულტურულ-საგანმანათლებლო მუსიკალური სასწავლებლების ხელმძღვანელობა. მოგვიანებით, კერძოდ 1957 წელს კულტურის სამინისტროს გამოეყო რადიოინფორმაციის განყოფილება და შეიქმნა რადიომაუწყებლობის კომიტეტი, ხოლო 1963 წელს გამოეყო კინოფიკაციის განყოფილება და შეიქმნა კინოფიკაციის სამმართველო.

კულტურის სამმართველოს ფონდი (რ-972) აერთიანებს 1953-2004 წლების 1 527 ს/ერთეულს და შეიცავს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან დოკუმენტებს ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მათში წარმოდგენილია მასალები სამუზეუმო-საბიბლიოთეკო, თეატრალურ-საკონცერტო, ფოლკლორისა და ხალხური შემოქმედების, სახელოვნებო განათლების საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულია სამხატვრო სასწავლებლის, ი. კობალაძის სახელობის ქორეოგრაფიული კოლეჯის, სამუსიკო სასწავლებლებისა და კონსერვატორიის ფონდები, რომლებიც შესაბამის შესწავლას საჭიროებს.

ეთნოგრაფიულ და ხელოვნების საქმეთა სამმართველო ფონდებზე მუშაობისას ხელნაწერების და ხელმოწერების კითხვის დროს თვალი ერთმა ლამაზმა მრგვლოვანი ასოებით გაკეთებულმა ხელწერამ მიიპყრო. ჩვენს წინ 1939-1940 წლების დოკუმენტია, რომლის შექმნიდან 7 ათეულ წელზე მეტია გასული. ხელმოწერის გვერდით მანქანით ნაბეჭდზე ნათლად იკითხებოდა ბაბუას გვარი. მეტი სიზუსტისათვის უფრო მეტად ჩაუღრმავდი სარქივო დოკუმენტებს, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ წლიური ანგარიში შედგენილია და დასკვნით ბალანსებს ხელს აწერდა **ვლადიმერ რურუა**, რომელიც 1938-1940 წლებში კაპელის და საერთოდ ხელოვნების სამმართველოს ობიექტების გუნდის ბუღალტერი იყო. სხვათა ნამოღვაწარის შესწავლისას ცნობილი ადამიანების გვერდით შენი წინაპრის სახელი გაიფიქრებს უდაოდ არის საამაყო და ამაღელვებელი.

ეს პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი კარგი მაგალითია იმის დასადასტურებლად, რომ არქივი ამოუწურავი საცავია ინფორმაციისა, სადაც ყოველწუთს შეიძლება წააწყდე საინტერესო და მნიშვნელოვან დოკუმენტებს. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ დოკუმენტების შექმნას, შენახვას და დაცვას დიდი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა სჭირდება. თითოეული დოკუმენტი დაწესებულების, ადამიანის, საერთო ჯამში კი ჩვენი ქვეყნის ისტორიაა.

გამოყენებული წყაროები

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასსცსა):

1. ფონდი რ-1; აღწ.1; საქ.4; ფურც.87
2. ფონდი რ-2; აღწ.1; საქ.21; ფურც.11-13
3. ფონდი რ-2; აღწ.1; საქ.169; ფურც.216-219
4. ფონდი რ-4; აღწ.1; საქ.32
5. ფონდი რ-190; აღწ.1; საქ.1; ფურც.35
6. ფონდი რ-194; აღწ.1; საქ.1; ფურც.23
7. ფონდი რ-195; აღწ.1; საქ.5; ფურც.13
8. ფონდი რ-198; აღწ.1; საქ.4; ფურც.52
9. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.151; 131;108
10. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.205; ფურც.41
11. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.41
12. ფონდი რ-357; აღწ.1; საქ.192; ფურც.24; საქ.206; ფურც.1
13. ფონდი რ-357 აღწ.1; საქ.172
14. ფონდი რ-832; აღწ.2; საქ.1; ფურც.1

Maia Rurua

The issues of Art history in South-West Georgia

Summary

After returning to homeland, Georgian delegation with the guidance of Iliа Chavchavadze undertook cultural- educational mission in South-West Georgia. With using of rich archival data in article is discussed about main issues of Art history in this part of Georgia.

ნატო ქიქავა

ბრიტორ პინიანცის ცხოვრება და ღვაწლი
(საარქივო სამმართველოში დაცული პირადი ფონდის მასალების მიხედვით)

საარქივო საქმის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის გრიგოლ ასათურის ძე პინიანცს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი იყო ენთუზიასტი, ნოვატორი, იდეების გენერატორი, საარქივო საქმის წარჩინებული მუშაკი. მის მიერ შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული, არგუმენტირებული, სახელმწიფოებრივად გამართლებული არაერთი კონცეფცია არსებული შრომითი რესურსების ბაზაზე საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მას მომზადებული ჰქონდა სპეციალური წერილი გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ უფროსის მარგველადის სახელზე, რომელშიც თხოვდა საარქივო საქმის პერსპექტიული განვითარებისა და რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნებას (ფ.რ-271. ან.1, საქმე №2, გვ.8-12).

გრიგორი პინიანცი დაიბადა 1923 წ. 10 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ასათურ პინიანცისა (1878-1960) და მაკრინე ჩხაიძე – პინიანცის (1893-1983) შესანიშნავ ოჯახში. ოჯახში ჩამოყალიბდა გულისხმიერების, მოყვასის სიყვარულისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის შესაშური თვისებები.



გრიგორ პინიანცმა 1941 წ. დაამთავრა ბათუმის №18 საშუალო სკოლა. 1941 წლის ივნისში იგი გააგზავნეს ხარკოვის უმაღლეს სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში. აღნიშნულ სასწავლებელში გატარებული რეფორმების შემდეგ იგი გადაიყვანეს კიევის სამხედრო ოლქში - სამხედრო სამსახურში, მოგვიანებით კი მეცხრე სამხედრო ოლქში. ქ. ბელოცერკოვში გრიგორ პინიანცს დაემართა კანტუზია, რის გამოც იგი დიდხანს მკურნალობდა ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში. ბრიგადად, რომელსაც გრ. პინიანცი ხელმძღვანელობდა, აჩვენა საბრძოლო ხელოვნების შესანიშნავი მაგალითები მოზდოკთან, ბესლანთან, მეღდობეკთან და ორჯონიკიძესთან წარმოებულ ბრძოლებში. საბრძოლო ბრიგადა მოგვიანებით გადაიყვანეს ტუაპსეში. მალე გრიგოლ პინიანცს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეექმნა სერიოზული პრობლემები (მოყვინა ფეხები), რის გამოც იგი სამკურნალოდ

გადაიყვანეს სოჭის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ გაგზავნილ იქნა 109-ე საგვარდიო დივიზიაში. სამხედრო ოპერაციებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის გრ. პინიანცი ორჯერ იქნა დაჯილდოებული „გმირის წოდების“ საბრძოლო ჯილდოთი.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1944 წ. 4 მარტს გრ. პინიანცმა დაიწყო მუშაობა აჭარის საარქივო განყოფილებაში უფროს ინსპექტორად. 1954-1957 წწ. მან სსრ კავშირის სახელმწიფო არქივში წარმატებით გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. იმავე პერიოდში (1954 წელს) დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტიც. 1967 წელს გრ. პინიანცი დააწინაურეს და დანიშნეს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 1949-1964 წწ. არაერთხელ იქნა არჩეული საარქივო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 1948 წლიდან იგი იყო საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე. სხვადასხვა დროს ბათუმის საქალაქო, საოლქო პარტიული კონფერენციების მონაწილე. მონაწილეობდა აგრეთვე ადგილობრივი საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, მუშაობდა საუბნო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზეც.

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი სამჯერ დააჯილდოვეს საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით, უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებით კი მას მიენიჭა სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკის წოდება.



გრ. პინიანცის პირად ფონდში მრავლადაა მიმოწერები სხვადასხვა სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელობასთან, რომლებშიც გამოსატულია უდიდესი სიყვარული ერის ისტორიული მესხიერების – არქივისადმი, წარმოდგენილია საარქივო დარგის განვითარების თავისებური გეგმა და პერსპექტივები. მის წერილებში ნათლად ჩანს უდიდესი მზრუნველობა, სიყვარული და პატივისცემა არქივის თითოეული თანამშრომლისადმი, განსაკუთრებით ომისა და შრომის ვეტერანებისადმი. სოციალური უზრუნველყოფის საკავშირო უწყებისადმი გაგზავნილ წერილში პინიანცი მოითხოვს ომის მონაწილეების მიმართ შეღავათების დაწესებას და მოითხოვს ვეტერანებისათვის კომუნალური გადასახადების შემცირებას. თავდაცვის მინისტრის უსტიწონოვისა და ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე ბოტოვისთან გაგ-

ზავნილ წერილში იგი მოითხოვს III ჯგუფის ინვალიდებისათვის გათვალისწინებული შეღავათების გათანაბრებას I და II ჯგუფის ინვალიდებთან. მისმა ზრუნვამ ნაწილობრივი შედეგი გამოიღო, რაც ჩანს მინისტრთა საბჭოს საპასუხო წერილიდან. სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი უწყება გამოთქვამს მზადყოფნას აღნიშნული საკითხის განსახილველად (გ.პინიანცის პირადი ფონდი რ-271. ან.1, საქმე№9).

გრიგორ პინიანცი იყო ძალიან კეთილსინდისიერი, გულისხმიერი ადამიანი, უკეთილშობილესი პიროვნება. იგი მუდმივად ზრუნავდა, რათა არქივისტებისათვის შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები შეექმნა. ერთ-ერთ წერილში იგი მკაცრად თხოვს პასუხს სახელისუფლებო სტრუქტურებს, კერძოდ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მადგილეს, ბატონ არჩილ ტაკიძეს კ. ურუშაძის დეაწლის შეუფასებლობისათვის (გ.პინიანცის პირადი ფონდი რ-271. ან.1, საქმე№9.გვ.41)

გრიგოლ პინიანცი ეწეოდა შემგროვებლობით საქმიანობასაც. მისი უშუალო მოწადინებითა და ინიციატივით შეგროვდა უნიკალური ფოტოდოკუმენტები, პრესის მასალები, რითაც მნიშვნელოვნად შეივსო არქივის ფოტოფონდები.

მისი ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო საზოგადოებაში მიმდინარე კულტურული თუ პოლიტიკური პროცესები, რომლებიც შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ფონდი რ-271. ან.1, საქმე№9. გვ.1-31). იგი სისტემატიურად მოითხოვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან საარქივო საქმიანობის პროპაგანდასა და პერიოდულ გაშუქებას (ფ.რ-271. ან. 1. საქმე №5.). იგი სისტემატიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებსა თუ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. მის პირად არქივში დაცულია დასახელებულ ღონისძიებებზე მისი გამოსვლის ტექსტები (გ.პინიანცის პირადი ფონდი რ-271. ან.1, საქმე №9).

გრ. პინიანცის ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო საარქივო ფონდების თავმოყრის, მოძიების, დაცვის, საარქივო დაწესებულებებში საქმისწარმოების სრულყოფის საკითხები, სახელმწიფო საარქივო ფონდების დაკომპლექტებისათვის ზრუნვა, რადგანაც მას კარგად ესმოდა საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო ისტორიული თუ პოლიტიკური ღირებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით მისი ხელით დაწერილია არაერთი წერილი, რომელთა ნაწილი ინახება აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში (ფ.რ-271. ან.1 საქმე№2, გვ.1-7., (ფ.რ-271. ან.1. საქმე №4.)

გრ. პინიანცის დამოკიდებულება საარქივო საქმიანობისადმი ნათლად ჩანს მის მიერ ამოკრებილ ციტატებში, რომელიც მოცემულია პლაკატის „არქივი – ხალხის სამსახურში“, მაკეტში (ფ. რ-271, ან.1, საქმე №7)., კერძოდ:

1. „არქივი არის ყოველი დაწესებულების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან

მისგან, მისი კარგი ორგანიზაციის მეოხებით შეგვიძლია მივიღოთ საჭირო ცნობა

და ბოლოს და ბოლოს, შევიძინოთ გამოცდილება, რასაც ხშირად სრულიად ვერ ვიყენებთ.”

1. „უარქივო დაწესებულება – მესხიერებას მოკლებული ორგანიზაცია.

2. ცუდი არქივის მქონე დაწესებულება – ეს არის ერთიმეორის საწინააღმდეგო მითითება, ორმაგი მუშაობა, შეცდომების განმეორება.

3. სანიმუშო არქივი – ეს არის დროის, ძალების, საშუალებების ეკონომია, რეგულაციურ მიდევნება საუკეთესო სურათი.

მის პირად ფონდში მრავლადაა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საარქივო საქმის განვითარებას აჭარაში. იქვეა სტატიები საქმისწარმოების შესახებ, მაკეტები კრებულებისა: „სამეგობრო ურთიერთობა ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის კოლხოზებსა და აჭარის ბათუმის რაიონის კოლხოზებს შორის (1954-1954)“; „ბათუმის ოლქის მიერთება რუსეთთან (1878-1978)“; „ბათუმის საზღვაო პორტისა და საქართველოს საზღვაო ნაოსნობის განვითარების ისტორია“ და ა. შ.

თანამშრომლებისადმი გამოხატულმა პატივისცემამ, გულისხმიერებამ და ერთგულებამ განაპირობა ის დიდი სიყვარული, რომელსაც განიცდიდა გრიგოლ პინიანცი თავისი კოლეგებისა და მეგობრებისაგან. შრომითი კოლექტივის ეს დიდი სიყვარული გამოიხატა ბატონი გრიგოლის 55 წლის იუბილეზე, ნუნუ სკამკოჩაიშვილის ლექსში, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:

„წლები ისე გაგვიფრინდნენ,
როგორც ცხენთა მარულა,
დრომ თავისი გაიტანა
ფიქრიც შემოპარულა.
და ჭაღარაც შეგრევიან
თმებში, როგორც სირმები
აღარ გვატკობს ჭაბუკური
გაზაფხულის იები...
ნახევარი საუკუნის
მეტი გზები გალიე,
გამარჯვების სადღეგრძელო
თვით ბერლინში დალიე.
დაუბრუნდი მშობელ მხარეს
ვალმოხდილი ვაჟკაცი
და გატკობა ბათუმური

მზის მცხუნვარე კაშკაში.
და შეიტკბე შრომის ფასი,
შრომის სიო ახალი,
ისე ღვეხარ ჩვენს არქივში
მუხა ფესვებ მაგარი.
როგორც იდგნენ გმირნი ძველად
შამქორსა თუ ბასიანს,
მოგილოცავ იუბილარს,
წლებს ასჯერ, ასიანს.
არაფერი არ მომხდარა
დღე შუადღის დამდგარა,
მხნედ იყავი, შუადღის მზე
უფრო ათბობს თაკარა.
გაიხარე, იდღეგრძელე!
მზე სიხარულს აწვიმებს,
ეგ კეთილი გულის სითბო,
ყველას გაგვინაწილე“.

გამოყენებული წყაროები:

ასსცსა, ფონდი რ-271, საქმეები: 2, 4, 5, 7, 9

Nato Kikava

Life and deeds of Grigori Pininatsi

Summary

Grigori Piniantzi was one of the honorable and succesful worker of Archive. According to his private fund materials protected in Archives Administration, in this article is reviewed important issues of his life, work and public activites

**აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ
2012 წელს გაწეული მუშაობის
ა ნ ბ ა რ ი შ ი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2012 წელს მუშაობას წარმართავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

2012 წელს საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების არქივების მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების ფორმირების, მათი შემფასებელი ექსპერტიზის და საუწყებო შენახვის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განმტკიცებისათვის.

საარქივო სამმართველომ 2012 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამმართველოს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიულ ორგანოების არქივების და უწყებების მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს ყოველკვირეულად წარედგინებოდა ინფორმაცია საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ჩატარებული მუშაობის შედეგებზე.

I. დოკუმენტების დაცვა და შენახვა

საარქივო სამმართველომ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა დოკუმენტების დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით. შეიკერა, ყდაში ჩაისვა და ჩაკერდა გეგმით გათვალისწინებულ საქმეთა ერთეულზე მეტი რაოდენობა, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ ცხრილში:

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	პროცენტი
1	საარქივო სამმართველო	374	411	109
2	ქობულეთის არქივი	365	392	107
3	ხელვაჩაურის არქივი	200	215	107
4	ქედის არქივი	401	401	100
5	შუახვევის არქივი	200	200	100
6	ხულოს არქივი	300	300	100
7	სულ:	1840	1919	104

საარქივო სამმართველოში მარტივი ფურცლოვანი რესტავრაცია ჩატარდა 40 449 ფურცელს, (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30058 ფურცლისა). გასათვალისწინებელია, რომ სარესტავრაციო სამუშაოების ტექნიკური შესრულება და სარესტავრაციო მეთოდები მოითხოვს სრულყოფას, დახვეწას და ახლის დანერგვას, დაზიანებული დოკუმენტების თანამედროვე საშუალებებით ხარისხობრივი დაუმუშავების გაუმჯობესებას.

გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოსაველენად. 2012 წელს გადათვალთვალდა აჭარის ასსრ განათლების სახელმწიფო კომისარიატის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (ფონდი რ-838) 1932-2004 წლების საქმეები, 1135 ქალაქდასაფუძვლიანი დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1135 შესანახი ერთეულისა. გამოვლინდა 83 განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტი (გეგმა შესრულდა 100%-ით). შედგა აღწერილობითი სია, რომელიც განხილული იქნა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით. სულ შემოწმდა 28 205 შ/ერთეული, საქმეთა შენაკერებზე გამოიცვალა ძაფები და იარლიყები, მოხდა საქმეთა სანიტარულ-ჰიგიენური გაწმენდა-დასუფთავება და თაროებზე განლაგდა ტოპოგრაფიული წესის მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების შესრულება თვალნათლივ ჩანს წარმოდგენილ ცხრილში.

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	პროცენტი
1	სამმართველო	24024	24430	101
2	ქობულეთის არქივი	767	767	100
3	ხელვაჩაურის არქივი	1242	1330	107
4	ქედის არქივი	353	357	101
5	შუახევის არქივი	318	318	100
6	ხულოს არქივი	1000	1003	100
	სულ:	27707	28205	101

არსებობის და მდგომარეობის შემოწმება ჩატარდა აგრეთვე აუდიოვიზუალურ (კინო-ფოტო) დოკუმენტებსაც. შემოწმდა კინოდოკუმენტის 788 შესანახი ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 788 შ/ერთეულსა (გეგმა შესრულდა 100%-ით). აუცილებელი მიმდინარეობს ფოტოდოკუმენტების თემატური დამუშავების პარალელურად შემოწმდა 3447 ფოტოდოკუმენტი. სულ შემოწმდა 4 265 აუდიოვიზუალური დოკუმენტი.

II. დოკუმენტების საინფორმაციო – საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება

დოკუმენტების აღწერა – გეგმით არ არის გათვალისწინებული.

დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება – გაუმჯობესების მიზნით საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ჩატარდა სერიოზული სამუშაოები გადამუშავება-გაუმჯობესება ჩატარდა 43 ფონდის 4085 საქმეთა ერთეულს.

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანოს არქივები	ფონდების რაობა	საზომი ერთეული	გეგმა	შესრულება	პროცენტი
	სამმართველო	37	საქმე	3674	3432	93
	ქობულეთის არქივი	5	-----	516	516	100
	ხულოს არქივი	1	-----	100	137	137
	სულ:	43	-----	4290	4085	95

გასანადგურებლად გამოიყო 1264 ს/ე. აღიწერა 2469 საქმე. ხელვაჩაურის, ქედის და შუახევის არქივებში აღნიშნული სამუშაოები გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

2012 საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამუშაო გეგმის შესაბამისად გაუმჯობესდა-გადამუშავდა **აუდიოვიზუალური დოკუმენტების ანაწერები**. გადამუშავდა კინოდოკუმენტების 1083 სააღრიცხვო ერთეულის ანაწერი. (გეგმით გათვალისწინებული 1083 ერთეული. გეგმა შესრულდა 100 %-ით). გეგმით გათვალისწინებული იყო 4500 შესანახი ერთეულის ანაწერების გადამუშავება. ფაქტიურად შესრულდა 4500 შესანახ ერთეულზე (შესრულდა 100 %-ით), გადამუშავდა ფოტოდოკუმენტის 3477 შესანახი ერთეულის აღწერა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000 შესანახი ერთეულისა (გეგმა შესრულდა 173 %-ით). ტერიტორიულ ორგანო შუახევის არქივში გეგმით გათვალისწინებული იყო 200 ფოტო დოკუმენტის ანაწერის გადამუშავება. გადამუშავდა – 200 ანაწერი (გეგმა შესრულდა 100%-ით).

გადამუშავდა ფონოდოკუმენტის 1000 შესანახი ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1000 შესანახი ერთეულისა (გეგმა შესრულდა 100 %-ით).

6. დოკუმენტების კატალოგიზაცია გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

III. ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება დოკუმენტების მიღება:

საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 2012 წელს სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია და აღრიცხვაზე აყვანილია სულ-5055 საქმეთა ერთეული, აქედან საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში მიღებულია სულ 2279 საქმე, მათ შორის მმართველობითი - 1925 საქმეთა ერთეული. წარმოდგენილი ცხრილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების პროცესს საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში:

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზომი ერთეული	გეგმა	შესრულება	პროცენტი
1	საარქივო სამმართველო	საქმე	1454	2279	132
2	ქობულეთის არქივი	-----	365	721	197
3	ხელვაჩაურის არქივი	-----	777	890	114
4	შუახევის არქივი	-----	420	477	133
5	ქედის არქივი		100	249	249
6	ხულოს არქივი		250	419	67
	სულ:		3366	5055	149

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობით სიებს, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. მიღებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად. თითოეული ფოტო ჩაიწყო კონვერტში, გაიშიფრა სათაურები. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები. ფოტოფირებზე აღიბეჭდა საარქივო სამმართველოში გამართული სხვადასხვა ღონისძიებები.

სახელმწიფო აღრიცხვაზე მიღებულ ფონდებზე შედგა ფონდის ბარათები. განახლდა განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების სია. მოხდა გეგმით გათვალისწინებული 5000 ბარათის ერთიან საფონდო კატალოგში ფონდის ბარათების განახლება-დაზუსტება.

მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა – გადათვალიერება

2012 წელს სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩატარდა 9 ფონდის სულ 2031 საქმეს – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1955 საქმისა (გეგმა შესრულდა 103 %-ით); მაკულატურაში გამოიყო 1656 საქმე; აღწერილობითი სია შედგა 375 შესანახ ერთეულზე. აქედან მიზნობრივი ექსპერტიზა ჩატარდა მმართველობითი ხასიათის დოკუმენტების 286 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1955 საქმისა. მაკულატურაში გამოიყო 98 საქმე, აღწერილობითი სია შედგა 188 შესანახ ერთეულზე. გეგმით არ იყო გათვალისწინებული პირადი შემადგენლობის საქმეთა ექსპერტის ჩატარება, მაგრამ აუცილებლობიდან გამომდინარე პრაქტიკულად საჭირო შეიქმნა პირადი შემადგენლობის 1745 საქმეთა ერთეულს მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება, მაკულატურაში გამოიყო 1558 საქმეთა ერთეული და ანაწერი შედგა 187 საქმეთა ერთეულზე.

2012 წელს სამმართველოს სპეციალისტების მიერ მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა დაწესებულება – ორგანიზაციის 28259 საქმე (მათ შორის მუდმივად შესანახი 3292 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 3675 საქმე, დროებითად შესანახი 2821 საქმე). მაკულატურისათვის გამოიყო 18481 საქმე. დაწესებულება – ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებით.

საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება).

2012 წელს სამმართველოში ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 7 სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა დაწესებულება-ორგანიზაციის 120 საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 6627 საქმე, პირადი შემადგენლობის 2886 საქმე, პირადი წარმოშობის 56 საქმე და 247 ფოტოდოკუმენტი. აქტების მიხედვით გასანადგურებლად შეირჩა 29 351 საქმეთა ერთეული. ასევე განხილული იქნა 136 საქმეთა ნომენკლატურა.

საარქივო სამმართველოს დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება სახელშეკრულებო საწყისებზე არ ხორციელდება, რადგან სტრუქტურით და საშტატო განრიგით განყოფილების სპეციალისტები დებულობენ საშტატო სახელფასო სარგოებს.

IV . დოკუმენტების გამოყენება

დოკუმენტების გამოყენების კუთხით მოქალაქეებიდან შემოვიდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის – 4539 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 4290 შეკითხვას. ბიუჯეტში ჩაირიცხა 99 581 ლარი. მათ შორის სამმართველოში შემოვიდა 486 შეკითხვა. დადებითი პასუხი გაიცა 345 შეკითხვას. ბიუჯეტში ჩაირიცხა 11 810 ლარი. მთლიანად, საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში შემოსული განცხადებებისა და

ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების რაოდენობა ცხრილის სახით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოების დასახელება	შემოსული შეკითხვების რაოდენობა	დადებითი პასუხი	ბიუჯეტში ჩარიცხული თანხა
საარქივო სამმართველო	486	345	11810
ტერიტორიული ორგანო-ქობულეთის არქივი	882	826	24 178
ხელვაჩაურის არქივი	2180	2149	53500
ქედის არქივი	379	371	3773
შუახევის არქივი	200	194	1630
ხულოს არქივი	412	405	4690
სულ საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოებში	4539	4290	99581

დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება.

2012 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 10 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 გამოფენისა. მათ შორის:

1. საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემების და არქივების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტების გამოფენა (02.03.2012წ.).
2. განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოფენა (24.01.2012წ.).
3. საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემების გამოფენა (ქურნალ „არხეონის“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით) (22.02.2012წ.).
4. ფოტოკოლაჟი საბჭოთა ოკუპაციის 91-ე წლისთავთან დაკავშირებით (27.02.2012წ.).
5. ჯემალ ნოღაიდელის პირად ფონდში დაცული დოკუმენტების გამოფენა (23.03.2012წ.).
6. ტერიტორიული ორგანო ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს არქივების ახალი ადმინისტრაციული შენობების გახსნასთან დაკავშირებით დაკავშირებული გამოფენა და სხვა.

რადიო და ტელეგადაცემის მომზადება

2012 წელს მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 8 გადაცემა (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 გადაცემისა). კერძოდ:

1. სოფიის კირილეს და მეთოდეს ეროვნული ბიბლიოთეკიდან (ბულგარეთი) XVI-XVIII საუკუნის ოსმალური დოკუმენტების შემოტანასთან დაკავშირებით;
2. გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელთნაწერთა ფონდში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების შემოტანასთან დაკავშირებით;
3. ჯ. ნოღაიდელის პირადი ფონდის მიმოხილვასთან დაკავშირებით;
4. „ბათუმური ისტორიები“, „აჭარაში სასწრაფო დახმარების დაარსებასთან დაკავშირებით“, „სახლი ბათუმში“, „ბურუნ თაბიეს“ შესახებ და ა. შ.

ექსკურსია-გაკვეთილები:

სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოს არქივებში სტუდენტებს და მოსწავლე-ახალგაზრდებს ჩაუტარდათ 9 ექსკურსია-გაკვეთილი (გვეგვით გათვალისწინებული 9 ექსკურსია-გაკვეთილის) შემდეგ თემებზე: „არქივი - ჩვენი წარსული, აწყმო და მომავალი“, „ქართველი ერის ზეიმი“, „რაიონის გამოჩენილი ადამიანების პირადი ფონდების შესახებ“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“, „გიორგი მაზნიაშვილი – ბრძოლები ბათუმისთვის“, „სამკითხველო დარბაზში მუშაობის წესები“ და ა. შ.

სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება.

სამკითხველო დარბაზი 2012 წელს მოემსახურა 23 მკვლევარს, რომლებსაც მიეწოდათ 646 საქმეთ ერთეული. მრავალფეროვანი იყო მკვლევართა მუშაობის თემატიკა. ისინი მუშაობდნენ შემდეგ ძირითად თემებზე: „ქედის რაიონის ისტორია“; „ჰერეთის, ლაზეთის, თურქეთის და თურქეთის საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი“; „შავი ზღვის პორტები და სასულიერო არქიტექტურა ქალაქ ბათუმში“; „2000-2005 წლის ტყით სარგებლობა, უნებართვო ჭრების და ტყის ხანძრების შესახებ“; „XX საუკუნის ცირკი და საცირკო სანახაობა ბათუმში“; „არქივის განვითარების ისტორია აჭარაში“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის (აჭარა) ნარკვევები 1921-1991წ.წ (ტ-IV)“; „ბათუმის ოლქი 1917-1920 წ.წ (ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობა)“; „№8 საჯარო სკოლის პედსაბჭოს სხდომის ოქმები (2000-2003 წ.წ)“.

17. საინიციატივო ინფორმაცია

2012 წელს გვეგვით გათვალისწინებული იყო 2 საინიციატივო ინფორმაციის (წერილი) მომზადება. მომზადდა ორი, კერძოდ: ა) აჭარისწყლის მაზრაში სახალხო სასამართლოს დაარსების შესახებ (1924 წელი) “; ბ) „ფოტოგრაფიის მოყვარულთა არტელის არსებობის შესახებ აჭარისტანში “.

დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანა.

დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანისა და ამ საქმის სრულყოფილად წარმართვისათვის სამმართველოში 2012 წლის აპრილში შეიქმნა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება 5 კაცის შემადგენლობით.

„ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამმართველოში დაიწყო და მიმდინარეობს სამმართველოს არქივში დაცული ვიდეოდოკუმენტების ელექტრონულ, ციფრულ მატარებელზე გადატანა. დღეისთვის ელექტრონულ ციფრულ მატარებელზე გადატანილია 56 საადრიცხვო ვიდეო კასეტა. სამუშაო გრძელდება. მიმდინარეობს ქალაქ-დსაფუძვლიანი და დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანა. 2012 წელს გაიცვიფრა 4 ფონდის: №3-7, 3-8, ი-19, ი-84-ის 981 738 ფურცელი.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

საარქივო დარგის განვითარებისა და მისი სრულყოფისათვის საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ფასადს, მთლიანად შეიცვალა სახურავი, მოეწყო სველი წერტილები, გამოიცვალა შენობაში

შემავალი ძირითადი წყალგაყვანილობის მიღები, გარემონტდა და კეთილმოეწყო სამკითხველო დარბაზი და კანცელარია, კიბის უჯრედების ნაწილი.

სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მიერ საარქივო სამმართველოსათვის უზუფრუქტის წესით გადმოცემულ შენობებს, სადაც უკვე გადატანილი და განთავსებული იქნა საარქივო მასალები. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის არქივების ახალ შენობებს. სრული დემონტაჟი გაუკეთდა შენობების შიდა ნაწილს, გამოიცვალა წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელ. გაყვანილობის სისტემები. შენობაში შეყვანილი იქნა ბუნებრივი აირი და დამონტაჟდა გათბობის ცენტრალური სისტემა, მოეწყო ფონდსაცავები და გარემონტდა კაბინეტ-ლაბორატორიები. მოეწყო ლითონის თაროები. შექმნილი იქნა არქივებისათვის კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი. საარქივო მასალები გადატანილი იქნა ახალი შენობებში და განთავსდა თაროებზე.

სამმართველოს ცენტრალური არქივის და ტერიტორიული ორგანოს - არქივების ფონდსაცავებში არსებული დოკუმენტაციის ციფრულ მატარებელზე გადატანის მიზნით შექმნილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარ-მოწყობილობა.

გაფორმდა ხელშეკრულება სს „სილქნეტთან“ საარქივო სამმართველოს, ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონული არქივების ინტერნეტმომსახურებაზე და სსიპ დაცვის პოლიციასთან საარქივო სამმართველოს, ხულოს, ქედის, შუახევის არქივების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

Elguja Chaganava

The report of work done by Archives Administration in 2012 Summary

on 2012, Sub-department of Ajara Autonomous republic government-Archives Administration worked in accordance with measures an agreed plan of National Archives of Georgia. in article is reviewd Archives Administration done works during 2012. also is represented statistical data of Archival activities.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში
(2012 წ. სამეცნიერო მუშაობის ანგარიში)

2012 წელი წარმატებული იყო საარქივო სამმართველოსთვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით. სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად აქაც მიმდინარეობდა ქვეყნის წარსულის, მისი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, ახალი საარქივო მასალების გამოვლენა და მათი პუბლიკაცია, უცხოეთის არქივებიდან საარქივო დოკუმენტებისა და ხელნაწერების ელექტრონული ვერსიების შემოტანა, სამეცნიერო კონტაქტების გააქტიურება და მემორამდუმების გაფორმება უცხოეთის არქივებთან.

ამ თვალსაზრისით ჩვენ და ჩვენს თაობას საარქივო სამმართველოში დაგვხდა ჩვენი წინამორბედის მიერ სათავედადებული მდიდარი ტრადიციები. 2012 წელს საარქივო სამმართველოს თანამშრომლების: თ. ფუტკარაძისა და მზია სურმანიძის ძალისხმევით, გამოვლენილი წყაროების საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა დოკუმენტების კრებული „რელიგიური თემები და ორგანიზაციები აჭარაში 1940-1950-იან წლებში“. დასახელებულ კრებულში დაბეჭდილია რელიგიური კულტების რწმუნებულთა ფონდში დაცული ჩვენი ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მონაცემები, რომლებშიც ნათლად ჩანს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა პერიოდის ისტორიის, მათ შორის რელიგიური საკითხების ობიექტური ანალიზი. საბჭოური სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხების კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. წლების განმავლობაში, რელიგიური პრობლემატიკა, ეთნო-კონფესიური პროცესები ერთმანეთისგან განმიჯნულად, ცალმხრივად, საბჭოური იდეოლოგიის გათვალისწინებით შუქდებოდა. შედეგად, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ (მიღწევების მიუხედავად) ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაგვიტოვა ჩრდილოვანი მხარეები. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ადრე ტაბუდადებული მონაცემები, რაც ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს მიცემს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის სრულყოფილი და ობიექტური შესწავლის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც რომ რელიგიური კულტების ფონდში დაცული დოკუმენტების ნაწილი შედგენილი იყო რუსულ ენაზე (საინრუქციო წერილები, ბრძანებები და ა.შ), რომელთა თარგმნის სიმძიმე იტვირთეს ნატო ქიქავამ, ციცი ცინცაძემ, მზია სურმანიძემ, ნინო გოგიტიძემ, ფრიდონ ქარდავამ და თამაზ ფუტკარაძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რელიგიური პრობლემატიკის შესახებ დოკუმენტების კრებული გამოქვეყნდა აგრეთვე 2010 წელს გამოცემულ წიგნში „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“.

საარქივო დოკუმენტები იბეჭდება აგრეთვე ჟურნალ „არხეონში“. ჟურნალის III და IV ნომრებში სრულყოფილად დაიბეჭდა რ-2 ფონდში დაცუ-

ლი სახალხო კომისართა საბჭოს 1921-1924 წლების ანგარიშები, კერძოდ შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ანგარიშები.

წარმოდგენილ ანგარიშებს აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა თანამედროვე და ისტორიულ პერიოდში მიმდინარე მოვლენების ურთიერთმიმართების საკითხების ობიექტური შესწავლისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე აისახა საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის სახელმწიფო არქივსა და ხარიტომ ახვლედიანის მუზეუმის ხალხაწერთა ფონდში დაცული მასალები. ეს არის საარქივო სამმართველოსა და სამმართველოს სხვა საარქივო სამეცნიერო დაწესებულებების ურთიერთანამშრომლობის ნათელი მაგალითი.

საარქივო სამმართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძველი პრესის მასალების გამოქვეყნებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართველი და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ყოფის ამსახველი პუბლიკაციები „დროების“ და „ივერიის“ ფურცლებიდან, ასევე XIX ს. მეორე ნახევრის სხვა გაზეთებიდან. შერჩეულია საინტერესო პუბლიკაციები აგრეთვე გაზეთ „ფუხარადან“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალის V და V I ნომრებში.

ყველა ეს მასალა გამოქვეყნდა ჟურნალ „არხეონის“ III და IV ნომრებში. ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა სულ 25 სტატია, რომელთაგან 13 ნაშრომი საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა, კერძოდ: ნატო ქიქავას, ციცი ცინცაძის, ქეთი იაკობაძის, თამაზ ფუტყარაძის, ფრიდონ ქარდავას, მათა რურუას, ელგუჯა ჩაგანავას, გუგული პატარიძის, მადონა ცხადაძის, ნარგიზ ბასილაძის, ნაზი ნაგერვაძის, ეთერ მიქელაძის ავტორობითაა გამოქვეყნებული. მისასალმებელია, რომ სამეცნიერო საქმიანობაში ჩაებნენ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები: ციცი ცინცაძე, ნატო ქიქავა, ქეთი იაკობაძე, ეთერ მიქელაძე.

საარქივო სამმართველოს აქვს აქტიური სამეცნიერო კონტაქტები საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო და საარქივო დაწესებულებებთან, რაც შეუიარაღებელი თვალთაც ნათლად ჩანს. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება ქართველი, ბულგარელი, რუსი, ჩეხი კოლეგების ნაშრომები. ქართველი და უცხოელი კოლეგების მონაწილეობით 2012 წ. სექტემბერში საარქივო სამმართველოში ჩატარდა II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ დასავლეთ საქართველო, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. კონფერენციაზე წაკითხული იქნა 26 მოხსენება. საარქივო სამმართველოს თანამშრომლებიდან კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდა 5 არქივისტი.

მოხსენებები წარმოდგენილი იყო ქუთაისის, თბილისის, ჩოხატაურის, მოსკოვის, ერევნის, სოფიის საარქივო და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ, რაც აისახა II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.

2012 წლის მარტში ჩატარდა აგრეთვე არქივისთა დღისადმი მიძღვნილი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ჩვენი საარქივო სამმართველოს თანამშრომლები: ნატო ქიქავა, ელგუჯა ჩაგანავა, თამაზ ფუტყარაძე, ნარგიზ ბასილაძე და გუგული პატარიძე. კონფერენციის მასალები დაიბეჭდა ჟურნალ „არხეონის“ მესამე ნომერში.

საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, გამოყენების და პუბლიკაციის განყოფილებამ მოამზადა საარქივო სამმართველოს ბუკლეტი.

განყოფილების ინიციატივით, საარქივო სამმართველოში ბინა დაიღო გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულმა უძველესმა ქართულმა ხელნაწერებმა, რაც ბიუჯეტს არც ერთი თეთრი არ დაჯდომია. ამ ხელნაწერების ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება VII-XI საუკუნეებით. აღნიშნულ ხელნაწერებს, რომლებშიც შედის: ხანმეტი ლექციონარი, რელიგიური შინაარსის თხზულებები, სომხურ-ქართული პალიმფსესტი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ისტორიისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით. ნიშანდობრივია, რომ აზერბაიჯანის, ბულგარეთის, ავსტრიის და სხვა ქვეყნის საარქივო დაწესებულებებმა მოახერხეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში დაცული დოკუმენტების მოძიება და თავმოყრა. ეს იქ არის სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი. ამ თვალსაზრისით მუშაობა გააქტიურა ჩვენმა ორგანიზაციამაც. შემოტანილი იქნა წერილობითი დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები (კოლექციები) ასევე სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკიდან. ჩვენთან დაიღო ბინა აგრეთვე პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის XVIII ს ხელნაწერების ელექტრონულმა ვერსიამაც.

თემატური ნუსხის შედგენა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო საქმიანობისა. ჩვენი კოლევების მიერ 2012 წ. განმავლობაში შედგენილი იქნა თემატური ნუსხები: „ მუზეუმები ბათუმში“ (1900-1930); საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ამსახველი დოკუმენტები 1918-1921 წწ; ბულგარის განაშენიანების ისტორიის ამსახველი მასალები (1880-1930წწ.); ბათუმის ქუჩები, პირველი ნაწილი (1886-1930) და ა.შ.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გრძელდება. 2013 წ. სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მეტად საინტერესო საკითხების დამუშავება. საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მხარდაჭერით ეს ამოცანები წარმატებით იქნება განხორციელებული.

Tamaz Putkaradze

Tsitsi Tsintsadze

Scientific-research work in Archives Administration

(report of Scientific work in 2012)

In the point of view scientific-research work, 2012 year was successful for Archives Administration. Together with other scientific institutions, there also was carried out the studying of country's past; it's spiritual and cultural heritage, revealing and publication of new archival materials, bringing of electronic version of archival documents and manuscripts from foreign archives, activation of scientific contacts and signing of memorandums with foreign archives. In article is represented information of these mentioned activities.

ფოტოხელოვნების განვითარების ისტორიიდან აჭარაში

ფოტოგრაფია ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს ხატვის ტექნიკას სინათლის მეშვეობით, რომლის შედეგად მიიღება გამოსახულება სინათლეზე რეაგირებად ზედაპირზე. სიტყვა ფოტოგრაფია შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: "ფოს"-შუქი და "გრაფოს"-ვწერ და ნიშნავს „შუქწერას“, მეცნიერების ამ უდიდესმა გამოგონებამ კაცობრიობის განვითარება, სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგინა და მსოფლიო კულტურაში ფუნდამენტალური ადგილი დაიკავა. ფოტოგრაფია დღეს მეცნიერ-მკვლევართათვის, საზოგადოების ფართო ფენებისათვის ითვლება სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მიღების და შენახვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. თანამედროვე ადამიანს ძნელად თუ წარმოუდგენია კაცობრიობის განვითარების ის პერიოდი, როცა ადამიანთა ცხოვრებაში არ იყო ფოტოაპარატი. შესაბამისად არ იყო ფოტოსურათებიც. ფოტოგრაფია თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურის დარგად გვევლინება.

პირველი ნაბეჭდი გამოსახულება გაკეთდა 1822 წელს, ფრანგი ჟოზეფ ნისეფორომ ნიეპსონის მიერ, მაგრამ იგი ჩვენამდე არ შემორჩა. ამიტომ ფოტოგრაფიის ისტორიაში პირველ ფოტოდ ითვლება 1826 წელს ნიეპსონის მიერ გადაღებული ფოტო სახელწოდებით - „ხედი ფანჯრიდან“.

საქართველოში პირველი კერძო ფოტოსტუდიები 1840-იან წლებში გაიხსნა. პირველი ქართველი ფოტოგრაფი, რომელსაც საკუთარი სტუდია ჰქონდა, იყო ალექსანდრე როინიშვილი. ვხლამოვის ხელშეწყობით თბილისში გაიხსნა სტუდია „რემბრანტი“. სწორედ ვ. ხლამოვის ფოტოსახელოსნოს მხატვრულ ატმოსფეროში ყალიბდებოდა ალ. როინიშვილი, როგორც ფოტოგრაფი.

1890-1889 წლებში ალექსანდრე როინიშვილმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ფეხით მოიარა დაღესტანი, სადაც 8 წელი იცხოვრა და ქართული კულტურის მრავალ საყურადღებო წყაროს წააწყდა. მოგზაურობისას იღებდა გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულად საინტერესო მასალას. ფოტოხელოვანის შემოქმედების ძირითადი თემა ქართველი ერის ცხოვრება, მათი ეკონომიკური და კულტურული ყოფა იყო. გამოსცა ძველი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა დიდი ფორმატის სურათები, შეიქმნა რუსთაველის პირველი გრაფიკული პორტრეტი, რომლის ათასობით ფოტოასლი გავრცელდა ხალხში. ალ. როინიშვილმა წლების განმავლობაში შეკრებილი სიძველეთა ნიმუშებითა და უძვირფასესი ფოტოსურათებით შექმნა ეროვნული მოძრავი გამოფენა, რომლითაც 1887 წლიდან იმოგზაურა რუსეთის ქალაქებში. ასტრახანის, მოსკოვის და პეტერბურგის საზოგადოებას გააცნო ქართველი ხალხის ძველი კულტურა და თავისთავადი ყოფის ანსახველი უნიკალური კადრები.

ალ. როინიშვილს 1889-1898 წლებისათვის უკვე სამი ფოტოსტუდია ჰქონდა, თანამშრომლობდა ფრაგულ ჟურნალთან და ქართულ გამომცემლობებთან. მან გამოზარდა ქართველი ფოტოგრაფები:

ი. აბულაძე, იანთაძე, ი. გუნცაძე, ზ. ლაბაური, ვ. როინიშვილი, გ. ხუნდაძე, ი. ფურცელაძე და სხვები.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა დ. ერმაკოვის ფოტოსტუდია, დ. ერმაკოვმა იმოგზაურა კავკასიის სხვადასხვა კუთხეში და მრავალ ფოტომასალას მოუყარა თავი. შეკრება საქართველოში მოღვაწე ფოტოგრაფთა ნამუშევრები, დაახარისხა თემატურად და ცალ-ცალკე ალბომებად შეკრება და გამოსცა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ხარისხობრივად შეიცვალა ქართული ფოტოგრაფია, სალონური, კამერული თემატიკა შეცვალა სინამდვილის ამსახველმა სურათებმა, გაძლიერდა ფოტოგრაფიის სოციალური ქვეყნობა, გაფართოვდა ფოტოგრაფიული სურათის, როგორც სიმართლის ამსახველი დოკუმენტის ფუნქცია.

საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ფოტოგრაფიის გამოჩენამ შესაძლებელი გახადა ოჯახის მთელი შემადგენლობით გადაღება, რამაც ტრადიციულად მჭიდრო ოჯახური ურთიერთობების გათვალისწინებით, იმთავითვე პოპულარობა მოიპოვა. ფრონტალურ ფოტოსურათებზე ასახულია ოჯახების რთული სტრუქტურა, გარდა მშობლებისა და შვილებისა, ისინი მოიცავდნენ ნათესავებსაც, ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის მშობლებს, ხანდახან დისშვილებსა და ძმიშვილებს. დამკვეთის თხოვნით, ფოტოგრაფი ოჯახურ ჯგუფში სვამდა იქ არ მყოფ ოჯახის წევრს სხვა ფოტოსურათის გამოყენებით. ზოგჯერ სურათს იღებდნენ ოჯახის გარდაცვლილი წევრის ფოტოსურათთან ერთად. დამზადებული იყო სპეციალური მაკეტები, რომლის საშუალებით ნებისმიერ ადამიანს მისთვის სასურველ სამოსში იღებდნენ.

ფოტოგრაფია საქართველოს დიდი ქალაქების ყოველდღიურ ცხოვრებაში ტოვებდა თავის კვალს. მე-19 საუკუნის ბოლოს ბათუმის ზღვის სანაპიროზე რამოდენიმე კერძო ფოტოატელიე მუშაობდა, რომლებიც ძირითადად სალონური სისტემით მუშაობდნენ. ბათუმი ზღვისპირა ქალაქია, სადაც ოდითგანვე მრავალი უცხოელი სტუმარი სტუმრობდა, ამიტომ ყველა სიახლე ადვილად იკიდებდა ფეხს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. საქართველოში ახლადფეხადგმული ფოტოგრაფიული კულტურა მალე დამკვიდრდა ბათუმელთა ცხოვრებაში. საუკუნის დასაწყისში ბათუმში მოღვაწეობდნენ შემდეგი ფოტოგრაფები: უ. ფეტვაუდიანი, ვ. ეგოროვი, მ. გლაუდანი, ა. კუშნევსკი, გოლფენზოვა, დ. ანტონოპულო, ოდესელი ფოტოგრაფი სიმონერუ და მრავალი ჩვენთვის უცნობი ფოტოგრაფი, რომელთა ნამუშევრები კავკასიის ხალხთა საერთაშორისო ფოტოგამოფენებზე სხვადასხვა ჯილდოებსა და პრიზებს იღებდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარინსკის ქუჩის № 20-ში და ფოსტის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანცია“-სთან მდებარე ფოტოსალონები, რომელთა მიერ გადაღებული ფოტოპორტრეტები დღესაც ამშვენებენ ბათუმელთა თუ მათი სტუმრების საოჯახო ფოტოალბომებს. სწორედ ამ ფოტოდოკუმენტებმა შემოგვინახა თანამემამულეთა ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფოტოდოკუმენტები: გამაჰმადიანებული ქართველები, ღაზი მეთევზეები, ქართველი ქალები, მდინარე ორთაბათუმის მიმდებარე ტერიტორია, მეჩაიეები, წყლის გამყიდველები, პოლიციელები, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები და მრავალი სხვა.

История из Батуми

მემედ აბაშიძისა და დიმიტრი თავდადებულის კვებაში (აქამად ფუნქციონირებს კაფე - ბარი) მდებარეობდა ფოტოატელი, რომელიც ამზადებდა მისალოც ბარათებს. მასზე გამოსახული იყო ძველი ბათუმისა და მისი შემოგარენის ხედები.



ქართველი ქალები - XIX ს.



ქართველი მუსიკოსები - 1890 წ.



Чанъ (коха).



Милиционеры из племени лазовъ.



მე-19 საუკუნის დასარულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში მოღვაწეობდა ცნობილი ფოტოგრაფი მ. გლაუდანი, რომელსაც ატელიე ჰქონდა მარინეს ქუჩა №41-ში. ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია აჭარის ტელევიზია. სწორედ აჭარის ტელევიზიის ოფისში, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის დროს, შესასვლელი სადარბაზოს კედლების ძველი საღებავისგან გაწმენდისას აღმოაჩინეს არაბული შრიფტით შესრულებული წარწერა - „გლაუდანის ფოტო ატელიე“. ეს დაკავშირებული იყო 1918 წელს ბათუმში თურქების მიერ ქუჩების სახელწოდებათა შეცვლასთან.

მ.გლაუდანმა 1913 წელს გადაიღო ბათუმის საავადმყოფოს გარეთა ხედები, საოპერაციო, ლაბორატორია და სხვადასხვა სამკურნალო განყოფილებები. მის კოლექციაში არის ქალაქის ხედები და პორტრეტები. მ. გლაუდანის მიფოტოსურათების რიცხვს გაეკუთვნება აჭარის განერ გადაღებულ თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლის გენერალ შერიფ ხიმშიაშვილის ფოტო, რომელიც გადაღებულია 1890-იან წლებში. აღნიშნული ფოტო აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, რომელიც მუზეუმს საჩუქრად შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილმა გადასცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დ.ერმაკოვი გასული საუკუნის დასასრულის პერიოდის ფოტოგრაფიაში განუმეორებელი ხელოვანია. იგი დაუცხრომელი და შთაბეჭდილებათა მაძიებელი კაცი იყო, ამიტომ ბევრს მოგზაურობდა. დ. ერმაკოვმა ფოტოებზე აღბეჭდა კონსტანტინეპოლი და ბაგრა, ანგორა და ისპაჰანი, ქლუხორის უღელტეხილი, რუსეთ-თურქეთის ომის ეპიზოდები, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სართიჭაღის, მანგლისის, წალკისის და ქსნის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრები და სხვ. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს დ. ერმაკოვი იმყოფებოდა ბათუმში. გადაღებული აქვს ძველი ბათუმის ხედები, აჭარელთა ტიპები და სხვადასხვა პორტრეტები.

სხვა საინტერესო ფოტოებთან ერთად დ. ერმაკოვის კოლექციაში არის უნიკალური ფოტო-ორიგინალი. სურათზე გამოსახულია საქართველოს სათავადაზნაურო ბანკის მომსახურეთა ერთი ჯგუფი. ჯგუფის ცენტრში ზის ილია ჭავჭავაძე. თბილისში გადაღებული სურათი მუზეუმს საჩუქრად გადასცა ექიმმა მაკარ ტერ-მინასოვმა 1957 წელს.

ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ფოტოგრაფი ა.შაანიანი. იგი მუშაობდა ბათუმის სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტში ფოტოგრაფად. იგი თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო. ძველ ფოტოგრაფთა გადმოცემით, ა.შაანიანი მხატვრული სურათების გადასაღებად ორი-სამი დღე ემზადებოდა. ამ ხნის მანძილზე შეისწავლიდა გადასაღებ საგანს, დააზუსტებდა უკეთეს ვარიანტს და შემდეგ გადაიღებდა. იღებდა აჭარაში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს, ქალაქის ხედებს, ტიპებს და სხვ. მის ფოტოებს უკანა მხარეზე ბეჭდვითი ასოებით აწერია: ფოტოგრაფის ნებართვის გარეშე არ დაბეჭდოთ.

ა.შაანიანმა ფირზე აღბეჭდა აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები: სხალთის ეკლესია, გონიოსა და პეტრას ციხეები და სხვ. მხატვრული და კომპოზიციური თვალსაზრისით საინტერესოა მის მიერ გადაღებული სამასწლოვანი ურთხელის ხე ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში.

ა.შაანიანმა 30-იანი წლების აჭარელ ქალთა და მამაკაცთა ტიპის გადაღებისას შეიტანა თავისებური სიახლე - მის ფოტოებზე გამოსახულ ტიპებთან ერთად გაჩნდა სხვადასხვა საგნები როგორც ყოფიდან, ასევე ბუნე-

ბიდან აღებული, რომელთაც სიმბოლური დანიშნულება ჰქონდათ. მაგ. ურმის ბორბალი, ყვავილები, ხე, გოდორი და სხვ. ეს ამადლებდა სურათის მხატვრული ღირებულების დონეს და ამავე დროს ამდიდრებდა და ავლენდა თვით ფოტოებზე გამოსახული ტიპის ხასიათს.

ა.შაანიანი დაინტერესებული იყო მრავალსულიან აჭარულ ოჯახთა ცხოვრებით. კერძოდ გადაღებული აქვს ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში მცხოვრები მურად ვანიძის 52-წევრიანი ოჯახი, აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში მცხოვრები ხასან ბაკურიძის მრავალსულიანი ოჯახი. ეს უკანასკნელი ფოტო ბაკურიძეთა ოჯახშია შენახული. ა.შაანიანს ეკუთვნის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ფონდში დაცული საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და შემდგომი წლების ამსახველი ფოტოების კოლექცია, ბოტანიკური ბაღის ხედები და სხვ.

1937 წელს ა.შაანიანი დააპატიმრეს, ხოლო მისი ნეგატივები წაიღეს. წლების მანძილზე ეს მასალები დაყრილი იყო აჭარის მაშინდელი შინსახკომის სარდაფში. 50-იან წლებში ისინი მუზეუმს გადასცა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა ხარიტონ ახვლედიანმა.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიულმა ხელმძღვანელებმა მიზნად დაისახეს ფოტოგრაფიის გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის პროპაგანდისათვის. შეიქმნა ფოტოგრაფთა გაერთიანება „სოიუზფოტო“-ს განყოფილება, რომელიც საქართველოსა და მის ქალაქებში ფოტოგრაფიის დანერგვას უწყობდა ხელს. 1922 წელს „სოიუზფოტო“-ს დაქვემდებარებაში შეიქმნა ფოტოგრაფების პირველი შრომითი კოოპერაციული არტელი - „აჭარისტანის სახელმწიფო ფოტოგრაფირება“, რომელიც ემსახურებოდა არამარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს. სწორედ ამ პერიოდში სალონური ტიპის ფოტოატელიებიდან გადავიდნენ ბუნების წიაღში და დაიწყეს განუმეორებელი ზღვის სანაპიროს, ბუნების, არქიტექტურის სხვადასხვა ნიმუშის აღბეჭდვა.

ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნება ძირითადად მე-20 საუკუნის 20-30 წლებში იწყებს დამკვიდრებას. „აჭარფოტოს“ 1941 წლის ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულია ფოტოსაქმის დაარსების წელი - 1929 წელი.

1933 წელს საქართველოში ფოტოსაქმის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა „სოიუზფოტო“, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ მთავარი კინო და ფოტომრეწველობის სამმართველოს სისტემაში და შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ფოტო“ რომლის ბაზაზე აჭარაში შეიქმნა „აჭარფოტო. იგი აერთიანებდა ფოტოარტელებს. „საქართველოს ფოტო“-ს, ფუნქცია იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეკვეთების შესრულება, რომელიც ითვალისწინებდა პარტიული მუშაკების ფოტოსურათების, ისტორიული ძეგლების, არსებული წეს-ჩვეულებების, ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფოტოდოკუმენტების შექმნა -პოპულარიზაციას. „აჭარფოტოს“ საარქივო მასალების გაცნობისას ვკითხულობთ, რომ - ეს იყო ერთადერთი ფოტოგრაფების არტელი, რომელიც ციხისძირამდე ახდენდა ფოტომომსახურებას.

„აჭარფოტოს“ 1937-1938 წლების საარქივო მასალების გაცნობისას ჩანს,რომ ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრი ფოტოატელიებს შორის. ამ პერიოდისათვის არტელში ირიცხება 16 წევრი და 4 არაწევრი ფოტოგრა-

ფი: რეზნიკოვი, გაიდაზერა, აგამიანი, ზოიძე, არაკელიანი, დოლიძე, ენდერი, დიაკონოვი, გეგორჯიანი, იაკიანი, ოგანესიანი, ფოლტოვოვი, ფიშმანი, ნაიდენოვი და სხვა წევრები, რომელთაც თავიანთი მუშაობის პროპაგანდა-აგიტაციისათვის ჰქონდათ კედლის გაზეთი, რომელშიც ყოველდღიურად შექდებოდა ფოტოგრაფების მუშაობა. ამ პერიოდისათვის ფუნქციონირებდა არტელი „ისკრა“.

„აჭარფოტო“-ში დასაქმებული ფოტოგრაფები ხშირად ასრულებდნენ კომუნისტური პარტიის მუშაკთა დავალებებს, მათ უწევდათ რეგიონებში გასვლა კომპარტიაში ახლად გაწევრიანებული წევრების პარტიულეებისათვის ფოტოდოკუმენტების დასამზადებლად, ასევე პარტიულ მუშაკთა ფოტოგადაღება. ასეთი სამუშაოს შესასრულებლად 1938 წელს ფოტოგრაფი რეზნიკოვი იქნა მივლინებული ხულოს რაიონში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფოტოგრაფების პოლიტიკურ განათლებას, რადგან მათ საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან უწევდათ მუშაობა, მათი პოლიტიკური მომზადება საბჭოთა ჩინოვნიკებისათვის საიმედო უნდა ყოფილიყო 1939 წლის „აჭარფოტოს“ წევრთა საერთო კრების ოქმის ამონაწერში ვკითხულობთ: „Всем грамотным членам артели самостоятельно изучать краткий курс истории ВКМ(б)“, რომელიც აიძულებდა ფოტოგრაფებს შეესწავლათ კომპარტიისა და კომკავშირის ისტორიები.

1937-1938 წლების აჭარფოტო“-ს არტელში ირიცხებოდა 14 წევრი და 4 არაწევრი ფოტოგრაფი. არტელის მუშაობის დღის წესრიგში დაისვა საკითხი ფოტოპროდუქციის მარკირების შესახებ, რომელსაც აკონტროლებდა სპეციალურად შექმნილი კომისია.

1938-1939 წლების საარქივო მასალებში ჩანს ახალგაზრდა ენთუზიასტი ამირან ნიკოლაიშვილი. იგი მოსწავლედ იწყებს მუშაობას „აჭარფოტო“-ს №1 პავილიონში. მალე გადაიყვანეს მე-2 კატეგორიის კვალიფიკაციის ფოტოგრაფად - რომელიც მრავალი წელი ემსახურებოდა აჭარა-გურიის მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ ამირან ნიკოლაიშვილის შვილები მამის პროფესიის ერთგულნი დარჩნენ და დღესაც ფოტოხელოვნების პოპულარიზაციას ემსახურებიან ჩვენს ქალაქში. სწორედ ჩვენს თანამედროვეობაში, 70-იანი წლების ბათუმის ბუღვარში მომუშავე ფოტოგრაფები - მამაშვილი ნიკოლაიშვილები ყველა ბათუმელისა და მისი სტუმრებისათვის კარგადაა ცნობილი. ბევრი მათგანის საოჯახო ალბომს ამშვენებს მათ მიერ გადაღებული ფოტო.



ფოტოგრაფ ამირან ნიკოლაიშვილის ოჯახი

1939 წლის 3 იანვარის ოქმი № 1-ის მასალების გაცნობისას ირკვევა, რომ „აჭარფოტო“-ს გადაწყვეტილი ჰქონდა ფოტოწერტების გახსნა აჭარის რეგიონებში (ხულო, ქედა, აჭარისწყალი), რომელიც მოემსახურება კოლმეურნეებს. აქვე დაისვა საკითხი მოძრავი ფოტოგრაფების შტატის შექმნაზე, რომელთაც დაენიშნებოდათ ხელფასი საერთო შემოსავლის 25%-ის ოდენობით. მათ მიეცემოდათ სპეცტანსაცემელი და საჭირო აღჭურვილობა. 1939 წელს ფოტოატელიეს დაემატა ბროკერისა და აღმრიცხველის შტატები, ე.წ. „Монр“ - ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდა ფოტოგრაფების მომზადებას. ამავე წელს გამოჩნდა პირველი ქართველი ფოტოგრაფების გვარები: დოლიძე, ზოიძე, გურგენაძე, ნიკოლაიშვილი, ბერძენიშვილი. ისინი ფოტოგრაფ ვოლტფოგელთან ერთად მთა ბახმარში გაიგზავნენ.

„აჭარფოტოს“ მმართველობის 1939 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმის მასალებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის შესასრულებლად დღის წესრიგში დადგა მახინჯაურსა და პიონერთა პარკში კაპიტალური ფოტოლაბორატორიების მშენებლობის საკითხი.

1940 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმის მიხედვით, იმ პერიოდისათვის ბათუმში მოქმედებდა 11 ობიექტი, სადაც შეიძლებოდა ფოტოგადაღება. მათ შორის 7 ფოტოწერტი იყო ქალაქის სახვადსხვა ადგილას, რომელშიც ფოტოგადაღებას აწარმოებდნენ: ზოიძე, არაკელიანი, ენდერ ვოლტფოგელი, დოლიძე, მამადოვი. ბათუმის ბულვარში იყო 4 ფოტოწერტი (გეგორკიანი, ოვანესიანი, იანიკიანი და რუსეიშვილი); მწვანე კონცხზე 3 ფოტოწერტი (კრაჭენკო, გურგენიძე, ნალვანდიანი). ამ პერიოდშივე ბათუმში დაარსდა ფოტოლაბორატორია, რომელიც გაიხსნა იჯარით აღებულ არაკელიანების სახლში. ის ემსახურებოდა ტურისტებს. მისი ხელმძღვანელობა დაევალა ზოიძეს.

აჭარის პროფესიული გაერთიანების პრეზიდუმის სხდომის ოქმის (14.09. 1940 წ. № 30) მასალებიდან ჩანს, რომ 1940 წლის სექტემბრამდე „აჭარფოტო“-ს არტელს ხელმძღვანელობდა ყაჭეიშვილი, მის ნაცვლად დროებით დაინიშნა ლომაძე. ამავე დროს იგეგმება ბერიასა და ლენინის ქუჩებზე ფოტოპავილიონის გახსნა. ასევე აქტუალური ხდება მახინჯაურისა და ციხისძირის შორის ზღვის სანაპიროზე სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების ბინადართათვის ფოტოლაბორატორიების მშენებლობა.

ფოტოატელების მუშაობით დაინტერესებამ მოსახლეობაში თანდათანობით იმატა. 1941 წლის 17 იანვრის საერთო კრების ოქმის მიხედვით აუცილებელი გამხდარა კადრების მომზადება და ახალი ფოტოლაბორატორიების გახსნა ზღვისპირა ბულვარსა და მწვანე კონცხზე.

1941 წლის მარტში „აჭარფოტოს“ არტელში გაერთიანებული იყო 5 ფოტოწერტი. ფოტოგრაფები წუთობრივი ანაზღაურებით მუშაობდნენ. მათ „მინუტნიკებს“ უწოდებდნენ. 1941 წლის ნოემბერში მარტო ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 7 ფოტოპავილიონი.

აქტიურად იგეგმებოდა რაიონებში ფოტოპავილიონების გახსნა. ამ მიზნით რეგიონებში გაიგზავნენ არტელის წარმომადგენლები გურგენაძე, №2 პავილიონის უფროსი აროტინოვა, №3 პავილიონის უფროსი მესხიძე. მათ უნდა მოემზადებინათ ლაბორატორიებისათვის საჭირო ფართები.

არტელი თავის მუშაობაში დიდ ყურადღებას უთმობდა ფოტოსურათებით მომსახურების პრეისკურანტს. იმ პერიოდისათვის ერთი ფოტოს ფასი 10 მანეთს შეადგენდა. „აჭარფოტოს“ მმართველობა დიდ ყურადღებას უთ-

მობდა ფოტოგრაფების ყოფითი პირობების მოგვარებას, შექმნილი იყო ურთიერთდამხმარე კომისია, რომლის ანგარიშზე ირიცხებოდა გარკვეული თანხები, დაგროვილი თანხა ფოტოგრაფების ყოფითი პირობების მოგვარებას ხმარდებოდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფოტოლაბორატორიები, სადაც ხდებოდა ფოტონეგატივების გამჟღავნება, ითვლებოდა ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოდ და დღეგადღებით იძლეოდნენ 3 ლიტრ რძეს.

ფოტოგრაფია ხელოვნებაა, რომელმაც უამთა სვლას გაუძლო. თანამედროვე რეალობაში ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს წინაპართა ცხოვრებაში ფოტოს გადაღება ერთგვარი ტრადიცია იყო და ყოველი მნიშვნელოვანი დღის ფირზე აღბეჭდვა ხდებოდა. სპეციალურად სადღესწაულოდ გამოწვობილი მთელი ოჯახი მიდიოდა ბათუმის ბულვარში, პიონერთა პარკში, ბოტანიკურ ბაღში ან ფოტოსალონში და ფოტოზე აღბეჭდავდნენ ოჯახისათვის სასიხარულო მოვლენას (ქორწილი, შვილის შექმნა, სკოლაში მისვლა, სკოლის გამოსაშვები გამოცდები, კლასის დასრულება, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევა და სხვა). სადღესასწაულო დღის აღმნიშვნელ ფოტოკოლექციას შესდებით ნებისმიერი ქართველის ოჯახში.

დღევანდელ მსოფლიოში ფოტოაპარატი ყველა ოჯახში საპატიო ადგილს იკავებს, ადრე თუ ფოტო გადაებისათვის სპეციალურად ემზადებოდნენ, ახლა ამის საჭიროება აღარ არსებობს. დღეისათვის შესაძლებელია ჩვენი ცხოვრების ყოველი წამის აღბეჭდვა ფოტოფირზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ასსცსა, ფონდი № 64, აღწერა № 1, საქმე № 1-4
2. ასსცა, ფონდი № რ-556, აღწერა № 1 საქმე № 1-9
3. ასსცა, ფონდი № 556, აღწერა 1, საქმე № 2, ფურც. 1-9.
4. გაზეთი „აჭარა“, ს. ლეკვეიშვილი, - ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორია.

Guguli Pataridze

From the history of photography development in Ajara

Summary

In Georgia first private photography studios was opened in 1840-ies. First Georgian photographer was Aleqsandre Roinishvili, who had his own studio. Based on rich archival data, in this article is reviewed main issues of development of the photography history.

სემლიანი ბახსენება

(ალი სამსონიას ცხოვრება და ღვაწლი საარქივო სამმართველოში
დაცული პირადი ფონდის მასალების მიხედვით)

„ამ 50-დე წლის წინათ ცაფირუხსმელეთზურმუსტოვან ბათუმში, მოვევლინე ქვეყანას. ამ ფაქტით თბილისელებზე ნაკლებად არ ვლაპარაკობ. მართალია, ბათუმში გორგასლის ხოხობი არ აფრენილა, მაგრამ ჩვენ სხვა ხოხბებს ვაფრენდით. საყოველთაო ჭეშმარიტებაა: “დიდი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, და ფეხბურთელები პროვინციაში იბადებიან”. ასე იწყებს თავის იუმორისტულ შარჟს ბატონი ფირცხალავა ალექსანდრე სამსონიას 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ჭეშმარიტად, ბათუმში გორგასლის ხოხობი არ აფრენილა, მაგრამ აქ დაიბადა კაცურ-კაცობით გამორჩეული, ჰუმანისტი, უზადო მეგობარი, ჭეშმარიტი ბათუმელი, ნაცნობისა თუ უცნობის ჭირისა და ლხინის თანაზიარი – ალი სამსონია. წელს ალი სამსონიას 80 წელი შეუსრულდებოდა. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში დაცულია მისი პირადი ფონდი №610, რომელიც დოკუმენტების სიუხვით არ გამოირჩევა, რაც მის თავმდაბლობასა და მოკრძალებულობაზე მიგვანიშნებს. ეს მწირი დოკუმენტებიც ჩვენი არქივის თანამშრომელთა თენგიზ სალუქვაძის და ელგუჯა ჩაგანავას რუდუნებითა და გულმოდგინებით იქნა შეგროვებული 2005 წელს. ეს მასალები სიმწირის მიუხედავად მაინც იძლევა საშუალებას შეგვიქმნას შთაბეჭდილება ამ დიდი პიროვნების ღვაწლისა და დამსახურების შესახებ.



ალექსანდრე სამსონია დაიბადა ბათუმში 1933 წლის 23 ნოემბერს. მას მამა ადრე დაეკარგა. ოღლა ბიცოლამ გამოზარდა ალი და მისი და ლია, ყველასათვის საყვარელი ექიმი. ბათუმის №1 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1952 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე გამოამჟღავნა ხალასი მწერლური ნიჭი და აქტიურად ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. უნივერსიტეტშივე მოგვევლინა იგი, როგორც დიდ იუმორისტი. ბატონი ფირცხალავა ალი სამსონიას 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუმორისტულ შარჟში მისი სტუდენტობის წლებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „დიდი იუმორისტები სკოლას გაჭირვებით ან საერთოდ არ ამთავრებენ, მაგრამ განა პატარა იუმორისტის დანაშაულია ოქროს მედალი რომ

მიიღო და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე დაამთავრა. უნივერსიტეტმა მას ცოდნა და დიპლომი მისცა”.

შრომითი საქმიანობა ალი სამსონიამ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მშობლიურ ქალაქში, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში დაიწყო შტატგარეშე კორესპონდენტის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა გაზეთის პასუხისმგებელი პირის მოადგილედ, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორად, მაგრამ ადამიანური ღირსებისათვის არასოდეს უღალატია. თუ შეშლია რამე, ისიც თავისი მიაბიტობით და გურული სულსწრაფობით. რაც ალი სამსონიამ ბათუმისათვის გააკეთა, ერთ მოქალაქეს თავმოსაწონად ნამდვილად ეყოფა. ქუჩებს სახელებს არქმევდა, უბინაოს ბინას მისცემდა, გაჭირვებულს უკანასკნელ კაპიკს გაუყოფდა.

გაზეთის რედაქტორად მუშაობდა ურთულეს პერიოდში, 1991-1999 წლებში. ეს ის წლებია, როცა პიროვნების პოლიტიკური შეხედულება გადამწყვეტ როლს თამაშობდა საჯარო სამსახურში მუშაობის თვალსაზრისით. უდიდესი ზეწოლის პირობებშიც კი ბატონი ალი ახერხებდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანებთან ურთიერთობებს, მეგობრობას. უფრო მეტიც ახერხებდა მათ დაცვას. აღნიშნულის დასამტკიცებლად რედაქტორის იმჟამინდელი მოადგილის ავთანდილ დიასამიძის მაგალითიც კმარა, როცა ხელისუფლება მისგან, როგორც რედაქტორისაგან დაჟინებით მოითხოვდა ავთანდილ დიასამიძის სამსახურიდან გათავისუფლებას, ალი სამსონიამ მაინც შეძლო მისი შენარჩუნება რედაქტორის მოადგილის თანამდებობაზე. დაგვიტანხმებით ეს იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო.

1980 წელს ალი სამსონია ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარ რედაქტორად გადაიყვანეს. 10 წლის განმავლობაში იგი მთელ ძალას, ენერგიასა და ნიჭს ახმარდა ჟურნალის მხატვრული დონის ამაღლებას, ახალგაზრდა ავტორების აღზრდასა და დაოსტატებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მის პირად ფონდში დაცულია არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია.

საგაზეთო პუბლიკაციებში ნათლადაა წარმოჩენილი ალი სამსონია, როგორც პიროვნება. მოვიყვანთ ამონარიდს ერთ-ერთი პუბლიკაციიდან: „ერთ კარგ დაწესებულებაში ერთი კარგი კაცი მუშაობდა. ეს კარგი კაცი „უჭირიმეოდ“ და „უგენაცვალოდ“ ერთ წინადადებასაც არ დაუსვამდა წერტილს. კარგი კაცი კი იმიტომ იყო, რომ კარგი გული ჰქონდა და პირიდან სულ თავლი გადმოსდიოდა. როგორ გიკითხოთ ამ დილით ჭირიმე? მოწიწებით თავს დაუხრიდა უფროსს. ოჯახში ხომ კარგად ბრძანდებით? – კითხავდა უფროსის მოადგილეს... კრიტიკა ადვილიაო, ამოიხრებდა. თუ მაგარები ხართ, ერთი თქვენ გადით და ითამაშეთო. თამაშში მარტო ფეხბურთს არ გულისხმობდა. ცხოვრებაც მისთვის ისეთი ასპარეზი იყო, სადაც აკრძალული ხერხები არ უნდა ეხმარა. ადამიანშიც მხოლოდ სიკეთეს უნდა ამჩნევდეთ, სიამაყით ამბობდა“. ეს გრძნობა ალის გაყვა სიცოცხლის ბოლომდე. მაშინაც კი, როცა იგი გულმა შეაწუხა და საწოლს მიაჯაჭვა, რამოდენიმე სიტყვის თქმა მოახერხა დაფეთებულ მეგობრებთან - „კაბინეტში დვინო დამრჩა და დალიეთ, სიცხეში არ გაფუჭდესო“. მის პირად ფონდში აღნიშნულთან დაკავშირებით დაცულია აწ განსვენებული ნუგზარ ჯაფარიძის საინტერესო წერილი.

„საოცარი იუმორი ჰქონდა ბატონ ალის. მის კალამს ეკუთვნის „ჩემი შვილი სიმონი“ და „მზე, ზღვა და სიყვარული“. სიმონი უამრავჯერ დაიდგა ბათუმის თეატრში. მოფერებით თუ გამომწვევად, „სიმონ“ დღესაც პოპულარულია ახალგაზრდებში. ცნობილი „აკადემიაც“ მისი დაარსებულია. აკადემიის „პრეზიდენტიც“ ბათუმელების სურვილით მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სწორედ ალი სამსონია იყო.

„აკადემიის“ შექმნის მიზეზი ფინჯანი ყავა გახდა, რომელზეც ყოველდღიურად იკრიბებოდნენ სასტუმრო „ინტურისტის“ ცნობილ კაფეში. ხშირად ყავას, რა თქმა უნდა ღვინო და „შესაბამისი“ სადღეგრძელოები მოჰყვებოდა ხოლმე. აქ დადიოდნენ ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები, მსახიობები, მწერლები, მინისტრები, ინჟინრები – თამამად შეიძლება ვთქვათ, ქალაქის ნაღები საზოგადოება.

ფინჯან ყავაზე, რომელზეც ყოველდღიურად იკრიბებოდნენ კაფე-ბარ „საამოში“, ესეც ალბათ ალის დამსახურება იყო, რადგან კაფე ზუსტად გახეთ „აჭარის“ რედაქციის შენობის მოპირდაპირედ მდებარეობდა. იგი ამავე დროს იყო „ხოხოს ბაღის“ იგივე „ასმათ ხანას“ ხშირი სტუმარი - აკადემიის სხვა წევრებთან ერთად. მის პირად ფონდში დაცულ საგაზეთო პუბლიკაციებში აღნიშნულის შესახებაც ვხდებით საინტერესო მონაცემებს.

განსაკუთრებით საინტერესოა სამადლობელო-საღალაობო, რომელიც ალი სამსონიას მიუძღვნა ზაურ ბოლქვაძემ. აღნიშნული საღალაობო დაცულია ალი სამსონიას პირადი ფონდის №3 საქმეთა ერთეულში. გთავაზობთ ამ საღალაობოს.

„სამადლობელო - საღალაობო ლექსპრომტი ძვირფას და დიდებულ ალექსანდრე (ალი) სამსონიას.

„ალექსანდრე სამსონიას, ზღვა საწერი დასწოლია!..

თავის წონა ოქრო არის! - იციან და არ წონიან!”

შენ ზე ნიჭის ხარ მთოვარი, ნათობ არამარტო ამით,-

ჩემი გულის გამთობარიც იყავ და ხარ! გმადლობ, ალი!”

შენი ძმა-ლომი ზაურ ბოლქვაძე. 20.4.93.

ალია სამსონიას პირად ფონდში (№610) დაცულია 9 საქმეთა ერთეული. ძირითადი ნაწილი პირად ფონდში დაცული მასალებისა, არის საგაზეთო პუბლიკაციები. თუმცა არის აგრეთვე ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებული იუმორისტული მოთხრობები, შარჟები როგორც თავად ბატონი ალი სამსონიას, ასევე მის შესახებაც მიძღვნილი. საქმეებში დაცულია აგრეთვე ალი სამსონიას სავიზიტო ბარათები, დეპეშები, მისი და მისდამი გამოგზავნილი პირადი წერილები, მოსაწვევი და მისალოცი ბარათები, ასევე მისი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრის აფიშები და პროგრამები (ფონდი №610, აღ.1, საქმე 1, 7). 1947-1959 წლებში ხელნაწერი ლექსების რვეული და ხელნაწერი „ქალაქი მოქალაქეებით ფასდება“ (ფონდი 610, აღ.1, საქმე 2).

განსაკუთრებით საინტერესოა მედია კუჭუხიძის, ილია ბაუჟაძის, ავთანდილ მეგრელიშვილის, ზაურ ბოლქვაძის, ავთანდილ ჯაყელის, ნიკოლოზ ადამიას და სხვათა წერილები (ფონდი 610, აღ. 1, საქმე 4).

ერთ-ერთი წერილი, რომლის ავტორის გვარი არ იკითხება, ქალბატონი ლალი მთელი ჯგუფის სახელით თხოვს დათანხმდეს შემოთავაზებულ წინადადებას. გთავაზობთ ამ წერილის სრულ ტექსტს: „ჩემო ალი! მოხდა ისე, როგორც არ მოველოდით. მერაბი არ დაეთანხმა ჩვენს კანდიდატურებს. წარმოიდგინე, ერთი აზრი კი დაემთხვა ჩემსას – ორივეს ჩხარტიშვილზე შენ მოგვწონხარ. იფიქრე და შეურიგდი იმ აზრს, რომ ჩვენ გამოვიძახებთ“.

ალის, როგორც გამორჩეული მეგობრის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მოსკოვიდან მისი ერთ-ერთი მეგობრის მიერ მისდამი გამოგზავნილი პირადი წერილი (დათარიღებულია 1976 წლის 5 ივლისით): „შუალამის 3 საათია. მალე დავწვები ალბათ, მაგრამ ახლა ბათუმელები გავისხენე. გამახსენდი შენც. მიხარია, რომ კი ხარ კაცური კაცი, ქართველი კაცი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი ქალაქი ქართული ქალაქი იყოს, მიხარია, რომ შენ ხარ და ღმერთმა შენისთანები ამრავლოს. მადლობელი ვარ ჩემო ალი, რომ რაც მე ვერ შევძელი, შენ ასე კარგად, ასე უნარიანად ახერხებ, აგვირგვინებ. ბარაქალა შენ, სიხარული და გამარჯვება შენს ნიჭსა და გამარჯვებას. მომიკითხე ჩვენი კოფისტები. კი ჯაჯღანობ, კი ჩხუბობ, მაგრამ მაინც მეგობარი ხარ, მაინც ყველას მირჩევნიხარ. შენი ამირანი“.

უცნობი პიროვნების ხელით ამირან საბაძისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი ექსპრომტი, რომლის ავტორია ავთანდილ მეგრელიშვილი, ნათლად ასახვითებს ალი სამსონიას, როგორც შემოქმედს, როგორც პიროვნებას:

„ვიცნობ შემოქმედს დიდიხანია,

ვიცნობ შენს ნაღვაწს და – მიხარია!

წამიკითხია, მინახია, მომისმენია,

გავხარებულვარ და სიამით მომისვენია.

მოგესალმები, თბილისიდან მწერალი-მწერალს,

ჩვენ რომ შევხვდებით და გაგვიცნობთ ერთმანეთს, მჯერა!

ვიცნობ შემოქმედს დიდი ხანია,

ვიცნობ შენს ნაღვაწს და-მიხარია!“

ან კიდევ:

„ჩვენი ალი სამსონია,

ხან ტუზია, ხან ფრონია,

ძვირფასი და კარგი კაცის

ძმაცაი და ამფსონია.“

ალი სამსონიას პირველი წიგნი - „იუმორისტული მოთხრობები“ გამოქვეყნდა 1959 წელს. შემდეგ მკითხველმა მიიღო „მზე, ზღვა და სიყვარული“, „პროვინციის მზე“, „წვიმიანი მზიანეთი“, „წვიმაში დაწერილი მოთხრობები“, „შალვა, ჩემო სიხარულო“, „მკითხველის გარდა არავინ მოკვდეს“, „ორი ზაფხული და ერთი შემოდგომა“, „ბურთი, მოედანი და მაყურებელი“, „ხოხოს ბაღი“ და სხვა.



ალი სამსონია ქართული მწერლობის ისტორიაში შევიდა, როგორც საკუთარი ხელწერით გამორჩეული შემოქმედი. აღნიშნულის დასტურად მოვიყვანთ ამონარიდს ზაურ ბოლქვაძის პირადი წერილიდან, რომელიც დაცულია №610 ფონდის მე-4 საქმეთა ერთეულში. „ალია! არ დავიწყება მოყვრისა...“ ხომ კაი აფორიზმია, მგონი შენც კარგად მოგეხსენება. მერე? ერთი წერილი მოგეწერა! აფერი მეტი. გიგზავნი „ცისკარს“. შეიძლება გაბრაზდეს კიდეც, მაგრამ, ასე ინება 60 წლის რედაქტორმა. კიდეც დაწეროს ასეთი კარგი რამ და გამოაგზავნოსო, მითხრა. ადვილი შესაძლებელია, დაწერო და გამოაგზავნო. ლომები როგორ არიან, შეახსენე ჩემი არსებობა. აქეთ ახალი არაფერია. კახეთში ვიყავი სანადიროდ და ერთი ვირემი მოკვალე. შენ გეტყობა კარგად ხარ, არაფერი გიჭირს, თორემ წერილს მომწერდი. კარგად იყავი და ჩამოდი ერთი ჩვენთან. ზაურ ბოლქვაძე“.

ალი სამსონია ორი ეპოქის მიჯნაზე მოღვაწე შემოქმედი, მისი ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი დაიწერა კომუნისტური იდეოლოგიის ხანაში, მაგრამ ახლა, როცა ის ძველი იდეოლოგია უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა და ახლებური თვალსაზრისით ვკითხულობთ მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობას, ვრწმუნდებით, რომ ჭეშმარიტად თვითმყოფადი შემოქმედებითი ნიჭი ნაკლებად ემორჩილება პოლიტიკურ კონიუნქტურას. პოლიტიკური კონიუნქტურა იცვლება, მაგრამ ცხოვრების მცოდნე მწერალი ხალხთან რჩება. ალი სამსონიას ლიტერატურული გმირები რეალური ცხოვრების შვილები არიან.

ცხოვრება რთული ფენომენია. იგი მრავალნაირი განზომილებით წარმოსდგება ჩვენს წინაშე. მწერალი ვალდებულია, ფხიზლად ადევნოს ტენდენციების განვითარებას და გზადაგზა ამხილოს, დაგმოს ძველი და მომავლადი, გზა დაულოცოს და ხელი შეუწყოს პერსპექტიული მოვლენების განვითარებას. ამ თვალსაზრისით ალი სამსონია იყო და ბოლომდე დარჩა მებრძოლი მწერლის პოზიციაზე.

ალი სამსონია ნაყოფიერად მუშაობდა დრამატურგიაში. მისი პიესების მიხედვით ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლები: „ჩემი შვილი სიმონი“, „ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები“, „წვიმიანი მზიანეთი“, „ზღვა და სიყვარული“ და სხვა.

განსაკუთრებით გამოვარჩევდით „წვიამიან მზიანეთს“. მარტო სათაური ღირს ერთ რომანად. მართლაც, გენიალური მოგონებაა. ბათუმის და ბა-

თუმცა სიყვარულმა დააწვინა ეს ნაწარმოები. „წვიამიანი მზიანეთის“ პერსონაჟები ჩვენი თანამედროვე ბათუმელები არიან თავიანთი სიხარულითა და ტკივილით, ახირებით და უცნაურობით, დარდით და რწმენით. ის კალმის ერთი მოსმით, ერთი შტრიხით, ერთი დეტალით ხატავს ხასიათებს. სწორედ ამ ნიშანდობლივი თვისებებით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და არც მკითხველს უჭირავს პროტოტიპების ამოცნობა.

მისი შემოქმედება ჩახახა, ბრძლივალა მზითაა განათებული-გამთბარი, რომელიც ჩვენ, მკითხველს გვათბობს უპირველესად. სამწუხაროა, რომ ჩვენ შორის აღარ არის ეს დიდბუნოვანი კაცი, მაგრამ მისი პერსონაჟები დადიან წვიმიან მზიანეთში, დადიან ბათუმ-ქალაქის ქუჩებში და გვანუგეშებენ, გვაიმედებენ.

გამოყენებული წყაროები:

ასსცსა, ფონდი 610 . აღ.1 საქმე 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

Iza Bauzhadze

Sad to recall

на уровне знания ингушского языка. Знание ингушского языка играет огромную роль для руководителя такой мононациональной республики как Ингушетия, где еще сохраняются традиционные общественные институты, с их авторитетом к старшим и знанием местных адатов и шариата. Трудно себе представить, что ингуши смогли бы найти общий язык с президентом не знающим родного языка, да еще и ингушской национальности. Думается, что ингушу трудно быть представленным в органах власти без знания ингушского языка, так как он не будет вызывать доверие и уважение со стороны местного социума.

В ингушском обществе говорящие на родном языке обнаруживают разные уровни знания языка. Одни из них одинаково хорошо владеют обоими языками, другие регулярно пользуются только одним языком, а другой язык знают лишь поверхностно. Это в одинаковой мере можно отнести и к ингушскому и к русскому языку.

В феврале-марте 1995г. в Республике Ингушетия было проведено этносоциологическое исследование, в анкеты которого были включены вопросы об уровне знания родного языка.

В опросе участвовали 38,3 % лиц со средним образованием, 58,8 % с высшим и незаконченным высшим образованием [Дзаурова 2001: 352].

На вопрос «Как вы оцениваете свое знание ингушского языка?» ответы респондентов распределились следующим образом: 16,8 % ответили, что знают его в совершенстве, 41,1 % владеют разговорной речью (бытовой); 36% говорят на смешанном ингушско-русском языке; 3% знают плохо, а 7 % уклонились от ответа на поставленный вопрос.

В числе знающих ингушский язык в совершенстве женщин вдвое меньше чем мужчин, а говорящих на смешанном ингушско-русском языке 1,4 раза больше чем мужчин.

В целях повышения уровня знаний родного языка и литературы в 2006 г. экс-президент Ингушетии М. М. Зязиков подписал Указ о проведении ежегодной Декады ингушского языка и литературы с 15 сентября по 25 сентября. Этим указом Министерству образования, Министерству культуры, Министерству по связям с общественностью и национальным отношениям, Ингушскому научно-исследовательскому институту гуманитарных исследований им. Ч. Ахриева, Ингушскому государственному университету, Государственному учреждению «Ингушский язык», творческим организациям и союзам Республики Ингушетии предписывалось ежегодно проводить мероприятия, посвященные Декаде ингушского языка [Дзарахова 2007: 45] Это распоряжение было продиктовано необходимостью поддержки и активизации мероприятий, направленных на сохранение и защиту ингушского языка. За эти годы появилось множество научных и научно-популярных изданий по истории и культуре, исследований, посвященных анализу этнокультурной идентичности ингушского народа и различных мероприятий, направленных на повышение уровня знаний ингушского языка. Однако кардинальных перемен к лучшему не произошло.

После смены руководства республики, несмотря на такое плачевное состояние ингушского языка, в октябре 2011 г. Народное собрание республики Ингушетия с легкостью отказалось от п. 5 ст. 42 Конституции Республики Ингушетии², который

² О поправке к Конституции Республики Ингушетия / <http://www.parlamentri.ru/legislation/6384/>

давал право устанавливать национально-региональные компоненты государственных образовательных стандартов и поддерживать различные формы образования и самообразования.

Это вызвало резкую критику в адрес руководства республики, которое приняло такую поправку. Местное население считает, что подобное отношение власти к родному языку может привести к его полному угасанию. Приняв указанную поправку, власти Ингушетии отказались от государственной гарантии изучения учащимися национальных школ и школ с этнокультурным уклоном второго государственного языка республики. Многие расценивают этот шаг руководства республики как противоречащий Конституции Российской Федерации. Так как происходит нарушение принципа федерализма в области образования, ограничение прав народов Российской Федерации на национально-культурное развитие. К сожалению и власти Республики Ингушетия не считают нужным повысить статус родного языка. Мало мероприятий по поддержке ингушского языка на телевидении, радио, рекламе и самое главное в общеобразовательных школах и ВУЗах

Без специальной государственной поддержки в виде обязательных квот его присутствия в тех или иных сферах, ингушский язык через одно-два поколения утратит реальную коммуникативную функцию и превратится в мертвый язык. Такое отношение местной власти может ускорить процесс деградации родного языка и еще больше приблизит ингушский язык к числу так называемых «миноритарных языков»*. Если ситуация с языком не изменится, в перспективе, вопреки декларациям некоторых ингушских ученых, ингушам грозит переход от нынешней ингушко-русской асимметричной двуязычности к полной русской одноязычности.

Как показывает практика, процессы начатые в предшествующий период оказались для многих национальных языков необратимыми, так как выросло целое поколение плохо знающее родной язык. Витальность языка к дальнейшему развитию, очень сильно снижена.

Для преодоления этой проблемы нужен национальный проект, в разработку которого будут вовлечены высококвалифицированные специалисты, способные подготовить тематические словари на ингушском языке, соответствующие методические пособия и т. д. Естественно, для реализации этой идеи необходима не только добрая воля граждан ингушской национальности, но и всесторонняя поддержка со стороны государства.

Языковая политика возникла не в одночасье. Власти прекрасно владеют основами языковой политики и знают на чем зиждется законы функционирования языка как социально-коммуникативного явления. Законодателями разработаны методы унификации языков, они знают, как превратить ингушский и другие языки в социальный хлам, непрестижный и непрактичный язык, архаично-этнографический пережиток. В социолингвистике существует понятие «больные языки» – это языки, которые теряют свою значимость в качестве средства общения. Сохраняясь лишь у старших представителей данного народа, они постепенно переходят в категорию исчезающих языков. Согласно опубликованным в начале 2009 г. исследованиям специалистов ЮНЕСКО, в Кавказском регионе к числу вымирающих отнесены абхазский, адыгейский, ингушский, кабардино-черкесский, карачаево-балкарский,

* миноритарный язык – язык национального (этнического) меньшинства, выполняющий значительно меньше социальных функций.

чеченский и некоторые другие языки³. Государственные структуры власти должны продумать весь комплекс мер по культурно-языковому строительству и обеспечить сохранение тех народов и языков, которые еще возможно сохранить.

Можно предположить, что если не будет предприняты соответствующие меры, уже через пару поколений русский язык станет доминирующим среди ингушей, а это в свою очередь приведет к вымиранию ингушской культуры. Вполне реально, что, согласно мнению лингвистов, тысячи языков исчезнут в течение ближайших ста лет и возможно в числе их будет и наш ингушский язык.

О необходимости сохранения ингушского языка автор «ингушко-английского словаря» Джохана Николс пишет «до тех пор, пока не будет востребована мощная образовательная программа и не закончится утечка мозгов, пока будут доминировать в последующих поколениях так называемые полуговорящие ингуши, – само существование ингушского языка и культуры находится в опасности полного исчезновения. Прекращение развития языка будет означать потерю не только для ингушей, для которых язык и культура являются национальными сокровищами и связью с их историей и землей, но и потерей для всего человечества; так как ингушский язык – научное и историческое достояние. Даже при полной ассимиляции с русским языком в России все равно необходимо отстаивать свое ингушское равенство...» [Николс 2005]

Формирование и развитие билингвизма происходило под влиянием многих разнообразных факторов, в числе которых языковая политика власти занимает первостепенное значение. Языковое строительство - это не только лингвистическая практика, это ее единство с теорией, их взаимодействие, поэтому современная жизненная ситуация требует разработки соответствующих методик способных сохранить существующие в стране языки, как для настоящего, так и для будущих поколений.

Библиография

1. Аврорин 1975 – *Аврорин В.А.* Проблемы изучения функциональной стороны языка. – Л., 1975.
2. Албогачиева 2009 – *Албогачиева М.С.-Г.* Влияние образования на функциональное изменение ингушского языка // Традиции народов Кавказа в меняющемся мире: преемственности и разрывы в социокультурных практиках. Сборник статей к 100-летию со дня рождения Леонида Ивановича Лаврова. — СПб.: Петербургское Востоковедение, 2009. — 496 с.
3. Артеменко 2008 – *Артеменко О.И.* Полиэтничность России: Государственная образовательная и языковая политика // Вестник образования. Тематическое приложение. 2008. №2. С.4
4. Грамотность в ТО. // ТВ. 1914 №130, 132

³ ЮНЕСКО признала языки народов Северного Кавказа исчезающими / <http://kvkz.ru/knews/2174-yunesko-priznala-yazyki-narodov-severnogo-kavkaza.html>

5. Григорьев 1963 – Григорьев В. П. Культура языка и языковая политика // Вопросы культуры речи. Вып. 4.- М., 1963.
6. Грозненский рабочий. 21 июня 1957.
7. Грозненский рабочий. 8 июня 1957.
8. Гудиева 2005 – *Гудиева Л. У.* Из истории развития образовательного пространства в сельских районах Ингушетии // Материалы региональной научно-практической конференции «Вузовское образование и наука». Магас, 2005.
9. Дзарахова 2007 — *Дзарахова З. М.-Т.* Этнокультура как основание формирования национального самосознания ингушей: Дис. ... канд. ист. наук. Магачкала, 2007. С.45
10. Здравомыслов 1996 – *Здравомыслов А.Г.* Межнациональные конфликты в постсоветском пространстве. М., 1996.
11. Карпов 1992 – *Карпов Ю.Ю.* К характеристике межнациональных отношений в Чечено-Ингушетии в связи с проблемой ингушской автономии // Материалы полевых этнографических исследований 1988-1989 гг. СПб., 1992.
12. Карпов 2001 – *Карпов Ю.Ю.* Образы насилия в новой и новейшей истории народов Северного Кавказа // Антропология насилия. СПб., 2001.
13. **Кодзоев – Кодзоев Н.Д. Развитие образования Ингушетии в 1917-1944 гг. Кодзоев 2000 – Кодзоев Н.Д. История ингушского народа. Назрань, 2000. с 94.**
14. Конституция Республики Ингушетия 1994.
15. Конституция Российской Федерации 1993
16. Краснов 1972 – *Краснов В.* Язык межнационального общения // Народное образование 1972. №12.
17. Кузнецов 2007 – *Кузнецов С.Н.* языковая политика и языковое планирование // http://genhis.philol.msu.ru/article_195.shtml 12.03.12
18. Кузнецова 2005 – *Кузнецова А.Б.* Этнополитические процессы в Чечено-Ингушской АССР в 1957-1990 гг.: последствия депортации и основные аспекты реабилитации чеченцев и ингушей : Дис. ... канд. ист. наук : 07.00.07 Москва, 2005
19. Локшина 2007 – *Локишина Т.* Чечня. Жизнь на войне / Центр содействия проведению исследований проблем гражданского общества «Демос»; – М.: Демос..2007. С.23
20. Мартиросиан 1925 – *Мартиросиан Г.К.* Социально-экономические основы революционных движений на Тереке. Владикавказ, 1925.
21. Мугуев 1931 – *Мугуев Х-М.* Ингушетия. Орджоникидзе, 1931.
22. Муталиев 1995 – *Муталиев Т.* // Газ. «Ингушетия», 1995. 27 апреля.
23. Народное хозяйство РСФСР за 60 лет 1977: 19].
24. Николс 2005 – *Николс Д.* Состояние ингушского языка // <http://www.doshdu.ru>
25. Овхадов 2001 – *Овхадов М.* Итоги национальной политики советского периода и проблемы современной Чечни // Чечня от конфликта к стабильности М., 2001.
26. Оздоев 1980 – *Оздоев И. А.* Русско-ингушский словарь М., 1980.
27. Современные этнические процессы в СССР 1975: 296
28. Танкиев 2004 – *Танкиев И.* // http://www.vestnik.edu.ru/ing0306_2.html
29. **Тишков 1999 – Тишков В.А. Язык и алфавит как политика. http://www.valerytishkov.ru/cntnt/publikacii3/publikacii/yazyk_i_al.html**
30. Тусиков 1926 – *Тусиков М.Л.* Ингушетия: экономический очерк. Владикавказ, 1926 С.190-191

31. Хамидова 1999 – *Хамидова З.Х.* "Проблемы становления и развития чеченского языка" (1999 год) // <http://nohchalla.com>
32. Хамидова 1999 – *Хамидова З.Х.* Борьба за язык (Проблемы развития чеченского языка) // Чечня и Россия: общества и государства М., 1999.
33. ПМА — Полевые материалы автора. Республика Ингушетия
34. Санкт-Петербургский филиал архива академии наук (ПФА РАН)
35. ПФА РАН Ф.800 Оп.6. Д.161. Л.1об.
36. ПФА РАН Ф.800 Оп.6. Д.574. Л.32.
37. ПФА РАН Ф.142. оп. 2. д.27. Л.5..
38. ПФА РАН Ф.800 Оп.6. Д.574. Л.31.

კველი კრისის შურცლებიდან

(მასალები შეკრიბა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის და დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ციცი ცინცაძემ)

აჭარელი ქალი გამოფხიზლების გზაზე

ქობულეთის აჭარელ ქალთა კონფერენცია.

14 ნოემბერს ქობულეთში შესდგა მაზრის მუსულმან ქალთა კონფერენცია და მუსულმან ქალთა კლუბის საზეიმო გახსნა, კონფერენციას დაესწრნენ მრავალრიცხოვანი, როგორც აჭარელი, აგრეთვე ქურთის და სხვა ეროვნების ქალები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. აბდულაევამ, რის შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგებისგან:

ამხ. დანელია, ა. შაშიკ-ოღლი, ნ.ბერიძე, აბდულაევა, მ. ტაკიძე, მგელაძე, ბათომის მუშა ქალებიდან ამხ. საფონოვა და ერთი ქურთის ქალი.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ. 1) მარიამ ორახელაშვილი, 2) ს. ორჯონიკიძე 3) მ.კახიანი, 4) თ. ჟღენტი და 5) მ. გოგიბერიძე.

ქობულეთის სამაზრო პარტკომიტეტის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ტაკიძე. მან აღნიშნა, თუ რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ქალებს და განსაკუთრებით კი აჭარელ ქალებს. ამხ. ტაკიძე უსურვებს კლუბს ნაყოფიერ მუშაობას.

აჭარისტანის მუშა და გლეხ ქალთა განყ. სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ა. დანელია, რომელიც აღნიშნავს იმ დიად მიზანს, რამაც თავი მოუყარა როგორც აჭარულ, აგრეთვე სხვა ერების ქალებს.

ამხ. დანელია განმარტავს აჭარელ ქალთა კლუბის მნიშვნელობას, ეს კლუბია, ამბობს ამხ. დანელია, – ის პატიოსანი, ოჯახი, სადაც თავს მოიყრიან, მშრომელი ქალები. ამ პატარა კერის საშუალებით უნდა განმტკიცდეს კავშირი სოფლის გლეხ და ქალაქის მუშა ქალებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ მოგვანიჭა არა მარტო თავისუფლება და განვითარების საშუალება, არამედ ეროვნული ძმობა და სოლიდარობაც.

ჩვენში ეროვნული გაუგებრობა არ არის და არც შეიძლება იყოს; კომუნისტური პარტია არ დაუშვებს ნაციონალურ შუღლს არც ერთ ერში, ჩვენ როგორც ქართველი, აგრეთვე რუსი, სომეხი და სხვა ერის ქალები თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ, რომ გავანთავისუფლოთ სხვა ერთა დამონაგებული ქალებიც.

დღეს აქ იხსნება კლუბი; თუმცა ის პატარაა, მაგრამ უნდა ეცადოთ, რომ ის გააფართოვოთ, გააძლიეროთ. ამხ. დანელია უთითებს, თუ რა ვალი ედება აჭარელ ქალებს, ისინი უნდა გადავიდნენ აჭარისტანის სოფლებში, სადაც დღემდის მეფობს სიბნელე. ამხ. დანელია აღნიშნავს, რომ კლუბი დღეს იხსნება ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობაზე და კრებას მოკ-

ლეთ აცნობს ამხ. მ. ორახელაშვილის ბიოგრაფიას და ბოლოს ამხ. უსურვებს ქობულეთის მუსულმან ქალთა კლუბს გამარჯვებას და ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ კონფერენციას ესალმება ჭოროხის მაზრის აჭარელ ქალთა კომიტეტის სახელით ამხ. ბერიძე ნუნუშ.

პირველათ, როდესაც ჭოროხის მაზრის ქალთა კომიტეტმა დაიწყო მუშაობა, ამბობს ამხ. ბერიძე ერთი ქალიც არ გვეკარებოდა-ო, მაგრამ ეხლა აჭარის ყველა კუთხიდან მოდიან ოჯახში შევიწროებულები და დახმარებისათვის მოგვართმევენ, ამხ. ნ. ბერიძე იმედოვნებს, რომ ამ კლუბის გარშემო შემოიკრიბებიან ფუხარა ქალები და დაადგებიან თვით-განვითარება-წინსვლის გზას.

მუსულმან ქალთა ცენტრალურ კლუბის სახელით კონფერენციას ესალმება კლუბის გამგე ამხ. შაშიკ-ოღლი. ის უსურვებს ახლად დაარსებულ კლუბს მუშაობის გაფართოებას და ფუხარა ქალების გათვითცნობიერებას.

მაშ გაუმრჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ზრუნავს ჩვენს განვითარებისთვის! – ათავენს თავის მისალმებას ამხ. შაშიკ-ოღლი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან ქობულეთის მაზრის ახ. კომკავშირის სახელით ამხ. სტამბოლიშვილი, ჩაქვის მუშა ქალების სახელით ამხ. არეშიძე, პიონერთა სახელით ამხ. სვანიძე.

შემდეგ ამისა ბათომის მშრომელმა ქალებმა ახალ გახსნილ კლუბს უძღვნეს დროშა; მათი სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. საფონოვა:

ამხანაგებო! ამ შესანიშნავ დღეს მოგესალმებით ბათომის დელეგატი ქალების სახელით. მე ვამბობ, რომ ეს დღე შესანიშნავია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა ქვეყნის ჩამორჩენილ ქალებისთვის. რაც მეტი გვექნება ასეთი კულტურული დაწესებულებანი, მით უფრო მალე მივახწევთ ჩვენს მიზანს, ე.ი. უმეცრებისა და მონობისაგან განთავისუფლებას, ეს კლუბი უნდა გახადოს გაჩირადებულ სანთლად, რომელიც გზას გაუნათებს ფუხარა ქალებს. დელეგატ ქალების სახელით გიძღვნით ამ წითელ დროშას, რომ ის გაწითლებულია რამოდენიმე ათასი მუშის სისხლით. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ ვინც მონიდომებს მის შებიღწვას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს განთავისუფლებულ ფუხარა ქალს!

სამაგიერო სიტყვას ამბობს აჭარელი ქალი ბესირე ხარაზი.

“დაგვიდგა სანეტარო დღე, ძველი უკუღმართი ცხოვრებით დამონაგებული აჭარელი ქალი, დღეს თავისუფლათ სუნთქავს. ოქტომბრის რევოლუციამ და მისმა ხელძღვანელმა, კომუნისტურმა პარტიამ მრავალ სხვა ერების დამონაგებულ ქალებთან ერთად, ჩვენ აჭარელ ფუხარა ქალებს მოგვანიჭა თავისუფლება. ამის მოწმეა ის წითელი დროშა, რომელსაც დღეს ჩვენ ვიბარებთ. დებო, აჭარელო ქალებო! მტკიცედ გვეჭიროს წითელი დროშა აღმა და მივიტანოთ ის მშრომელი ხალხის სრულ გამარჯვებამდე”.

თავის სიტყვას ამხ. ბესიმე ხარაზი ამთავრებს შემდეგი ლექსით:

თავისუფლების ბრწყინვალე სხივმა
ფუხარას ქოხშიც იპოვა ბინა,
თავზარი დასცა ირგვლივ ბნელეთსა,
ბნელეთს, რომელშიც მას ჰყავდა ბინა.
ოქტომბრის მძლავრმა ტალღებმა

წესი აუგო ძველსა სამყაროს,
მოსპო ამ ქვეყნათ ტანჯვა-წამება,
ბედნიერება რომ დაამყაროს,
ოქტომბრის დიდმა თავისუფლებამ
ფუხარას გულში იპოვა ბინა,
თანასწორობით სულ ერთი არის
ქალი და კაცი, – მას ათქმევინა.
ამ სიტყვის ნაყოფს დღეს ვხედავთ ჩვენა,
დღეს ამდერდება სიამის ქნარი,
თავისუფლების დროშას იბარებს
უხსოვარ დროდან ტანჯული ქალი!
და თქვენს წინაშე ფიცსა ვსდებ დებო,
ფიცსა ლენინურს, გაუტყეხელსა,
რომ მუშის სისხლით ნაპოვარ დროშას
მტერი ვერ ახლებს დღეიდან ხელსა”.

მხ. ბესირე ხაბაზის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მხურვალე ტაში და ორკესტრის მოგუგუნე ხმები.

დასასრულს კონფერენციას გამოაქვს შემდეგი რეზოლუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება და მრავალი მისასაღმებელი სიტყვები, ჩვენ, ქობულეთის მუსულმანი ქალები ზიზღს ვუცხადებთ იმ ჩვეულებას, რომელიც ჩვენს ქალებს არ აძლევდა საშუალებას მიეღოთ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

თავისუფლების ასპარეზზე გამოსული ახალი ქალები ვივადებთ კომუნისტურ პარტიას აღუზარდოთ შეგნებული და თავისუფლების მოყვარული შვილები, რომლებიც ერთხელ აღებულ წითელ დროშას ძირს არ დახრიან.

დღე, კომუნისტურმა პარტიამ თავისი დაწყებული ქალთა ემანსიპაციის საქმე უფრო მტკიცედ გაატარა აჭარისტანის სოფელში.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მე-3-მე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო მოძრაობას.

1925 21 ნოემბერი

დამსწრე.

ლოთობა და კულტურა

ლოთობა და კულტურა—აი ორი მცნება, რომელიც ურთიერთ სპობს ერთმანეთს, როგორც ყინული და ცეცხლი, სინათლე და სიბნელე.

ლოთობა ეწინააღმდეგება კულტურას საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარ პირობებში.

ჩვენი სახელმწიფო არის შრომის სახელმწიფო. განა შეიძლება ვილაპარაკოთ შრომის კულტურის შესახებ, თუ კი ლოთობა ხრწნის შრომას, ასუსტებს მოსახლეობის შრომის უნარიანობას, წარმოებებში იწვევს უბედურ შემთხვევებს.

ლოთი, რომელსაც ხელები უკანკალებს, თვალები უბნელდება, აკლდება ყურთასმენა, სუნთქვა ესუთება – ცუდი მუშაკია, ცუდი მშენებელია სოციალიზმის.

ლოთობა ხელს უშლის სოციალიზმის მშენებლობის მიერ საქმეს.

ჩვენ ვაშენებთ ახალ საზოგადოებას, ახალ ყოფა-ცხოვრებას, ლოთობას კი თან სდევს ბოროტმოქმედება და ავადმყოფობა, იგი ხრწნის საზოგადოებას.

დამახასიათებელია, რომ 1927 წ. ლენინგრადში ხულიგნობის მიზეზების გამოკვლევის დროს, აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი ხულიგნობა იყო ჩადენილი სიმთვრალეში. არც ერთ შემთხვევაში, ჩუბაროვიშინაშიაც კი არ იყო ჩარეული არც ერთი ფხიზელი კაცი.

მასვე მოგვითხრობს ყოველივე ბოროტმოქმედების სტატისტიკა და ე.წ. უბედურ შემთხვევის (თვითმკვლელობა თავის დახრჩობა, ცეცხლის მოკიდება და სხვა) სტატისტიკა.

ყოფა-ცხოვრება შენდება ქალისადმი პატივისცემაზე, ჩვენ უნდა ვუყუროთ ქალებს, უპირველეს ყოვლისა, როგორც ამხანაგს მუშაობაში და ბრძოლაში.

ლოთობა ამხეცებს ადამიანს, ე.წ. სქესობრივი ბოროტმოქმედებების უმეტესი ნაწილი (ძალით გაუპატიურება და სხვა) ხდება ლოთობის გამო.

ერთ დროს საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაკებზე გადაიარა გაფლანგვების ტალღამ. სტატისტიკა ისევ იმას გვიჩვენებდა, რომ გაფლანგვებს საფუძვლად ედო ქეიფი და ლოთობა.

ლოთობას მოსდევს ქეიფი და გარყვნილება, ლოთობა კაცს აქეზებს ბოროტმოქმედებაზე, მექრთამეობაზე, გაფლანგვაზე და მრავალ სხვაზე.

ჩვენ ეხლა ვზრუნავთ ახალ, ბევრის ამტან, ღონიერ თაობის მომზადებაზე.

ლოთობა შეეპარა უკვე მუშების და გლეხის ოჯახებში, მიეპარა ბავშვებს, რყვნის და ხრწნის მათ, უსპობს ღონეს და ჯამრთელობას.

ზედმეტია ლაპარაკი ოჯახურ უთანხმოებაზე, რომელსაც იწვევს ლოთობა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: რამდენიც ქმარმა მაგარი სასმელი დალია, იმდენი ცოლ-შვილმა ცრემლი დაღვარაო.

ჩვენი კულტურული ცხოვრების რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, ყველგან ლოთობა უკან გვწევს, ფეხებში გვედება, არ გვაძლევს გასაქანს.

კულტურულ მშენებლობის გზაზე, როგორც დამპალი, მყარი კუნძი, ისე გადაგვედობა ლოთობა, იგი უშლის ჩვენს მსვლელობას კულტურულ რევოლუციისაკენ; იგი აუცილებლად უნდა მოვიშოროთ გზიდან.

ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრივობის საერთო ძალდონით. თუ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი სადმე თამაშობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს – ეს, უპირველეს ყოვლისა, ალკოგოლიზმთან ბრძოლის საქმეში.

ვისთვისაც ძვირფასია სოციალისტურ მშენებლობის ინტერესები, ყველანი გამოუცხადებენ ლოთობას დაუნდობელ ბრძოლას.

1928 წლის 4 ოქტომბერი

ნ. სემაშკო

ნარკვი

მილიონი ფრანკი ინტერვიუში

ბერნარდ შოუ ჩავიდა პარიზში და სასტუმროში, სადაც ის გაჩერდა თავი მოიყარეს აუარებელმა ჟურნალისტებმა, რომლებსაც სურდათ გაეგოთ გამორჩენილი ინგლისელი მწერლის აზრი თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაზე და თეატრზე. ბერნარდ შოუმ უპასუხა მათ: მჯერა, რომ თქვენ ძლიერ გაინტერესებთ ჩემი აზრის გაგება ამ საკითხზე, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ჩემსგან სრული და გარკვეული პასუხი, ეს თქვენ დაგიჯდებათ ერთი მილიონი ფრანკი“. გაცემულმა ჟურნალისტებმა ამის შემდეგ თავი გაანებეს ბერნარდ შოუს.

ვიქტორ ჰიუგოს სახლი.

ვიქტორ ჰიუგოს მემკვიდრეებმა პარიზს აჩუქეს სახლი, სადაც ვიქტორ ჰიუგომ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელი. ამ სახლს შეაფარა მან თავი “პატარა ნაპოლეონთან” ბრძოლის შემდეგ. ამ სახლშია დაწერილი მისი საუკეთესო ნაწერები: „განკიცხულები“, “ზღვის მუშაკები” და სხვა.

ვოლტერი და მეფე-პოლიციელი.

როცა ვოლტერი, გერმანიაში გავლის დროს გაჩერდა ფრანკფურტში, მას ისეთი “შეხვედრა” გაუმართეს, რომ ეს მას სამუდამო მწარე მოგონებად დარჩა.

ვოლტერი უკვე გამგზავრებას აპირებდა, რომ მასთან მივიდა მეფის ნაცვალთა ბარონი ფრეიტაგი სენატორ რიუკერთან ერთად და პირადი განკარგულებით 8 საათის განმავლობაში ჩხრეკდნენ მის ჩემოდნებს.

ვოლტერი, აღშფოთებული ასეთი მოპყრობით, იჯდა მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩხრეკდნენ მის ნივთებს და როცა ჩხრეკა გათავდა დაცინვით უთხრა ფრეიტაგს: “გადაეცი თქვენს მეფეს, რომ მე არაფერი არ გამაქვს გერმანიიდან, “ტკბილი მოგონებაც კი”

ნავთის კოშკებმა განდევნეს ქალაქი.

ნავთის სარეწები კალიფორნიაში (შეერთებული შტატები) ქ. ხენტინ გლოტ-ბიჩის ახლო უკვე ქალაქის ფარგლებში შემოიჭრა. ნავთის წყაროების აღმოჩენის სურვილით გატაცებული მოსახლეობა თვით აწარმოებს გათხრებს თავის ეზოებში, ბაღებში და ბოსტნებში. რადგან რაიონი მდიდარია ნავთით, მრავალ ჭა-ბურღილებიდან ნავთის მძლავრმა შადრევანებმა ამოხეთქა და ნავთის კოშკები აღმართულია ქალაქის ცენტრში.

ქალაქის საბჭომ მოიწვია სასწრაფო სხდომა და აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა გამორკვევა საკითხის, თუ სად იქნა გადატანილი ქალაქი.

1927 წელი 20 ოქტომბერი

ანრი ბარბიუსი აჭარისტანში

შაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს ხულოდან ავტომობილით ბათუმში ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი მწერალი ამხ. ანრი ბარბიუსი ცოლით, რომელსაც თან ახლდა ამხ. ს. თოდრია.

ამხ. ბარბიუსს ქედაში შეხვდა აჭარისტანის განსახკომის ამხ. ლორთქიფანიძე.

ამხ. ბარბიუსი ჩამოვიდა საქართველოდან ახალციხის გზით. მან გამოიარა მთელი აჭარისტანი, ადგილობრივ გაეცნო აღმშენებლობით მუშაობას, დაათვალიერა მახუნცეთის ჰიდრო-სადგური.

ბათუმში ამხ. ბარბიუსი ესაუბრა აჭარისტანის ხელისუფლების, კომპარტიის წარმომადგენლებს აჭარისტანის მდგომარეობისა და წარმოებულ აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ.

16 ოქტომბერს ამხ. ბარბიუსმა დაათვალიერა ამხ. მ. გოგიბერიძესთან ერთად ჩაქვის სახალხო მამული და შემდეგ მატარებლით გაემგზავრა ოზურგეთში.

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ბარბიუსმა აღტაცება გამოხატა დიდ აღმშენებლობითი მუშაობის გამო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ამ ჩამორჩენილ კუთხეში.

1927 წლის 18 ოქტომბერი

ცრუების კონკურსი

“ამერიკულმა ლეგიონმა” (ომის ყოფილ მონაწილეთა ნახევრად ფაშისტური ორგანიზაცია) მოაწყო ცრუების კონკურსი, პირველი ჯილდო და მთელს შეერთებულ შტატებში უდიდესი მატყუარას სახელწოდება მიიღო ომის ყოფილმა მონაწილემ ფრანკ ლორენსმა, რომელმაც ჟიურის განცვიფრებულ წევრებს უამბო თავისი არაჩვეულებრივი თავგადასავლები საფრანგეთში და ამბავი დაამთავრა ფრონტზე თავისი სიკვდილის აღწერით.

1927 წლის 19 ოქტომბერი

მეცნიერება და ტექნიკა

სახლების უმკეთესი მაღაზიუზი

ამერიკაში არსებობს უნივერსალური მაღაზიების განსაკუთრებული ტიპი. ეს მაღაზიები ემსახურებიან არა მარტო ამ ქალაქების მომხმარებელს, არამედ მთელს სახელმწიფოს, განსაკუთრებით პროვინციას, ფერმერებს-სოფლის მეურნეებს. ეს მაღაზიები უფასოდ ავრცელებენ ასეულ ათას სქელკანიან დასურათებულ კატალოგებს და დაკვეთებს. გზავნიან ფოსტით ან რკინის გზით. აღნიშნულ ფირმების კატალოგები წარმოადგენენ ერთგვარ ენციკლოპედიას სავაჭრო დარგში. მათი საშვალებით მცხოვრებლებს საშვალება აქვთ დაუკვეთონ სახლში მიტანით ყოველგვარი საქონელი და ოჯახში საჭირო ნივთები დაწვებული წვრილმანიდან (კბილის საწმენდი, ავეჯი, ავტომობილები, ტრაქტორები და სხვა).

იმ საგნების სია, რომელთა გამორჩევა შეიძლება აღნიშნულ ფირმებიდან, უკანასკნელ ხანებში შეიცავს აგრეთვე საფაბრიკო წესით დამზადებულ საცხოვრებელ სახლებს.

ყველა ნაწილები, რომლებიდანაც შედგენილია სახლი ზედმიწევნით დანომრილია და მისი შეკრება ხდება ისევე მარტივად და ადვილად იმავე პრინციპით, როგორც სათამაშო საბავშვო სახლების შეკრება, თანდართული გეგმისა და აღწერის მიხედვით, სახლის ყველა ნაწილებს დამკვეთი ღებულბს ჩაწვობილ ხის ყუთებში, რომლებიც, გარდა საადმშენებლო მასალისა, შეიცავენ სახლის მთელ მოწყობილობას-სამზარეულოს, საბანაო ოთახს, წყალსადენს, ელექტრონულ მოწყობილობას და სხვ. კედლები, ჭერი, იატაკები მომარაგებული არიან შესაფერისად დანომრილ ნახვრეტებით, მილების მისამაგრებელ ადგილებით და სხვა. საჭიროა მხოლოდ ასეთივე ნომრებით აღნიშნულ მილების, კარების და სხვ. მიმაგრება. ყუთები შეიცავენ აგრეთვე შენობის შესაკრებათ საჭირო ხელსაწყოებსა და მასალებს-ლურსმნებს, ჭანჭიკებს და სხვ. სახლის შეკრება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ ტექნიკურ ცოდნას და მას კრებს თვით სახლის პატრონი 10-15 დღის განმავლობაში.

სიყრუვის მკურნალობა

ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი გოვარდი ცდებით დარწმუნდა, რომ ძლიერი ხმების საშვალებით, რომელიც ნორმალური სმენისათვის აუტანელია, შეიძლება სიყრუვის მოსპობა თორმეტი საათის ვადით. გოვარდმა დაამზადა შესაფერი აპარატი, რომლის მოქმედება მან შეამოწმა 20 ყრუზე. 17 მათგანის სმენა საგრძნობათ გაუმჯობესდა. საკმაოდ არის გოვარდის აპარატის მოქმედება ყრუს ყურებზე ნახევარი საათის განმავლობაში, რომ უკანასკნელ 12 საათით დაუბრუნდეს სმენა.

ხელოვნური ნავთი

ურანგმა ქიმიკოსებმა მოახერხეს დამზადება ხელოვნური ნავთის, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ბუნებრივს. ხელოვნური ნავთი შეიძლება გადამუშავებულ იქნეს ისევე, როგორც ბუნებრივი ბენზინის გაზოლინის

და სხვა პროდუქტების მისაღებად. ხელოვნური ნავთის მიღების წესებს საიდუმლოთ ინახავენ. საზოგადოებაში იციან მხოლოდ, რომ ახალი პროდუქტის მთავარი საფუძველია წყალბადისა და მჟავბადის ნარევი.

სალიბაურის მამული

(მიღწევები და დეფექტები)

ვინც გაეცნობა სალიბაურის მამულის მდგომარეობას ეხლა უთუოდ განცვიფრდება, იმდენათ გაუმჯობესდა საქმე. სანამ მამული “საქართველოს ჩაის” გადაეცემა, იგი არსებითად გავერანებული იყო, მოუვლელი და უპატრონოს გავდა. “საქართველოს ჩაის” დიდი მიღწევები აქვს. ეხლა პლანტაციები მოვლილია, ჩაის მოსავალმა იმატა, ჩაის სახმობი გაფართოვდა და სხვ.

მუშების მდგომარეობა წარსულში საშინელი იყო. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. აშენდა ორსართულიანი აგურის სახლი მუშებისათვის. კლუბ სამკითხველოს და ადგილკომს მიეცა ერთი დარბაზი. მუშათა სასაღილოსათვის აშენდა შენობა. თუ წინათ მუშები ხმელ პურსა და წყალზე გადადიოდნენ, რადგან ახლო-მახლოს სხვა არაფერი იშოვებოდა, ეხლა ცხელი სადილი აქვთ, პური ეძლევათ და სხვა. ამ მხრით დიდი მიხვევებია.

ეხლა ორიოდე სიტყვით დეფექტებზე. პირველია საექიმო დახმარების საქმე. სალიბაური შორს არის ქალაქზე, სადაც უნდა წავიდეს მუშა ავადმყოფობისას. ფეხით წასვლა არ შეიძლება და ეტლში ჩაჯდომას, ჯოჯოხეთში შესვლა სჯობს. მეეტლე ვერ ითმენს ეტლში მუშას. ჯერ უნდა ეხვეწო, რომ წაგიყვანოს, თითქოს მისი პირადი საკუთრება იყოს და დიდ დავალებას გიწვედეს, ხოლო თუ წაგიყვანა, ისე გუღმოსული წაგიყვანს, რომ სადაც დაგჩეხავს. მიუხედავად ამისა მთავარ გამგეობამ ქუჩებს 50 მან. საჩუქარი გამოუგზავნა, ალბათ იმის ჯილდოთ, რომ მუშები არ მოყავს ექიმთან და ეკონომიას აკეთებს. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება გამგემ და მეეტლეს დაუმოკლოს ცოტა მუდამ “ზევით აწეული ცხვირი”

მეორე დეფექტი შეეხება მამულის დარაჯების მუშაობას, უკეთ ვსთქვათ უმუშევრობას. მოვლენ, სადილს მიირთმევენ, პურს მიიღებენ და გასწევენ სახლში. მამულის ყარაული არც-კი ახსოვთ. საკითხი ისმება: თუ არ არის საჭირო დარაჯები, მოვხსნათ, ფულს რათ ვხარჯავთ, ხოლო თუ საჭიროა, ვადარაჯოთ, ავასრულებით თავისი მოვალეობა. ესეც მეორე ნაკლია, რომლის გამოსწორება ადვილია.

1927 წლის 19 ოქტომბერი

ბეკილი

აჭარელი ქალის შებღალული უფლება

1912 წელს 10 წლის თუ იქნებოდა მეხფულე ზაქარაძე, როცა იგი ცოლად მოიყვანა ვაჭარმა სულეიმან სეიდ-ოღლიმ. რა ცოლობის გაწევა შეუძლია 10 წლის ბავშვს. იგი უფრო მოსამსახურის როლს ასრულებდა, მით უმეტეს, რომ სეიდ-ოღლის სხვა ცოლიც ყავდა, რომლისგან შვილი ჯემალი დარჩა. გავიდა დრო და მეხფულეც გახდა დედა. მისი შვილი ჰაიდარი უკვე ათი წლისაა. თავს ეველებოდა მეხფულე შვილებს: თავისასაც და პირველ ცოლისასაც. ერთგული ცოლი იყო, ცოლი კი არა მონა, მოსამსახურე. ქმრის ყოველ ბრძანებას უხმოდ ასრულებდა, ქმრის ყოველი სიტყვა, სურვილი მისთვის კანონი იყო. ასე ქონდა შეთვისებული მეხფულეს ცოლ-ქმრული წესი ბავშვობიდან, ასე აუხსნეს მას ოჯახური ცხოვრება, როცა 10 წლის გაათხოვეს. ასე ცხოვრობდნენ მისი მშობლები და მეზობლები.

15 წელია, რაც ქმართან ცხოვრობდა მეხფულე ზაქარაძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანსაღი ქალი. მაგრამ ამ 15 წელში ბევრი რამ გამოსცადა. ჯერ ერთი მეხფულე მიხვდა, რომ ცოლობა, როცა იგი მონობათ იქცევა, ერთობ არა სასიამოვნო მოვალეობაა. ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება, დამცირება, დაუსვენებელი მუშაობა-აი “ცოლობა”, რომელიც ვერ აიტანა მეხფულემ. მიხვდა აგრეთვე მეხფულე, რომ 1912 წელი არ არის, რომ ესლა ქალი ისეთივე თავისუფალია, ისეთივე უფლებები აქვს, როგორც მამაკაცს. მიხვდა მეხფულე, რომ დასრულდა აჭარელ ქალის მონობის დრო, რომ დადგა მათთვის ახალი ხანა, როცა მთავრობა და პარტია მას იცავს.

ერთის მხრით ეს ახალი შეგნება უნათებდა ცხოვრების გზას მეხფულე ზაქარაძეს და მეორე მხრით ქმრის მხეცური საქციელი უკლავდა გულს, და ერთ დღეს აივსო მოთმინების ფიალა.

ასსოვს მეხფულეს ეს დღე. ეს იყო აპრილი 1927 წელი, როცა მისმა ქმარმა სულეიმან სეიდოღლიმ სახლში მემადვი ქალები მოიყვანა და ცოლის და ბავშვების თვალწინ ეწეოდა გარყვნილებას. ვერ მოითმინა მეხფულეს გულმა ეს დაცინვა, აღშფოთდა . . .

ქალის ასეთ “თავხედობით” გაბრაზებულმა ქმარმა ჩაკეტა კარები და სცემა ცოლს. სცემა მხეცურათ, ადინა სისხლი, დააგლიჯა თმები. “თოფიც მესროლა და არ ვიცი როგორ გადავრჩი” – ესლაც ტირილით ამბობს მეხფულე ზაქარაძე. საშინელ ტანჯვას განიცდიდა საბრალო ქალი. არა მარტო ტკივილს, არამედ შეგნება სტანჯავდა, რომ ასე სუსტია, ასე უძლური და არ შეუძლია დაიცვას თავის უფლება.

ნაცემი გასისხლიანებული ქალი პირველ უბნის მილიციაში მიიყვანეს, თოფიც თან შეიტანეს. ქალს კარგად ასსოვს მილიციელების სახელი და გვარი ესენი იყვნენ: სტეფანე გარელაშვილი და ჯემალ თედორაძე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ გაამართლეს ნაცემი ქალის იმედები. მათ საქმეს მსვლელობა არ მისცეს, ოქმიც კი არ შეადგინეს, თოფიც სადღაც მიმალეს და ეს საზიზღარი საქმე წყალს გაატანეს, დავიწყებას მისცეს.

მეხფულე ზაქარაძეს ასე ადვილათ არ დაავიწყდება ეს ამბავი, ქალი დარჩა უპატრონოთ, ქმრის სახლიდან გამოგდებული. ქმარმა კი წაიყვანა შვილი ჰაიდარი და მიიშალა. ნახევარ წელს ეძებდა მეხფულე მის ნაქმარებს, რომ პასუხი მოეთხოვა, რომ შვილი ჩამოერთმია და ბავშვის სარჩო მიეღო. ბოლოს გამოჩნდა. საქმე სასამართლოში დაინიშნა.

30 სექტემბერს გაირჩა საქმე 1 უბნის სასამართლოში. არც ეს დღე დაავიწყდება მეხფულე ზაქარაძეს. ქალი, რომელიც თავისუფლებისაკენ მისწრაფვოდა, რომელსაც ადამიანურ ცხოვრების სურვილი გაეღვიძა და პროტესტი განაცხადა მისი პიროვნების დამცირების წინააღმდეგ, ეს აჭარელი ქალი პირახდილი წადგა სასამართლოს წინაშე. გრძნობები ახრჩობდა და ცრემლი ერეოდა მის თვალს. ლაპარაკს მიუჩვეველმა ვერ დააღაგა თავისი ამბავი ისე, როგორც წესი და რიგია. დამცველიც დაუნიშნეს, მაგრამ ვერც დამცველს გააგებია რამე და ვერც სასამართლოს. საქმე მაინც გაირჩა, განაჩენი მაინც გამოტანილი იქნა.

რა სწერია განაჩენში?

იქ ნებ ვინ მეს გონია, რომ სეიდოღლი დასაჯეს ქალის ცემისა და შეურაცხყოფისათვის, იქნებ დააბრუნებინეს უკანვე წიქაბი, რომელიც წინდახედულათ მოპარა ცოლს, იქნებ გონიათ, რომ ბავშვი ჩამოართვეს მუდამ მეძავეებში მოხეტიალე მამას, რომელსაც ეხლა ბავშვი ნათესავისთვის მიუბარებია და გადასცეს დედას, რომელსაც ბავშვის საზრდოც დაუნიშნეს. არაფერი ამის და მაგვარი, შვილი აიდარი, მეხფულეს ნამდვილი შვილი ქმარს მიუსაჯა სასამართლომ იმ მოსაზრებით, რომ მეხფულე ეხლა ქუჩაშია ქმრის მიერ გაგდებული, ნათესავებთან ცხოვრობს და ბავშვს სათანადო აღზრდას ვერ მისცემს. კი მაგრამ ჯემალი? მეორე ბავშვი ჯემალი, რომელიც სეიდ-ოღლის პირველ ქალის შვილია და ეხლაც მეხფულესთან არის, იმას როგორღა გაზრდის? ეს ხომ ანეგდოტია: მისი შვილი სხვას მიუსაჯეს და სხვისი შვილი მას დაუტოვეს. ან რატომ უნდა იყოს ქალი ქუჩაში, ნათესავებში, რატომ არ ერგება წილი. იმ სახლიდან, სადაც 15 წელია დაუსვენებლათ მუშაობს ქალი, რატომ არ უნდა მისცეს ბავშვს სარჩო სულეიმან სეიდ-ოღლიმ, რომელიც ვაჭრობს.

საჭიროა ამ საქმეს ეხლავე მიექცეს ყურადღება და აჭარელ ქალის ფეხქვეშ გათელილი უფლებები აღდგეს.

1927 წლის 19 ოქტომბერი

ულმობელი

რა უნდა იცოდეს ბლენობამ

სასოფლო-სამეურნეო შეღავათი სტიქიის უბედურების ბამო

შეღავათი შეიძლება მიეცეს სტიქიური უბედურების შემდეგ შემთხვევაში, თუ მაგალითად, მეურნეობა დაზარალდა სეტყვით, ცეცხლით, წყალდიდობებით, ნათესების სათინის, ბადის და ბოსტნის დაღუპვით, საქონლის დახოცვით და იმ პირთა იარაღების დაღუპვით, რომელთაც დაბეგრული აქვთ არასამიწათმოქმედო შემოსავალი და შემდეგ ოჯახის ერთადერთი მუშა-ხელის სიკვდილით ან მძიმე ავადყოფობით.

სტიქიურ უბედურების დროს შეღავათი ეძლევა როგორც ცალკე გლეხის ოჯახს, ისე კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებს. ამისათვის წერილობით განცხადება უნდა შეიტანოთ თემის საგადასახადო კომისიაში.

სტიქიური უბედურების დროს მთელ სოფელს იმ შემთხვევაში მიეცემა შეღავათი, თუ ამით დაზარალდა არა ნაკლებ ნახევარი სოფლის მეურნეობა.

თუ ნახევარზე ნაკლები დაზარალდა, მაშინ ყოველ მეურნეობას ეძლევა შეღავათი.

შეღავათის მისაღებათ საჭიროა საბუთები.

თუ სათემო საგადასახადო კომისიაში შეგაქვთ განცხადება სტიქიურ უბედურების შესახებ, ამ განცხადებას თან უნდა მიაყოლოთ აქტიც. ამ აქტს ადგენს თემადმასკომი იმავე სოფლის ორი გლეხის თანდასწრებით.

აქტში უეჭველად უნდა იყოს ნაჩვენები სტიქიურ უბედურებით მიყენებული ზარალის რაოდენობა.

ამ აქტს და განცხადებას იხილავს საგადასახადო კომისია. კომისიას შეუძლია, თუ ის დარწმუნებული არ არის აქტის სინამდვილეში, წავიდეს ადგილობრივ, თავისი თვალთ ნახოს სტიქიურ უბედურებით მიყენებული ზარალი და შეადაროს რამდენად სწორია აქტში მოყვანილი ზარალის რაოდენობა. თუ გამოირკვა, რომ აქტი სწორედ არ არის შედგენილი, დამნაშავეს აძლევენ პასუხისმგებლობაში.

ღარიბებს მეტი შეღავათი ეძლევათ.

საგადასახადო კომისია მხედველობაში იღებს დაზარალებულის შეძლებას და ზარალის რაოდენობას.

შეძლებული მეურნეობა სტიქიურ უბედურებას ისე ვერ გრძნობს, როგორც ღარიბი მეურნეობა, ამიტომ ღარიბ მეურნეობას, ასეთ შემთხვევაში, მეტი შეღავათი ეძლევათ.

ასეთ მეურნეობას ეძლევა არა უმეტეს ერთი მეოთხედი შეღავათი იმისა, რამდენითაც დაბეგრულია მთელი მეურნეობა, ესე იგი, ამ მეურნეობაზე შეწერილ გადასახადს აკლდება ერთი მეოთხედამდე. ესეც იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად შეძლებულია მეურნეობა.

სტიქიურმა უბედურებამ დაბეგრული მეურნეობა თუ სამი-მეოთხედით შეამცირა, მაშინ ასეთ მეურნეობას ეკუთვნის მთელი გადასახადის სამ-მეოთხედამდე შეღავათი.

თუ სამ-მეოთხედზე მეტად შემცირდა მეურნეობა, მაშინ ის შეიძლება სრულიად იქნეს განთავისუფლებული გადასახადისაგან.

გადასახადის შესახებ გასაჩივრების წესები.

სიების შედგენის დროს შეიძლება დაშვებული იქნეს შეცდომები. შეიძლება სწორედ არ შეიტანონ სიაში საქონელი, მიწა, შეიძლება შემოსავალი და გასავალი სწორედ ვერ გამოიანგარიშონ, ზედმეტი გადასახადი შეაწერონ და სხვა.

ამიტომ საჭიროა თვითუღმა გადამხდელმა კარგად იცოდეს გადასახადის უსწორ-მასწორობაზე გასაჩივრების წესი.

სად და როდის უნდა მისცეთ საჩივარი.

საჩივარი უნდა შეიტანოთ თემადმასკომში, მაგრამ თქვენსავე სოფელში საგადასახადო კომისია არსებობს, იქ შეიტანოთ, რომელიც ვალდებულია თავისი დასკვნით სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს სათემო საგადასახადო კომისიას. სიაში თუ სწორად არ არის შეტანილი მიწა, საქონელი, მჭამელი სული და აგრეთვე არასამიწათმომქმედო, შემოსავალი, საჩივარი უნდა მისცეთ არა უგვიანეს ერთი თვისა, იმ დღიდან, როცა საგადასახადო ფურცელს ჩაგაბარებენ.

ამავე ხნის განმავლობაში უნდა მისცეთ საჩივარი, თუ შემოსავალი სწორედ არ არის გამოანგარიშებული, ან შედაგათი გეკუთვნოდათ და არ მოგცეს, ან მოგცეს, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც კანონიერად გეკუთვნოდათ.

1927 წლის 19 ოქტომბერი

მ. ბ.

სოციალური უზრუნველყოფის სახკომისარიატი

(აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშები 1921-1924 წწ.)

მოელ რიგ რეორგანიზაციის შემდეგ, რომელსაც ადგილი ქონდა ყველა რესპუბლიკებში, 1923 წელს თებერვლის პირველ რიცხვებში აჭარისტანში დაარსდა სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატი, რომლის ფუნქციებს ასრულებდა წინათ შრომის სახკომისარიატთან არსებული სახელმწიფოებრივი დახმარების მაგიდა. ატმოსფერო, რომელშიც უხდებოდა მუშაობა ხსენებულ ორგანიზაციას, ყოველ მხრით არა ხელსაყრელი იყო. კომისარიატის დაარსება მოხდა შუა საბიუჯეტო წელში, რის გამოც კრედიტების გახსნამ მოითხოვა ხანგრძლივი დრო; ადგილობრივ ბიუჯეტზე გადასვლის შემდეგ მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა.

მეორე მხრივ აფერხებდა და საქმის გაფართოებას ხელს უშლიდა დებულებების, ინსტრუქციების და სხვა ელემენტარულ სახელმძღვანელოების უქონლობა, რომ ყოფილიყო სოციალურ უზრუნველყოფის საკითხის გარკვევა, სახკომატისა და დამზღვევ საღაროს ფუნქციების გამიჯნვა. მუშაობას ხელს უშლიდა აგრეთვე გამოცდილ მომუშავეების ნაკლებობა და შტატების ხშირი შემოკლება. ყოველივე ზემოთ თქმულს უნდა დაემატოს ის, რომ მეზობელ რესპუბლიკებში არ იყო სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის ორგანოები დაარსებული და ადგილობრივად დაუკმაყოფილებელი ინვალიდები შიმშილის და სიცივის გამო ეძებდნენ თავშესაფარს და უზრუნველყოფას ბათუმში, როგორც თბილ მხარეში დაუდგენდნენ სახკომატს ხშირათ კანონიერ მოთხოვნილებებს, რომლის დაკმაყოფილება სახსრის უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდებოდა, რის გამოც მომუშავეები, რომლებსაც დავალებული ქონდათ სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის შექმნა, ვარდებოდნენ ჩიხში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დაწესებულებებისათვის გამომუშავებულ იქნა დებულებები ინსტრუქციები, შედგენილ იქნა მუშაობის საერთო გეგმა და კომისარიატის სტრუქტურა. მოწვეულ იქნა მოსამსახურეთა შესაფერისი შტატი და ამ რიგათ მოეწყო კომისარიატი.

და მთავარი ამოცანა სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატისა იყო ინვალიდების აღრიცხვაზე აყვანა, მათი გადარიგება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით და გამორკვევა შრომის უნარის დაკარგვის %, აგრეთვე ადგილობრივ პირობების აღნიშვნა, რომლისდა მიხედვით სახკომატს უხდებოდა სწორი გზის გამონახვა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეში და რამდენათ გამონახული იყო ეს სწორი გზა, სჩანს ცალკე განყოფილებების მუშაობიდან.

საორგანიზაციო მუშაობა

სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის აღდგენის დღიდან ყველა საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა და ცხოვრებაში ატარებდა საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისარი, საქმეთა მმარ-

თველი და ინსტრუქტორი. კომისიას არ ქონდა საშუალება ახლათ გახსნილ განყოფილებებში, ამიტომ გარეშე მისი მიმდინარე მუშაობისა, ასრულებდა ზოგიერთ განყოფილებების მუშაობას.

კომისიის მიერ მოეწყო შემდეგი განყოფილებები: 1) საერთო ადმინისტრაციული; 2) საპენსიო დახმარების და 3) საანგარიშო.

სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის მოღვაწეობა იყოფა ორ პერიოდად: პირველი – თვით კომისარიატის ფორმალურად ჩამოყალიბება, მისთვის შტატის შექმნა, ინსტრუქციების და ცირკულიარების დებულებების შედგენა, ზომების მიღება ადგილობრივ (ქალაქის) ინვალიდთა უზრუნველსაყოფათ, ინვალიდთა თავშესაფარის დაარსება, ხელოსანთა არტელების და კოოპერატიულ შენაერთების მოწეობა, მედიკურ და ფულით დახმარების მოწეობა, გამონახვა საშუალებებისა და წყაროების.

მეორე პერიოდი იწყება გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებისა და თვით მშრომელთა საზოგადოების დაარსებით.

ამ პერიოდში კომისარიატის სამეურნეო მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ორგანიზაციულ მხრით კი გაუარესდა. დაიწყო შტატების შემცირება, მაზრებში მოხსნეს სოციალურ-უზრუნველყოფის სახკომისარიატის რწმუნებულები, თვით კომისარიატში შტატი შემოკლებულ იქნა მინიმუმამდე, რის გამო სოციალურ უზრუნველყოფის სახკომატის მუშაობა და მაზრებთან კავშირი სრულიად ჩაიშალა.

ცენტრში შტატი იმდენათ მცირე და იმდენათ დატვირთული იყო მუშაობით, რომ მისი საშუალებით მუშაობის წარმოება მაზრებში შეუძლებელი იყო.

გლეხკომების ორგანიზაცია

გლეხკომების ორგანიზაციას კამპანია თუმცა საჭირო სინქარით ვერ ტარდებოდა სახსრის უქონლობის გამო, მაგრამ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, მთლიანად ჩატარდა. შექმნილ იქნა თემის და სამაზრო გლეხკომები; შემდეგ მოწვეულ იქნა აჭარისტანის ყრილობა, რომელმაც აირჩია ცენტრალური გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტი.

გლეხთა კომიტეტის დაარსებასთან ერთად ხდებოდა აგრეთვე ქალაქებში თვითმშრომელთა საზოგადოებების მოწეობა, ნახევრად პროლეტარული ელემენტები, რომლებიც მუშაობენ თავიანთი შრომით, მაგ: შინა მრეწველნი და სხვები, შეკავშირებულ იქნენ თვითმშრომელთა საზოგადოებებში.

კოლეგია

კოლეგია ფაქტიურათ დამტკიცებული იყო ნოემბერში 1923 წ. და განაგრძობდა ყოფილ საორგანიზაციო კომისიის მუშაობას.

კოლეგიაში შევიდნენ: 1) სახკომი, 2) პენსია-დახმარების განყოფილების გამგე და 3) საზოგადოებრივი დახმარების განყოფილების გამგე, რომლებმაც გაატარეს შემდეგი მუშაობა:

შეადგინეს საპენსიო საბჭო, ავადმყოფთა და დაჭრილ წითელარმიელთა სექცია, მოაწვეეს მატერიალურ დახმარების მიღება ა.კ. წითელ ლაშქართან და საქართველოს ცაკთან არსებულ დამხმარე კომიტეტებისაგან,

დამტკიცეს სხვა და სხვა ინვალიდთა არტელების და სახელოსნოების მოწყობის შემდეგ მათი წესდებები, გახსნეს საინვალიდო სახლი; ჩაატარეს კამპანია გლეხკომების და თვითმშრომელთა საზოგადოების დასაარსებლად. სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის არსებობის განმავლობაში კოლეგიას ქონდა 17 სხდომა, რომელზედაც გარჩეულია 219 კითხვა, მათში პრინციპიალური ხასიათის -55, ორგანიზაციული-68, საფინანსო-სამეურნეო-43, მიმდინარე-21.

საერთო ადმინისტრაციული განყოფილება

საერთო ადმინისტრაციულ განყოფილების მუშაობა დაკისრებული ჰქონდა საქმეთა მმართველობას, რომლის მუშაობაც გამოიხატა შემდეგში: ჩაინიშნა შემოსული ქაღალდები „2208“ გასული „2433“, გამომუშავებულ იქნა სოციალურ უზრუნველყოფის დებულებები, შესრულდა კოლეგიის სხდომის 17 ოქმი, საორგანიზაციო განყოფილებისა კი - 46, საპენსიო საბჭოსი-51, შესრულდა სამი სტატისტიკური ნუსხა და 37 ნიმუში ცირკულიარებისა და სხვა და სხვა ხასიათის დადგენილებები-6, შესრულდა ანგარიშები: თვიური-7, კვარტალური-3 და წლიური-1.

საანგარიშო განყოფილება

კომისარიატის საზოგადო ბრუნვა შეადგენს - 45.553.819.580 მანეთს ბონებით. შემოსულია სალაროში - 24.951.257.040 მანეთი. დაიხარჯა სალაროდან - 21.525.737.040 მანეთი. ინვალიდთა თავშესაფრის შესანახად დაიხარჯა - 1.137.269.000 მანეთი. ინვალიდების სამშობლოში გადასაგზავნათ დაიხარჯა - 700.440.000 მანეთი. დარიგდა პენსიების სახით - 4.367.004.000 მანეთი. ერთდროული დახმარების სახით გაიცა-39.200.000 მანეთი. მიეცათ თანამშრომლებს ჯამაგირები და დახმარებები ინვალიდებს-13.474.998.500 მანეთი.

პენსიების და დახმარების განყოფილება

განყოფილების გახსნისას პირველ ყოვლისა მოხდა მთელ აჭარისტანში მყოფ ინვალიდების აღრიცხვაზე აყვანა. მოეწყო დამზღვევ სალაროსთან საექიმო-საექსპერტო კომისია, შრომის უნარ-დაკარგვის % გამოსარკვევათ. პენსიების და სხვა დახმარებების დაწესების და გაცემის შესახებ დაარსებულ იქნა საპენსიო საბჭო, რომელმაც სულ შეასრულა 51 ოქმი და გაარჩია 365 საქმე.

სოციალურ უზრუნველყოფის სახკომისარიატის დაარსებიდან აღრიცხვაზე აყვანილია 308 ინვალიდი, რომელთაც მიეცათ პენსია და სხვა დახმარებები - 4.367.004.000 მანეთის ბონებით. გარეშე მუდმივ ინვალიდებისა გაეწია დახმარება 317 მოხეტიალე ინვალიდს - 700.440.000 მანეთის გაცემით; გადაიგზავნა სამშობლოში - 57 ინვალიდი, რაზედაც დაიხარჯა - 612.000.000 მანეთი. აღმოეჩინა მედიკური დახმარება - 258 ინვალიდს და დაიხარჯა ამ საქმეზე - 470.000.000 მან.

დაარსებულ იქნა ფერიაში ინვალიდების სახლი, სადაც მოთავსებულია 27 ინვალიდი, რომლებიც ითვლებიან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე. ამ საქმეზე დაიხარჯა სულ 1.137.269.000 მანეთი ბონებით. გაეწია აგრეთვე დახმარება და პროტეზი გაუკეთდა სამ ინვალიდს. მიღებული იყო ყოველგვარი ზომები ინვალიდების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. საშუალების გამოძებნის მიზნით ჩატარდა ინვალიდთა დახმარების კვირეული, რომელმაც მისცა სახკომატს დამაკმაყოფილებელი შედეგები. დამყარდა მოსაზღვრე რესპუბლიკებს შორის კავშირი, რომლის წყალობით შესაძლებელი გახდა მოხეტიალე ინვალიდთა %% შემცირება და სწორი და მიზანშეწონილი მეთოდის შემოღება. ამავე დროს მიმდინარეობდა მუშაობა, რომ ინვალიდები ჩაბმულიყვნენ შრომის პროცესში და ამ მიზნით დაარსებულ იქნა სახელოსნოები: სამკერვალო, ფეხსაცმელების, პაპიროსის, ქაღალდის დამჭრელი და საფეიქრო, რომლებშიაც დღესაც მუშაობს 47 ინვალიდი.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის დაარსებამდე ომის ინვალიდები დახმარებას იღებდნენ სხვა და სხვა დაწესებულებებიდან. კომისარიატის დაარსების შემდეგ ამ გარემოებამ შექმნა პარალელიზმი, რომ აღნიშნული თანხები განაწილებულიყო ინვალიდთა შორის უფრო რაციონალურად და მით უფრო გაუმჯობესებულიყო ომის ინვალიდების და წითელ არმიელების ოჯახების მდგომარეობა და თან საუკუნოთ მომსპარიყო პარალელიზმი. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან იქნა მოწყობილი სექცია, რომელშიც შედიოდა ყველა დაინტერესებული დაწესებულებების წარმომადგენლები; აღნიშნული სექციის მუშაობა გამოიხატა შემდეგში: დამკვიდრდა სექციის ფონდი, რომელშიაც თავი მოიყარა ფონდებმა სხვა და სხვა დაწესებულებებიდან. ამავე ფონდში შედიოდა %% ანარიცხები კინოებიდან, მარკებისა და სრულიად რუსეთის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის გამოცემების გაყიდვისაგან.

ურთიერთდახმარების განყოფილება

ურთიერთდამხმარე განყოფილება დაარსდა აგვისტოს დამლევაში. უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული გლეხთა კომიტეტის ორგანიზაციულად მოწყობაზე; ამ კამპანიის ჩასატარებლად შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაამტკიცა რა განყოფილების მიერ წარმოდგენილი დებულებები, ცირკულიარები, თეზისები და ინსტრუქციები. შეადგინა სათანადო გეგმა კამპანიის ჩასატარებლად.

საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდა ენკენისთვეში. კამპანია უნდა ჩატარებულიყო ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ, რადგანაც კომისიის მუშაობა დაიწყო ჭირნახულის აღების ხანაში, შეუძლებელი შეიქმნა მუშაობის დაწყება ყველა მაზრებში ერთად და ამის გამო კომისია იძულებული იყო თავისი მუშაობა შეეფარდებია გლეხების მდგომარეობისათვის. გარდა ამ მიზეზისა, მუშაობა მიდიოდა ნელი ტემპით, იმის გამოც, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს არ ჰქონდა საშუალება ხარჯების დასაფარავათ. მიუხედავად ამ მიზეზებისა, ყველა მაზრებში, თემებში და სოფლებში მოეწყო გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტები და მუშაობა დამთავრდა 1924 წლის იანვრის დამლევაში. საჭიროა ავღნიშნოთ, რომ გლეხთა დამხმარე კომიტეტების დაარსებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია თვით

გლეხებში, რის გამო უსახსრობა არ დადებია მძიმე უღლად კამპანიის სასურველად ჩატარებას.

გლეხთა დამხმარე კომიტეტების დაარსების და მოწყობისთანავე მოეწყო ქ. ბათომში თვითმშრომელთა საზოგადოება, რომელშიც შევიდნენ ნახევრად პროლეტარული ელემენტები, სახელდობრ: შინამრეწველნი, ხელოვანები და ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ თავის პირადი შრომით. თვითმშრომელთა საზოგადოების დაარსებამდე ქალაქში სუფევდა „შინამრეწველთა კავშირი“, რომელსაც ჰქონდა თავისებური დებულება; ეს შინამრეწველთა კავშირი გაკეთდა თვითმშრომელთა საზოგადოებათ, რომლისთვისაც იქნა გამომუშავებული და დამტკიცებული სათანადო დებულება. ამ საზოგადოების დაწესება მოხდა თანახმად ახალი დებულებისა, კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდნენ პარტკომის, შრომის კომისარიატის, პროფკავშირის და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენლები. ამ კომისიამ, თვითმშრომელთა საზოგადოების დაარსების მუშაობის დროს, მოახდინა მათ შორის წმენდაც, რის გამო 750 კაცის მაგიერ „თვითმშრომელთა საზოგადოებაში“ დარჩა მხოლოდ 250 კაცი.

1924 წელი

კოლექცია

სოციალურ უზრუნველყოფის სახკომატის კოლექციამ, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ მუშაობას, ისარგებლა გასული წლის მუშაობის გამოცდილებით და, მიიღო რა მხედველობაში აჭარისტანის ადგილობრივი პირობები, შეიმუშავა სოციალური საკითხის თავის დონეზე დასაყენებლად სათანადო პრაქტიკული სამუშაო გეგმა, რომელიც გაატარა ცხოვრებაში თავისი განყოფილებების საშუალებებით. კოლექციას ჰქონდა 112 სხდომა; გაარჩია 1218 საქმე, მათ შორის – პრინციპიალური ხასიათი 368, ორგანიზაციული-223, სამეურნეო-საოჯახო-195, მიმდინარე-162 და სხვა და სხვა 270.

კოლექციამ მოახდინა: ხელახალი რეგისტრაცია ინვალიდებს შორის, ინვალიდთა არტელების და შენაერთების რეორგანიზაცია, რომელთაც დაუმტკიცდა ცხრა წესდება, შექმნა მათთვის აჭარისტანის საწარმოვო-მომხმარებელი კოოპერატიული შენაერთი, დაათავრა გლეხთა კომიტეტების მოწყობა, შექმნა მათთვის სათანადო ფონდი და დაამტკიცა სხვა და სხვა ორგანიზაციებთან 43 ხელშეკრულება. შექმნილ იქნა საუწყებათაშორისო გამგეობა გლეხთა სახლებში მუშაობის საწარმოებლად სხვა და სხვა დახმარებების აღმოჩენის მიზნით.

საანგარიშო განყოფილება

1924 წლის განმავლობაში საერთო ბრუნვა უდრის 160.452 მან. 67 კაპ., სალაროში შემოვიდა 69.803 მან. 58 კაპ., გავიდა 68.702 მან. 81 კაპ., შემოსულია სახელმწიფო ბიუჯეტით – 2.471 მან. 13 კაპ., კომუნალური ბიუჯეტით – 17.039 მან. 75 კაპ., გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტის ფონდში - 2.280 მან. 62 კაპ., გავიდა 2.205 მან. 40 კაპ., ომის ინვალიდთა სექციის ფონდში

შემოვიდა - 1421 მან. 31 კაპ., გავიდა - 574 მან. 96 კაპ., დარჩა მიუღებელი კომუნალური ბიუჯეტი 1400 მან., რის გამო უკანასკნელი ორი თვის პენსიები დარჩა დაურიგებელი. ცენტრგლექსკომის სარეალიზაციო პუნქტების საოპერაციო ბრუნვა უდრის - 303.153 მან. 96 კაპ.

პენსია და დახმარება

ინვალიდთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შექმნილ იქნა კომისია, რომელმაც მოახდინა აღრიცხვაზე და პენსიაზედ მყოფ ინვალიდთა შორის წმენდა; აღნიშნულმა კომისიამ მთელი მისი მასალა დასკვნით წარუდგინა საპენსიო საბჭოს, რომლის გადახედვასაც შედეგად მოყვა 101 ინვალიდის მოხსნა პენსიიდან და 87 - აღრიცხვიდან. ამ რიგათ პენსიაზე დარჩა, ახლად მიღებულთან ერთად 230 ინვალიდი, რომელთაც მიეცათ 10.318 მან. 86 კაპ. დახმარება მთლიან სახელმწიფო უზრუნველყოფაზე იმყოფება 18 ინვალიდი და ისინი მოთავსებული არიან ინვალიდთა სახლში დაბა ფერიაში, რომლებზეც დაიხარჯა 912 მან., გადაიგზავნა სამშობლოში მუდმივ საცხოვრებლად ბინაზე 78 ინვალიდი და ამ მიზნით დახარჯა 400 მან. 67 კაპ., აღმოეჩინა დახმარება 97 გამგლეულ ინვალიდს - 582 მან. მედიკური დახმარება წამლით., საავადმყოფოში გადაგზავნით და ამბულატორიული სახით მიეცა დახმარება 375 ინვალიდს - 513 მან. 10 კაპ. პროტეზიული დახმარება გაეწია 4 ინვალიდს - 700 მან. დაიხარჯა ინვალიდების მოსამზადებლად სხვა და სხვა ხელობის შესწავლის მიზნით - 310 მან.

მთავარი დახმარება ინვალიდთა დახმარების აღმოსაჩენ საქმეში იმაზედ იყო მიქცეული, რომ თვით ინვალიდები ჩაბმულიყვენ შრომის პროცესში და ამ მიზნით იქნა გაფართოებული ინვალიდების სახელოსნოები და შენაერთები, რომელიც იყო დაარსებული გასულ წელში, და აგრეთვე მოწყობილი იქნა ახალი, მაგ: თამბაქოს გამსადლებელი არტელი, ინვალიდთა წითელი სასადილო და შეკავშირებული იქნა ყველა ეს არტელები და სახელოსნოები აჭარისტანის ინვალიდთა საწარმოვო-მომხმარებელ კოოპერატიულ შენაერთში, რომელსაც დაერქვა „აჭარიკო“. ყველა ამ სახელოსნოებში და არტელებში ითვლება დღეს 137 ინვალიდი, რომლებიც მოხსნილი არიან სახელმწიფო მარაგიდან და თავიანთი შრომათ ირჩევენ თავიანთ თავს, მათი ოჯახითურთ.

განსაკუთრებული ყურადღება განყოფილების მიერ ექცეოდა ომის ინვალიდებს. ამისათვის საჭირო შეიქმნა სხვა და სხვა წყაროების გამოხახვა, რასაც ეწეოდა ომის ინვალიდთა დამხმარე სექცია; სექციას ჰქონდა 23 სხდომა და განიხილა 24 საქმე. მან დახმარება აღმოეჩინა, როგორც კერძო ინვალიდებს, აგრეთვე ინვალიდთა ორგანიზაციას სუბსიდიის მიცემით.

საურთიერთო საზოგადოებრივი დახმარება

გლესთა კომიტეტების დაარსება აჭარისტანში, რომელიც დაწყებული იყო გასული წლის ბოლოში, სახკომატმა დაამთავრა 1924 წლის იანვრის დამდეგს. თებერვლის შუა რიცხვებში კი მოწვეულ იქნა აჭარისტანის

გლეხკომების I ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქნა აჭარისტანის გლეხთა ურთიერთდამხმარე ცენტრალური კომიტეტი.

მოწყობილი იქნა 12 სათემო, 2 სარაიონო და 5 სამაზრო გლეხკომი; ყველა სათემო, სარაიონო და სამაზრო კომიტეტებში ირიცხება 11.800 წევრი.

ცენტრალური კომიტეტი, ყრილობის მიერ დავალებულ ნაკაზის განსახორციელებლად, შეუდგა საქმიანობას და კომიტეტმა შესძლო ადგილობრივ პირობებთან მიზანშეწონილათ მიდგომა და მასზე დაკისრებული მოვალეობის ცხოვრებაში გატარება.

უპირველეს ყოვლისა კომიტეტის საქმიანობისათვის საჭირო იყო სახსარი, რომელიც უნდა გამოენახა თვით მას. დაყრდნობა თვითდაბეგვრაზედ არ შეიძლებოდა, ვინაიდან გლეხები დაშინებულა, რომ მას ეს თანხა არ მოხმარდებოდა და მას ექნებოდა მხოლოდ გადასახადის ხასიათი და მეორე მხრივ აჭარისტანში გლეხები მეტად ღარიბნი არიან და ხელსაყრელ პირობებშიც საგრძნობ თანხის აღებას ვერ შეძლებდენ. ცენტრგლეხკომი შეუდგა იმ წარმოებების ადგილობრივად გამონახვას, რომლებიც მისცემდენ მას საშუალებას შეექმნა ძლიერი ფონდი, მაგრამ ამ ფონდის შექმნასთან ერთად საჭირო იყო თვით გლეხკომებში ჩაბმულ გლეხობის ამოქმედება და მათ მიერ ინიციატივის გამოჩენა.

შიმშილობის დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ მისი უფლებები ნაწილობრივ გადმოეცა ცენტრგლეხკომს, მაგ: მონოპოლიური უფლებები ლოტოზე, ნარდზე, დომინოზე, ბილიარდზე, კინოებიდან 2 პროც. ანარიცხი და სხვა.

აი, ამ პატარა საშემოსავლო წყაროების საშუალებით ცენტრგლეხკომი შეუდგა მისი ერთობ დიდი ამოცანების აღსრულებას.

აჭარის-წყალზე მოაწყო ხის ნახარშის დამზარება, როსთვისაც გაიცა 500 მანეთი. სამნეო წლის განმავლობაში დამზადდა 3.200 ფუთი ნახშირი.

ქედის მაზრა (ცხმორისის თემში) მდიდარია ადესის და ჩხვარის ყურძნით, რომელიც უსარგებლოდ იკარგებოდა, რადგან გლეხები მით ვერ სარგებლობდენ, ამის გამო გლეხკომმა იქ გახსნა ღვინის ქარხანა, შეიძინა ყურძენი გლეხებისაგან ხელსაყრელ ფასებში და დასწურა 462 ფუთი ღვინო.

ჭოროხის მაზრაში მოეწყო საპნის ქარხანა. აღნიშნულ ქარხანაში დამზადებულმა საპონმა დააკმაყოფილა არა თუ ადგილობრივი გლეხობა, არამედ მეზობელ რაიონების გლეხების საჭიროებაც.

ხულოში გახსნილ იქნა წითელი სასადილო. მიეცა მას 350 მანეთი. ყველა შემოსავალი სასადილოდან გადადიოდა გლეხკომის ფონდში. ამავე დროს ცენტრგლეხკომი ატარებდა გლეხებში ნებაყოფლობით თვითდაბეგრვას.

თვითდაბეგვრიდან მოგროვდა; აჭარისწყლის მაზრაში – 200 მან., ქედის მაზრაში – 480 მან., ხულოს მაზრაში – 600 მან., ქობულეთის მაზრაში – 700 მან., და ჭოროხის მაზრაში – 850 მან.

აჭარისტანში გლეხობა ვერ იძენდა პირველ მოთხოვნილებების საგნებს საკმარისად და იაფ ფასებში. საწარმოები მათი უვარდებოდა ხელში ჩარჩვაჭრებს, რის გამო გლეხობა იყვლიფებოდა; ამის გამო გლეხთა კომიტეტმა, რათა გლეხობას თავი დაეხწია ასეთ მდგომარეობისაგან და თან აქმაღლებია გლეხთა თვალში კოოპერაციის მნიშვნელობა, ყველა მაზრებში და

თვალსაჩინო თემებში გახსნა გლეხთა დუქნები, სადაც გლეხობა ღებულობდა 50-60 პროც. უფრო იაფათ ფართლეულობას, საპონს, ასანთს, პაპიროსის ქაღალდს და სხვას.

ამისა აღნიშნულ დუქნების დაარსებამ დიდი დახმარება გაუწია აჭარისტანში ფულის რეფორმის ჩატარებას; ხმარებაში იყო მხოლოდ თათრული ფული და იშვიათი იყო, რომ კაცს ეპოვნა აჭარისტანის სოფლებში რაიმე საქონელი საბჭოთა ხელისუფლების ფულით; გლეხთა კომიტეტების მიერ გახსნილ დუქნებში საქონლის შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ფულით. ამისათვის გლეხობა იძულებული შეიქნა გადაეხურდა თურქული ფული და მიეტანა გლეხთა დუქნებში საბჭოთა ფული; ამ შემთხვევამ თითქმის სრულიად მოსპო აჭარისტანის სოფლებში თათრული ფულის ხმარება და დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლების ფული.

აღნიშნულ გლეხთა დუქნებს გადაეგზავნა ცენტრგლეხკომიდან 168.000 მან. მანუფაქტურა და სხვა და სხვა საქონელი.

ქობულეთის და ჭოროხის მაზრებში იყო დაგროვილი ზედმეტი სიმინდის მარაგი, რომელსაც არ ჰქონდა ბაზარი და ფუთი სიმინდი იყიდებოდა 50-55 კაპეიკად; გლეხკომი შეუდგა აღნიშნული სიმინდის მარაგის განადგურებას; რომელიც გლეხობიდან შესყიდულ იქნა 80 კ. ფუთი და ზედმეტად შემოსული თანხა კი გადაირიცხა გლეხკომის ფონდში; ამ სახით იყო განადგურებული 32.800 ფუთი სიმინდი.

შემდეგი სოფლის ნაწარმოები იყო თხილი. ჩარჩები დაინტერესებული იყვნენ ეს საქონელი ჩაეგდოთ ხელში იაფ ფასებში. მაგრამ გლეხკომი ადგილობრივად, აჭარცეკავშირთან და მეზობელ სამაზრო გლეხკომებთან (ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის) ერთად, შეუდგა თხილის დამზადებას და მის რეალიზაციას; შესყიდულ იქნა თხილი უდიდეს ფასებში – ფუთი 5 მან. 50 კაპ. 18.600 ფუთი. აღნიშნული თხილის საფასური გლეხებზე უკვე მიცემულია.

თხილის ოპერაციას მოყვა მანდარინების სეზონი; 1924 წელს განსაკუთრებით დიდი მოსავალი იყო, ამისათვის იქნა მიღებული ზომები, აღმოჩენოდა გლეხებს შეძლებისდაგვარი დახმარება. ეს დახმარება გამოიხატა შემდეგში: ეძლეოდა გლეხებს მანდარინის ყუთები, ქაღალდი, ლურსმანი, ვაგონები. ორი სპეციალისტი მანდარინების ბაზრისათვის გამზადების საქმეში და ეძლეოდათ ცოტა ავანსი. ამრიგად გადაიგზავნა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში 29 ვაგონი მანდარინა.

მომავალი სიმინდის სარეალიზაციოთ წინასწარ დადებულია ხელშეკრულება „ექსპორტხლებთან“ სიმინდის კარგ ფასებში გასასაღებლად რის შესახებაც ყოველივე სამზადისი დამთავრებულია.

ოპერაციების მსვლელობის მიხედვით იხსნებოდა სხვა და სხვა წამოწყებანი მაზრებში, მაგ: ქედაში, ხულოში და ქობულეთში საწაღე სახელოსნოები, რა მიზნისათვისაც გაიწა თვითეულზე 500-500 მანეთი, იმავე დროს საქართველოს ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტთან ერთად შესყიდულ იქნა სანთლის ქარხანა 11.500 მან., რომელი ქარხანაც რუსეთიდან მასალის მიღებისთანავე დაიწყებს მუშაობას.

აღებულ იქნა სამხედრო უწყებიდან იჯარის სახით თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომლის მოსაწყობათ და ნედლი მასალის შესაძენათ გაი-

ცა 1.200 მანეთი. ქარხანა ამზადებს გლეხებისათვის პირველ საჭიროების ჭურჭელს, როგორცაა: ქვაბები და სხვა.

გახსნილია აგრეთვე ქობულეთში, ჩაქვში და ბათომში ფურნეები გლეხების პურით უზრუნველსაყოფად.

საოგრანიზაციო მუშაობა მაზრებში

ფონდის შექმნასთან ერთად ტარდებოდა ორგანიზაციული მუშაობაც. ყველა მაზრებში მოწოდებულ იქნა საპენსიო საბჭოები, შემდგარი ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებიდან, რომელიც არკვევდა ქვრივ-ობლების შრომის უნარ-დაკარგულობას და შეუძლო მოსახლეობების მდგომარეობას, უნიშნავდა მათ როგორც პენსიებს, აგრეთვე ერთდროულად დახმარებებს.

ამ უამად პენსიაზე ითვლება მუდმივად 162 კაცი, რომელთაც მიეცათ პენსია – 2.694 მან. 71 კაპ., ერთდროული დახმარება მიეცა 87 გლეხს – 1.558 მან. 85 კაპ., სტიქიურ უბედურებიდან დაზარალებულთ – 680 მან., ექიმობით დახმარება, კურორტებზე გადაგზავნილი – 4 კაცს, დაიხარჯა – 127 მან., მიეცა შრომითი დახმარება – 47 უღარიბეს გლეხთა ოჯახებს.

აგრეთვე მოწესრიგებულ იქნა მომუშავეთა პირების ჯამაგირების საკითხი, რომელიც იხარჯება გლეხკომების ფონდიდან. სულ ჯამაგირებში გადის 530 მან. თვიურად.

დამუშავებულ იქნა გეგმა კოლექტიურად მიწების დასათესად, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი მოგვარდა მოგვიანებით, გადაიდო მისი ცხოვრებაში გატარება შემდეგ წლისათვის.

ქალაქში ჩამოსულ გლეხებისათვის სხვა და სხვა დახმარებების აღმოსაჩენად და მათთვის დროებითი ბინის მისანიჭებლად დაარსებულია გლეხთა სახლები, სადაც ფუხარა ხალხი პოულობს უფასოთ ბინას და ღებულობს თავის საჭირბოროტო კითხვებზე განმარტებას. გლეხთა სახლებში მუშაობას უძღვება საუწყებათაშორისო გამგეობა, რომელსაც აქვს დაარსებული სხვა და სხვა სექციები: იურიდიული, აგრონომიული და ცნობების მიმწველენი.


თვითმშრომელთა საზოგადოების მუშაობა ამ წელიწადში გამოიხატება მის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაში და მუშაობის გაფართოებაში. მაგ: დაარსებულ იქნა მათთვის ფონდი, რომელიც სდგება საწევრო გადასახადისაგან და სხვა და სხვა შემოწირულებებისაგან, დაარსებულ იქნა აგრეთვე სექციები: წერა-კითხვის უცოდინართათვის და გაჭირვებულ წევრთა დამხმარე; გახსნილ იქნა სამკითხველო.

ასსცსა, ფონდი: რ-2, აღწერა-1, საქმე №1. ფურც: 240-245.

ქ რ ო ნ ი კ ა

საერთაშორისო ურთიერთობები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

2012 წლის 31 ივლისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსა და შტირიის მიწის (გრაჯის) სამხარეო არქივს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს საარქივო სფეროში მხარეების თანამშრომლობას, ინფორმაციების გაცვლასა და პროგრესული გამოცდილების გაზიარებას



4. To use copies and microfilms for only scientific purpose, research and two countries history connection. This kind of documents can be published only after receiving permission from other side;
5. To publish collections of documents, which will reflect historical process related with the cooperation between two countries;
6. To establish contact between Archives of Batumi and Styria (Graz, Austria), for providing broad access of information;
7. In terms of memorandum, according to the scientific-research interest parties agree free availability of archival documents;
8. To carry out joint projects and activities mentioned in the memorandum.

This agreement is done in two copies in English and Georgian languages.

*Head of Sub-department of Ajara
Autonomous Republic government -
Archives Administration*

Tengiz Tsintskiladze



Head of Styria Regional Archive



Dr. Josef Riegler

Ami der **Dr. Josef Riegler** Regierung
Landesarchiv
3010 Graz, Karmeliterplatz 3

- 31 July, 2012



2013 წლის 20 ივნისს სოფიაში (ბულგარეთი) ხელი მოეწერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსა და სოფიის წმინდა კირილეს და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გურამ სალაძემ (აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი) და ბორიანა ქრისტოვამ (სოფიის კირილეს და მეთოდეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი). ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: ბულგარეთში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ირინე ბურდული, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯაბა ბერიძე და საზოგადოებასთან, მასმედიასთან, საზღვარგარეთთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების უფროსი თამაზ ფუტყარაძე.

	
<p>წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს (საქართველო) შორის ურთიერთთანამშრომლობის მ მ მ რ ა ნ დ უ მ ი</p>	
<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო და წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა (ბულგარეთი) (შემდგომ მოხსენიებული, როგორც აღნიშნული მემორანდუმის მხარეები) ითვალისწინებენ რა საერთო ინტერესებს და ურთიერთთანამშრომლობისა და პროფესიული ურთიერთობისგან გამომდინარე შედეგებს, თანხმდებიან შემდეგზე:</p>	
<p>მუხლი 1. მონაწილე ახრცანები</p> <ol style="list-style-type: none"> 1.1 წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს (საქართველო) და წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკას (ბულგარეთი) შორის თანამშრომლობის ჩარჩოს წარმოადგენს. მემორანდუმში მხარეებს არ აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას და მას არ აქვს იძულების ძალა, იგი აფიქსირებს სურვილს ხელი შეუწყოს ორი ქვეყნის საარქივო სამმართველოსა და ეროვნული ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობას. 1.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ისწრაფვის ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის განვითარებისა და სრულყოფისკენ, რის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება საარქივო ფონდებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა; 1.3 წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს მაღალპროფესიულ და გამოცდილ ორგანიზაციას, რომელიც საარქივო ფონდების მონაცემთა ბაზის „ონლაინ“ რეჟიმში ჩართვისკენ ისწრაფვის; 1.4 თავისი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების გზით ის ხელს შეუწყობს თანამშრომლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსთან. 	
<p>მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები</p> <ol style="list-style-type: none"> 2.1 განაუთარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა, რაც ასევე მოიცავს ინფორმაციისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლას; 2.2 მიაწოდონ ერთმანეთს საარქივო დოკუმენტების გამოცემები, პროფესიული გამოცემები, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურა, მოწოდონ 	
<p>საარქივო სამმართველო 25.06</p>	

ერთობლივი პროფესიული და სამეცნიერო შეხვედრები (კონფერენციები, სემინარები, სამუშაო ადგილზე სასწავლო ტრენინგები) და საარქივო გამოფენები;

- 2.3 მოიძიონ დოკუმენტები და ერთმანეთში გაცვალონ დეტალური ინფორმაცია, ასევე საარქივო ფონდებისა და კოლექციების გამდიდრების მიზნით ერთმანეთს მიაწოდონ ორივე ქვეყნის ისტორიისთვის მატერიალური ღირებულების მქონე საარქივო დოკუმენტთა ასლები (ქაღალდფუძიანი, კინო და ფოტო დოკუმენტები);
- 2.4 გამოიყენოს ასლები და მიკროფილმები მხოლოდ სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისთვის, ასევე ორი ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვის. ამ ტიპის ნებისმიერი დოკუმენტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს მხოლოდ მეორე მხარის ნებართვის შემდეგ;
- 2.5 შენარჩუნდეს და გააძლიერონ კონტაქტები ორი ქვეყნის დაწესებულებათა შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციაზე ფართო ხელმისაწვდომობა;
- 2.6 გამოიცეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ისტორიული პროცესის ამსახველი დოკუმენტების კოლექციები;
- 2.7 ინფორმაციის გაცვლისას, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული კანონმდებლობა, მხარის უფლებები და საერთაშორისო მოთხოვნები. დახურული ან დახურვისათვის განკუთვნილი ინფორმაციის გამოყენება უნდა დაეკუთვნებოდეს ცალკე შეთანხმებას.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვალა და ფორმები

- 3.1 წინამდებარე მემორანდუმის არცერთი პირობა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ზიანი მიაყენოს მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას. მხარეთა შორის დავის წამოჭრის შემთხვევაში სადაო საკითხები მოგვარდება მოლაპარაკების გზით;
- 3.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, სანამ ერთი მხარე ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით არ განაცხადებს, რომ სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება გარკვეული მიზეზის გამო;
- 3.3 მემორანდუმი, მხარეთა წერილობითი დასტურის საფუძველზე, შეიძლება ნებისმიერ დროს იქნას შესწორებული;
- 3.4 მემორანდუმი ხელმოწერილია ქ. სოფიაში 2013 წლის _____
შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ბულგარულ და ქართულ ენებზე.

ქ. სოფიის წმინდა კირილესა და
მეთოდეს ბიბლიოთეკის
დირექტორი

ბორინა ხრისტევა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის სექციური დაწესებულება -
საარქივო სამმართველოს უფროსი:

გურამ სალაძე



მივლინება ბულგარეთში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, 2012 წლის 10 დეკემბრიდან 21 დეკემბრამდე ბულგარეთში, სოფიის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებაში იმყოფებოდნენ საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე და სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ფრიდონ ქარდავა. მათ სოფიის ბიბლიოთეკის ფონდსაცავებში მოიძიეს ჩილდირის ვილაიეთის შესახებ არსებული XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტები (550-მდე დოკუმენტი), რომელთა ციფრულმა ვერსიებმა ბინა დაილო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსახლეობის ეთნიკური სურათი, გადასახადები, საბროძლო და სამხედრო შინაარსის მასალები, სხვადასხვა სახის ინფორმაციები კაზების შესახებ, არხები, არხუჭალები, დაეთრები, ფირმანები, მაზბატები. აღნიშნულ წერილობით დოკუმენტებს აქვს უაღრესად დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ოსმალური პერიოდის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს საარქივო დაწესებულებებში ძალზე მწირია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში კი პრაქტიკულად ბოლო დრომდე არ არსებობდა. ვიზიტის პერიოდში საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები შეხვდნენ სოფიისა და ბლაგოვეგრადის საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, დაათვალიერეს ფონდსაცავები, რესტავრაციის ლაბორატორია, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები და ისაუბრეს სამომავლო სამეცნიერო კონტაქტების აუცილებლობის შესახებ.



სტაჟირება

2013 წლის 24 მარტიდან 24 ივნისამდე სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო არქივში გაიარა სტაჟირება თამაზ ფუტკარაძემ.

სტუმარი საარქივო სამმართველოში


მიმდინარე წლის 1 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია ბრიტანელი მკვლევარი რობერტ ლ.ჯერმენი. ბატონი ჯერმენისა და სამმართველოს უფროსის, ბატონ გურამ სალაძის საუბარმა ჩაიარა თბილ და ურიერთმეგობრულ გარემოში. რამდენადაც ბატონი ჯერმენი უკვე წლებია მუშაობს ბრიტანეთის არქივებში, საქართველოსა და კერძოდ ჩვენს რეგიონთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების მოძიებასა და გამოქვეყნებაზე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მის მიერ აჭარის არქივის ხელმძღვანელობასთან გამართული დიალოგი. საუბარი შეეხო ბრიტანეთის

არქივებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების შემდგომი კვლევა-ძიების გაღრმავების გზებსა და შესაძლებლობებს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი



2013 წლის 21 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საარქივო სამმართველოსა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამმართველოს უფროსმა გურამ სალაძემ და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ერმილე მესხიამ.



აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
საარქივო სამმართველო

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

21 აგვისტო, 2013 წელი

პრეამბულა

ურთიერთთანამშრომლობის მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო თანხმდებიან შემდეგზე:

მემორანდუმის ფარგლებში ერთმანეთს ხელი შეუწყონ:

- ერთობლივი შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ჩატარებაში.

მუხლი I

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები და სპეციალისტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განხორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებს.

- 1.4. მხარეები უზრუნველყონ პროფესორ-მასწავლებელთა და სპეციალისტთა გაცვლას პროფესიული პრაქტიკებისა და შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში.
- 1.5. ხელოვნების უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს საარქივო სამმართველოს:
- უნივერსიტეტის შენობაში განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები, სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და სხვა ღონისძიებები;
 - ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები (რეჟისორები, მხატვრები, დიზაინერები), საარქივო სამმართველოს დირექციის მომართვის საფუძველზე, ანაზღაურების გარეშე, დახმარებას და კონსულტაციებს გაუწიონ შემოქმედებითი პროექტების (გამოფენის მომზადება, თეატრალიზებული წარმოდგენა, ვიდეო-ფოტოგადაღება, კონცერტის, კონკურსის რეჟისურა და სხვ.) მომზადებასა და ჩატარებაში.
- 1.6. საარქივო სამმართველო მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში:
- ხელს შეუწყობს სპეციალისტთა და სტუდენტთა პრაქტიკის გაცვლას;
 - არქივის საბიბლიოთეკო, ფოტო და კინო ფონდით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

- 2.1. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
- 2.2. მემორანდუმში მხარეებს არანაირ სამართლებრივ ვალდებულებებს არ აკისრებს და არ აქვს სავალდებულო ხასიათი, ის მხოლოდ აფიქსირებს მხარეთა სურვილს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ერთმანეთს ორივე მხარის მომგებიან თანამშრომლობაში.

მუხლი 3

- 3.1.. ეს მემორანდუმში ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
- 3.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსი



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი



სამეცნიერო გამოცემები



გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის - „არხეონის“- მეხუთე ნომერი.

დოკუმენტების კრებული



აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველომ მოამზადა და გამოსცა (გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2013) დოკუმენტების კრებული „რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში“, ნაკვეთი II. დოკუმენტების კრებულში პირველად ქვეყნდება რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები. შესაბამისად, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს მიეცემა დასახელებულ ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობის შესაძლებლობა.

ბუკლეტი

გამოიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საცნობარო ბუკლეტი, აჭარის არქივსაცავებში დაცული უნიკალური დოკუმენტების პოპულარიზაციისა და არქივის მუშაობის უკეთ წარმონეხისათვის.



პრეზენტაციები



2013 წლის 2 ივლისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში ჩატარდა ბულგარეთის ეროვნული არქივიდან ჩამოტანილი ისტორიული დოკუმენტების პრეზენტაცია.

ჟურნალისტებს წარმოუდგინეს სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკასა და აჭარის საარქივო სამმართველოს შორის გაფორმებული მემორანდუმი.

პროგრამის პრეზენტაცია



ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შ I) მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი საქართველოში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამული ბიუჯეტირების პროექტს. ამ მიზნით 2013 წლის 3 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში შედგა შეხვედრა არქივის თანამშრომლებსა და საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებს შორის. შეხვედრაზე განხილული იქნა 2014 წლის არქივის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა დაჩქარებულ ვადებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ (შ I) საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტები და აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები: გიორგი ჯერენაშვილი – სახელმწიფო სექტორის კონსალტინგ დირექტორი, ირაკლი ხმალაძე - პროგრამული ბიუჯეტის ექსპერტი, პაატა ჩაგანავა – ჩ კონსულტანტი, ეკატერინე თარგამაძე – უმაღლესი საბჭოს წევრი; სულიკო ფუტკარაძე – უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატის უფროსი.

სამეცნიერო კონფერენციები



2013 წლის პირველ მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა არქივისტის დღისადმი მიძღვნილი IV სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებს არქივისტის პროფესიული დღესასწაული და დედის დღე მიულოცეს უმაღლესი საბჭოს თავჯდომარემ ავთანდილ ბე-

რიდემ, საარქივო სამმართველოს უფროსმა გურამ სალაძემ. კონფერენციაზე წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: "საარქივო სამმართველოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (ელგუჯა ჩაგანავა); "სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში" (თამაზ ფუტკარაძე, ციცი ცინცაძე); "საარქივო სამმართველოში დაცული ხელოვნების ფონდები" (მარია რურუა); "საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობა სამეცნიერო საქმიანობაში" (ოთარ თურმანიძე); "საარქივო სამმართველოში დაცული კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო ფონდები და მათ მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული პრობლემები" (გუგული პატარიძე); "სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ დაცული ოსმალური დოკუმენტები სოფიის ბიბლიოთეკაში" (ფრიდონ ქარდავა) .

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ამაგდარი არქივისტები: ემელიანე ნაკაშიძე, თალიკო შეყილაძე, სერგო ტაბაღუა, ნანა კუჭაშივილი, ჟუჟუნა რომანაძე და გუგული იმედაიშვილი, რომლებიც დაჯილდოვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი გადაეცა ასევე არქივის თანამშრომელს გენადი კახაილიშს სამოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მოეწყო ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენა, ნახევნები იქნა სლაიდშოუ.

III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია



2013 წლის 15-16 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საჩუქრუწებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ბუღგარეთის, სომხეთის, ავსტრიის, ასევე ქუთაისის ცენტრალური არქივის, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა გოგიბერიძე, მარიანა პისკოვა, გრიგოლ აღანიანი. კონფერენციაზე წაკითხული იქნა 30-ზე მეტი მოხსენება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საკითხებზე. კონფერენციის მსვლელობის პარალელურად მოეწყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ ომის ამსახველი ფოტო გამოფენა.

ღირსსახსოვარი დღეების აღნიშვნა

9 აპრილის ცრემლი



2013 წლის 8 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში საპროტესტო აქციაზე ტრაგიკულად დაღუპულ მამულიშიველთა ხსოვნის სადამო. სიტყვით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე, ფრიდონ ქარდავა, იამზე ზოიძე, ქეთევან მიქელაძე „მაია რურუა“, იზა ბაუჟაძე. სადამოს მონაწილეებმა კიდევ ერთხელ ნახეს 9 აპრილთან დაკავშირებული დოკუმენტური კინოფილმი; გამოიფენილი იყო საარქივო სამმართველოს ფოტოდოკუმენტები, სადამოს დასასრულს ნჩვენები იქნა სლაიდშოუ ” 9 აპრილის ცრემლი” .

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება



2013 წლის 24 მაისს საარქივო სამმართველოში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საზეიმო სხდომა გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა სამმართველოს უფროსი გ.სალაძე. მოხსენებით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს დიგიტალიზაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი დავით ხალვაში , სამმართველოს საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იზა ბაუჟაძე და სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი მაია რურუა . ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამმართველოში მყოფმა სტაჟიორებმა. მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი წერილობითი და ფოტოდოკუმენტების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის აქტის , დამფუძნებელი კრების, პირველი პრეზიდენტის და მთავრობის სხვა წარმომადგენლების ფოტოსურათები, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული სხვა წერილობითი ფოტოდოკუმენტები. დასასრულს ნჩვენები იქნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ და დოკუმენტური ფილმი.

სადღესასწაულო საჩუქრები ბათუმის ბავშვთა
სახლის აღსაზრდელებს




1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქ. ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში. საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საჩუქრად გადასცეს: ლეპტოპი, ტკბილეული და სხვადასხვა სახის საჩუქრები.

**გახსენება, პირადი ფონდების მიმოხილვა
წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი**



2013 წლის 29 იანვარს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე. მოხსენებებით „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი“, „ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული უნივერსიტეტი“, „ექვთიმე თაყაიშვილი და არქეოლოგია“, „ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციაში და სამშობლოში დაბრუნება“ გამოვიდნენ: პროფესორები: თამაზ ფუტყარაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ამირან კახიძე და ოთარ გოგოლიშვილი ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესახებ ისაუბრეს აგრეთვე მწერალმა რამაზ სურმანიძემ და ვახტანგ ღლონტმა. დასასრულს ნაჩვენები იქნა სლaidშოუ და რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი, „საქართველოს მეჭურჭლეთუხეცესი“

**ალექსანდრე სამსონია - 80
(პირადი ფონდის მიმოხილვა)**



2013 წლის 26 ივლისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სამსონიას პირადი ფონდის მიმოხილვასთან დაკავშირებული ღონისძიება, რომელიც მისი 80 წლის იუბილეს დაემთხვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლის მეგობრები და თანამოკალმეები: ალექო ჩხარტიშვილი (ბათუმის საკრებულოს დეპუტატი), რამაზ სურმანიძე, დავით თედორაძე, ზურაბ ფირცხალაიშვილი,

ვასტანგ ღლონტი, შოთა ზოიძე, უუჟუნა ხაჯიშვილი, ანა დუნდუა და სხვები. ღონისძიებას ესწრებოდა აგრეთვე ალი სამსონიას და ქალბატონი ღია სამსონია.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე. აღექსანდრე სამსონიას პირადი ფონდი მიმოიხილა საარქივო სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა იზა ბაუჟაძემ. მწერლის შემოქმედებისა და მისი გამორჩეული პიროვნული თვისებების შესახებ ისაუბრეს ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: რამაზ სურმანიძემ და ბადრი თევზაძემ.

ღონისძიების პარარელურად მოეწყო ალი სამსონიას წიგნების, პირადი ფონდისა და ფოტო მასალების გამოფენა. დასასრულს ნაჩვენები იქნა, დოკუმენტური ფილმი „ალი სამსონია“ (avtori zurab firexalaiSvili)

ნაზი ხიმშიაშვილის ხსოვნა



2013 წლის 24 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო- შუახევის არქივში ჩატარდა, დამსახურებული არქივისტის ნაზი ხიმშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ნაზი ხიმშიაშვილის ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლები.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე.

მოსხენებებით: „ნაზი ხიმშიაშვილის ბიოგრაფიიდან“, „ნაზი ხიმშიაშვილი როგორც არქივისტი“, „ნაზი ხიმშიაშვილი-პოეტის დაუსრულებელი პორტრეტი“ გამოვიდნენ: მარინა გოგიტიძე (ტერიტორიული ორგანო-შუახევის არქივის უფროსი), ქეთი მიქელაძე (საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი), ზურაბ ზოიძე (შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე).

ნაზი ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: თამაზ ფუტკარაძე, ოთარ ცინარიძე, იამზე ზოიძე, ვასო ხიმშიაშვილი, შაქრო ხიმშიაშვილი, ტარიელ ებრაღიძე, იური ქათამაძე, ამირან ხიმშიაშვილი, მზია ხიმშიაშვილი.

შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მისი ლექსები.

ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა ნაზი ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი.

ლექცია-გაკვეთილები

2013 წლის 25 იანვარს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ლექცია-გაკვეთილები ჩატარდათ ბათუმის უმაღლესი კოლეჯის „ბლექსის“ ოფის-მენეჯერის სპეციალობის სტუდენტებს (სამი ჯგუფი). საარქივო სამმართველოს სტრუქტურის, მკვლევართა მუშაობის წესების, კინოფოტოფონდების საცავში დაცული მასალების, ისტორიული, მმართველობითი, პარტიული, პირადი წარმოშობის ფონდებისა და არქივში მიმდინარე დიგიტალიზაციის პროცესების შესახებ სტუდენტებს ესაუბრნენ საარქივო სამმართველოს თანამშრომლები: თამაზ ფუტკარაძე, ფრიდონ ქარდავა, ელგუჯა ჩაგანავა, მადონა ცხადაძე, გუგული პატარიძე, ზეინაბ ასანიძე, ნათია ბერიძე, თამარ ნამგალაძე, იამზე ზოიძე, ეკატერინე ლომთათიძე, ნარგიზ გვარიშვილი. დასასრულს სტუდენტებმა დაათვალიერეს სამმართველოს პერიოდული გამოცემები, ფონდსაცავები, დიგიტალიზაციის განყოფილება და დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორია .



აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში მიმდინარე წლის 19 აპრილს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან“ არსებულ პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს ჩატარდათ ექსკურსია-გაკვეთილი. ახალგაზრდები გაეცნენ: არქივის სპეციფიკურ სქემიანობას - მკვლევართან ურთიერთობას; სამეცნიერო სახის სქემიანობას; დოკუმენტების დიგიტალიზაციის, მასალების ციფრული ვერსიის შექმნისა და საბოლოოდ არქივის ინტერნეტმისაწვდომობის გეგმებსა და თავისებურებებს; არქივის ლაბორატორიის მუშაობას; კანცელარიაში მოქალაქეებებთან ურთიერთობას; დაათვალიერეს არქივსაცავები.

მსგავსი სახის ექსკურსია-გაკვეთილები სამომავლოდაც გაგრძელდება და შედეგებისდაგვარად მოიცავს მთელი აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობას.



აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში მიმდინარე წლის სამი ივნისიდან შ.პ.ს. ბათუმის მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის-„მედიცინა“, სტუდენტებს უტარდებათ სასწავლო პრაქტიკული

მეცადინეობა. სწავლებას ხელმძღვანელობს საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობისა და დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების უფროსი ნაზიბროლა შარაშიძე.

ახალგაზრდები ეცნობიან როგორც საქმისწასრმოებისა და დოკუმენტწარმოების საინტერესო სფეროს, ასევე საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ვიზიტი ახალშენის სკოლაში



მიმდინარე წლის 19 აპრილს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსი გულამ სალაძე და საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ფრიდონ ქარდავა იმყოფებოდნენ ახალშენის მერე საშუალო სკოლაში, (დირექტორი ქალბატონი თამარ შალიკაშვილი) სადაც მადალი კლასის მოსწავლეებს ჩაუტარეს გაცნობითი ხასიათის ლექცია-გაკვეთილი. მოსწავლეებმა მოისმინეს საარქივო სამმართველოს საქმიანობისა და სპეციფიკის შესახებ; არქივის დანიშნულებასა და როლზე ქვეყნის წარსულისა და აწმყოს, ჩვენი სამშობლოსა და რეგიონის ისტორიის უკეთ შესწავლისა და დოკუმენტური წყაროების შენახვა მოძიების საქმეში. მოსწავლეებში ინტერესი გამოიწვია არქივში ბოლო პერიოდში თავმოყრილმა უცხოეთიდან ჩამოტანილმა საარქივო მასალებმა, როგორც ძველქართულმა (ავსტრია,გრაცი), ასევე ბრიტანულმა (ლონდონი) და ოსმალურმა (ბუღგარეთი, სოფიის ბიბლიოთეკა) მასალებმა. დამშვიდობებისას, ბავშვებმაც და სკოლისა და არქივის მესვეურებმაც იმედი გამოთქვეს, რომ ასეთი შეხვედრები მოსწავლეებში გააღვივებს არქივმოცნეობის ინტერესს და მათი სახით ქვეყანას მომავალი არქივარიუსები გაეზრდება.

ჩვენი ავტორები:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უფროსი (ბათუმი, საქართველო);
2. **მაია რურუა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო საცნობარო განყოფილების უფროსი (ბათუმი, საქართველო);
3. **თამაზ ფუტკარაძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
4. **ციცი ცინცაძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
5. **გუგული პატარიძე** - ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
6. **ოთარ გოგოლიშვილი** – ასოცირებული პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
7. **ნატო ქიქავა** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
8. **იზა ბაუჟაძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
9. **კამენ დონჩევი** – ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;
10. **მაკა აღბაგაჩიევა** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი).

Our Authors:

1. **Elguja Chaganava** – head of office of Sub-department of Ajara A R government – Archives Administration (Batumi, Georgia);
2. **Maia Rurua** - Archives Administration, head of national archival fund's protection, registration and scientific-reference department (Batumi, Georgia);

3. **Tamaz Putkaradze** – Ajara Archives Administration, head of foreign, public, media relations and publication and utilization department; professor of Batumi Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
4. **Tsitsi Tsintsadze** - Archives administration, mains specialist (Batumi, Georgia);
5. **Guguli Pataridze** – Archives Administration, mains specialist of national archival fund's documents protection, information and utilization department (Batumi, Georgia);
6. **Otar Gogolishvili** – assoc. professor (Batumi, Georgia);
7. **Nato Kikava** - Archives administration, mains specialist (Batumi, Georgia);
8. **Iza Bauzhadze** - Archives administration, mains specialist (Batumi, Georgia);
9. **Kamen Donchev** – research-assistant of Bulgarian Academy of Sciences, Ethnographic institute;
10. **Makka Albagachieva** – candidate of historical science (St. Petersburg, Russia).

სარჩევი

მაია რურუა – ხელოვნების ისტორიის საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.....	3
ნატო ქიქავა – გრიგორი პინიანცის ცხოვრება და ღვაწლი	15
ელგუჯა ჩაგანავა – აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.....	20
თამაზ ფუტყარაძე/ციცი ცინცაძე - სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში (2012 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში).....	27
გუგული პატარიძე – ფოტოხელოვნების განვითარების ისტორიიდან აჭარაში.....	30
იზა ბაუჟაძე – სევდიანი გახსენება (ალი სამსონიას ცხოვრება და ღვაწლის საარქივო სამმართველოში დაცული პირადი ფონდის მასალების მიხედვით).....	39
ოთარ გოგოშივილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოები და საკონსულოები საზღვარგარეთ 1918-1921 წწ.....	45
Камен Дончев – Автохтонное население Марокко-Берберы-основной носителъ местного обычного права. Этапы в процессе признания его права самопределенія	54
Макка Албагачиева – Язык как атрибут власти в контексте ингушского-русского билингвизма.....	60
ბველი პრესის ფურცლებიდან	80
საარქივო დოკუმენტური წყაროები	92
ქრონიკა	101